ევროკავშირი საქართველოსთვის

დემოკრატიის ვირტუალური აკადემია

Journalism Resource Center

THE DRAGON DANCE

ჩინეთის გავლენა ქართულ მედიასა და აკადემიაზე

თბილისი

2024

IRC

ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი

სამოქალაქო იდეა

კვლევა განხორციელებულია
ჟურნალისტიკის რესურს ცენტრის მიერ
"დემოკრატიის ვირტუალური აკადემიასთან"
თანამშრომლობით

მკვლევრები:	ნათია კუპრაშვილი ნინა ხელაძე ანი კინწურაშვილი ირმა ჭარაქაშვილი ნატალი ნემსაძე მარიამ ყვავაძე ქეთევან გელაშვილი
ტექსტის რედაქტორი	მარინე გორდელაძე

ეს კვლევა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „უსაფრთხოების სექტორის ანგარიშვალდებულების გაძლიერება სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ზედამხედველობით“ ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებლები არიან ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

THE DRAGON DANCE

საკვლევი საგანი:	ჩინეთის გავლენა ქართულ მედიასა და აკადემიაზე
საკვლევი პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
კვლევის მეთოდოლოგია:	კვლევა ეყრდნობა თვისებრივ მეთოდოლოგიას. სამაგიდო კვლევას ე.წ. დესკ რესერჩს, კონტენტ ანალიზს (მედიამონიტორინგი), თვისებრივი მეთოდოლოგიის ქეის სტადისა და შედარების ტაქტიკას, ასევე სიღრმისეულ ინტერვიუებს და ფოკუს ჯგუფებს.
მონიტორინგს დაქვემდებარებული მედიასაშუალებები:	„მთავარი არხი“ „ტვ პირველი” “საზოგადოებრივი მაუწყებელი” „იმედი“ „პოსტ ტვ“ BM.ge Chinesestories.ge Sinomedia.ge Sinologia.ge „სპუტნიკ საქართველო“

პროპაგანდის მარგალიტები

“დონალდ ტრამპი, ვიქტორ ორბანი, ვლადიმერ პუტინი, ჟაირ ბოლსონარუ - გრძელია მმართველების სია, რომელთათვისაც პოსტკომუნისტური ჩინეთი შთაგონების წყარო ხდება. აქ წესრიგია აქ სძულთ უწესობა, აქ ძალას სცემენ პატივს. მათთვის, ისევე როგორც ადამიანებისთვის, რომელთათვის ფული და უსაფრთხოება ადამიანის უფლებებზე მაღლა დგას ჩინეთი დროის სულს ასხამს ხორცს."

“90-იან წლებში ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ პერიოდში, თუნდაც მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ მაინც სუპერძალად ჩამოყალიბებისა და ეკონომიკურ დარგში შესაძლო ჰეგემონიის რაღაც შანსი გააჩნდა, თითქოს იაპონია იყო, თუმცა 90-იანების ბოლოსკენ უძლიერესი სახელმწიფოების საერთაშორისო ძალიან დახურულ კლუბში ფანტასტიკური სისწრაფითა და დიდი ნაბიჯებით ჩინეთი შემოვიდა და მას შემდეგ არ შეუწყვეტია ეს გამაოგნებელი წინსვლა, რომელიც შეერთებული შტატების, თითქოს ხელშეუხებელ, აბსოლუტურ მონოპოლიას დიდი კითხვის ქვეშ აყენებს.

არასდროს კაცობრიობის ისტორიაში, ეკონომიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად ისეთი ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორც იყო ჩინეთი ჯერ კიდევ 2-3 ათეული წლის წინ ასეთი სისწრაფით არ გადაქცეულა ეკონომიკურ, სამხედრო, პოლიტიკურ გიგანტად, რომელიც ძალიან ახლო პერსპექტივაში სრულიად რეალურად ეცილება პირველობას პლანეტის უდიდეს ძალას.“

"გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ პრეზიდენტი სი ძინპინი ჭეშმარიტად სამაგალითო ლიდერია. ის მასშტაბური ხედვის მქონე, ბრძენი ადამიანია, რომელმაც დიდი საქმეები აკეთა თავისი დიდი ერისთვის. ის ძალიან ამბიციურ პროექტებსა და რეფორმებს ახორციელებს თქვენი ქვეყნისა და ერისთვის. მიმაჩნია, რომ ის შთაგონების მომცემი ლიდერია...“ -

ირაკლი ღარიბაშვილი.

“ჩვენ დავიწყეთ ჩვენს სუვერენიტეტზე რეალური ზრუნვა. ითხოვე და გაგეღებაო. როცა რაღაც კარი იკეტება, საქართველოს ბედია - ბევრი სხვა კარი იღება“.

“ამ განცხადების ხორცშესხმა საქართველოს აძლევს უნიკალურ საშუალებას (როგორც გუშინ აღვნიშნე), დაიბრუნოს და გააფართოოს მისი გეოპოლიტიკური კოდით განპირობებული მრავალვექტორულობა.“

კვლევა ასევე მიმოიხილავს სინო-ქართული აკადემიური თანამშრომლობის განვითარებას, ხაზს უსვამს იმ ძირითად ინიციატივებსა და ცვლილებებს, რომლებიც განხორციელდა ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ განაცხადის ხელმოწერის შემდეგ. აღნიშნული მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან პროგრესს საგანმანათლებლო თანამშრომლობის კუთხით, როგორებიცაა სტიპენდიები, ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტები და ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩინური ენის სწავლების პროგრამები. გარდა ამისა, კვლევა ყურადღებას ამახვილებს ჩინური ინვესტიციების გავლენასა და ჩინური სუბიექტების როლზე ქართული უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციაში. ეს უკანასკნელი ასახულია გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტად (GIU) გარდაქმნაში, სადაც რებრედინგის ავტორები სწორედ მისი ჩინელი მფლობელები გახლავთ.

ნაშრომში ასევე განხილულია ისეთი მედია პლატფორმების გავლენა, რომლებიც აქტიურად უწყობენ ხელს ჩინურ საგანმანათლებლო ინიციატივებს, კონკურსებსა და ენის კურსებს საქართველოში. აღნიშნულის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია Sinomedia. ჩინური უნივერსიტეტების ქართველი კურსდამთავრებულების მიერ შექმნილი ეს პლატფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სინო-ქართული თანამშრომლობის საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში.

ამასთან ერთად, კვლევა ეხება უსაფრთხოების რისკებს, რომლებიც ასოცირდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან დამყარებულ აკადემიურ თანამშრომლობასთან და მოუწოდებს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს პარტნიორობის განვითარების პარალელურად გაითვალისწინონ ეს რისკები. ნაშრომი აგრეთვე დეტალურად აღწერს ისეთ ღონისძიებებსა და ინიციატივებს, რომლებიც ასახავენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მზარდ გავლენას ქართულ აკადემიურ ლანდშაფტზე.

სარჩევი

შესავალი 7

ჩინეთი საქართველოს მედიასა და აკადემიურ სექტორში 7

რატომ არის განსაკუთრებით საინტერესო საქართველო? და განსაკუთრებით ამ პერიოდში? 7

კვლევის მიგნებები 9

პროსამთავრობო მაუწყებლების მაჩვენებლები 9

ოპოზიციური მაუწყებლების მაჩვენებლები: 12

ონლაინმედია 15

საქართველოში ჩინეთის აკადემიური გავლენის ძირითადი მიგნებები 16

რეკომენდაციები 17

კვლევის მეთოდოლოგია 18

ჩინეთი, მედიის მფლობელობა და დაფინანსების წყაროები 20

მედიამონიტორინგი 21

საზოგადოებრივი მაუწყებელი 21

ტელეკომპანია „იმედი“ 34

მთავარი არხი 41

„პოსტ ტვ“ 46

„ტვ პირველი“ 51

BM.GE 56

“ნეტგაზეთი“ 66

ChineseStories 71

Sinomedia 73

მედიაპლატფორმა: Sputnik-საქართველო 79

ჩინეთის გავლენები ქართულ აკადემიურ სივრცეში 85

შესავალი - ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა საგანმანათლებლო სივრცეში 85

სინო-ქართული აკადემიური თანამშრომლობა ქართული მედიის ფოკუსში 86

ქართული უნივერსიტეტის ჩინური რებრენდინგი 88

დანართი 1 92

დანართი 2 96

შესავალი

ჩინეთი საქართველოს მედიასა და აკადემიურ სექტორში

„საქართველო მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებული გლობალური ცივილიზაციის ინიციატივას“; „საქართველო მიესალმება ჩინეთის მიერ შემოთავაზებული „სარტყლისა და გზის” ინიციატივას,” - ეს ფრაზები, 2023 წელს ჩინეთ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების შესახებ გაფორმებული დოკუმენტიდანაა, რომლის თაობაზე ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის დროს (ივლისი 2023) განაცხადა.

იმავე პერიოდში საქართველო ევროკავშირისაგან წევრობის კანდიდატის სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მოლოდინშიც იყო, საქართველოს კონსტიტუციაში კი ევროკავშირთან ერთად ნატოში ინტეგრაციაც გაცხადებულ საგარეო მიზნად რჩება. ამ ეკლექტური საგარეო თამაშების პერიოდს ფარავს წარმოდგენილი კვლევის ემპირიული ველიც, რომელიც საქართველოს მაგალითზე ირეკლავს ჩინეთის რბილი ძალის, როგორც დაბალი, ისე აგრესიული ხილვადობის კვალს.

რატომ არის განსაკუთრებით საინტერესო საქართველო? და განსაკუთრებით ამ პერიოდში?

საინტერესოა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ვაკვირდებით დეკლარირებულად კომუნისტური სისტემის მქონე დიდი სახელმწიფოს (ჩინეთის) გავლენას დეკლარირებულად ლიბერალური დემოკრატიის მქონე პატარა სახელმწიფოზე (საქართველოზე), ამასთან ვითვალისწინებთ, რომ ავტორიტარული ქვეყნები, (ისეთი, როგორიცაა ჩინეთი) იყენებენ „ორმაგი სტანდარტის მიდგომებს“ - „სხვისი დეფექტური დემოკრატია, საკუთარი კომუნისტურ-ავტორიტარული სისტემის სამსახურში“ - რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს სხვადასხვა იდეოლოგიურ საფუძვლებზე მდგარი პოლიტიკური სისტემების ურთიერთქმედების ანალიზს.

საინტერესოა იმითაც, რომ საინფორმაციო ოპერაციების მკვლევრები თანხმდებიან, რომ განსაკუთრებით, Covid 19-ის პანდემიის შემდეგ (თუმცა არა მხოლოდ ამ მიზეზით) ჩინეთმა „აგრესიული დეზინფორმაციის რუსული მოდელის დუბლირება დაიწყო“ [1].

[1] ტ. სლონი, კ. კოზლოვსკი - ,,სისტემური დეზინფორმაციის შემთხვევის ანალიზი: რუსეთი და ჩინეთი - თბილისი 2012

პრაქტიკის ანალიზი აქამდეც აჩვენებდა, რომ ჩინეთის აგრესიულ ქმედებებზე გადასვლის პერიოდი[2] ხასიათდებოდა ორიგინალობითაც. ასე მაგალითად, ქართულენოვანი მედიის 2022 წლის კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ქმედებები გამოიხატებოდა შემდეგ შედეგებში:

ჩინეთის სრული წაშლა
უარყოფითი კონტექსტის მატარებელი შინაარსებიდან;

ჩინეთის, როგორც განსაკუთრებით
კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯის ფორმირება;

და რაც მთავარია:
ჩინეთის უპირატესობის ხაზგასმა
დასავლეთის დისკრედიტაციის მცდელობის
ფონზე და პარალელურად.

ამ ბოლო ტენდენციამ ქართულენოვან მედიაში ერთმანეთის პარალ-ელურად და ზოგჯერ ერთმანეთთან კოორდინაციითა და შერწყმით მოგვცა - ანტიდასავლური და პროჩინური ნარატივები.

2022 წლის კვლევამ (რომელზე შედარების ტაქტიკასაც ასევე ეყრდნობა წარმოდგენილი კვლევა - იხ. ქვემოთ) ნათლად გვიჩვენა, რომ „დაბალი ხილვადობის“ მიდგომა ჩინეთმა შეცვალა ე.წ. „მეომარი მგლის დიპ-ლომატიით“ (Wolf Warrior Diplomacy, გამონათქვამი ფილმიდან (站狼 - ჟან Lang), რომლის მთავარი გმირის გზავნილია: ,,ვინც შეურაცხყოფს ჩინეთს, გადაიხდის ფასს”.

„დრაკონის ცეკვაზე“: ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციაზე დაკვირვება 2023 წელს საქართველოს მაგალითით კიდევ უფრო განსაკ-უთრებულია იმითაც, რომ ჩინეთის მხრიდან მეტი გავლენის სურვილს ემთხვევა თავად საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩინეთთან სტრა-ტეგიული პარტნიორობის პრიორიტეტიზაცია, რაც შესაძლოა აძლიერ-ებდეს ჩინეთის ე.წ. ,,მეომარი მგლის დიპლომატიისა“ და „დრაკონის ცეკვის“ ეფექტებსა და შედეგებს.

[2] არსებობდა რწმენა, რომ ჩინეთსა და რუსეთს შორის ბევრი განსხვავება იყო. მიიჩნეოდა, ჩინეთი ცდილობდა, პასუხისმგებლიანი გლობალური ძალის სახელმწიფოს იმიჯის შექმნას, ჩინეთის კონსტრუქციული როლის, ,,ჩინური წარმატების“ პოპულარიზაციისა და ჩინელების უპირატესობის წარმოჩენას. შესაბამისად, ჩინური პროპაგანდა (რუსულისგან განსხვავებით, რომელიც არ არის ორიენტირებული რუსეთის რეპუტაციის შენებაზე, არამედ ცდილობს მოწინააღმდეგე ქვეყნის რეპუტაციის შელახვას) ემყარებოდა ჩინეთის დადებითი იმიჯის ფორმირებას, რასაც ახერხებდა ტექნოლოგიაზე, ეკონომიკაზე და კულტურაზე აქცენტით.

კვლევის მიგნებები

სამაუწყებლო მედიის დეტალურმა ინსტიტუციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ სამაუწყებლო მედიაში 2023 წელს, 2021-2022 წლებთან შედარებით გაზრდილია კომუნისტური ჩინეთის, ან მასთან აფილირებული ბიზნესაქტორების მხრიდან მიღებული დაფინანსების სიხშირე. ამ მხრივ ზრდა გვაქვს, როგორც პროსამთავრობო, ისე ოპოზიციურ მაუწყებლებში.

როგორც პროსამთავრობო, ისე ოპოზიციურ სამაუწყებლო მედიაში გაჩნდა ჩინეთის თემის გაშუქებისადმი გარკვეული სარედაქციო მიდგომები. 2021-2022 წლების კვლევა აჩვენებდა, რომ მედიას ჰქონდა ქაოტური და არათან-მიმდევრული მიდგომა ჩინეთის შესახებ ამბების გაშუქების მიმართ. თუმცა მას შემდეგ, რაც ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა სამთავრობო ინტერესად იქცა, პროსამთავრობო მედიებში გაიზარდა ჩინეთის დადებითი გაშუქების ტონი და შემცირდა ნეგატიური გაშუქების მაჩვენებელი, ხოლო ოპოზიციურ მედიებში პირიქით.

პროსამთავრობო[3] მაუწყებლების მაჩვენებლები



[3] სამაუწყებლო მედიის წოდებისას პროსამთავრობო ან ოპოზიციურ მედიად ვეყრდნობით ავტორიტეტული ორგანიზაციების მედიამონიტორინგის ანგარიშებს, მაგალითად: https://www.qartia.ge/ka/mediamonitoringi/article/91778-satelevizio-akhali-ambebis-post-saarchevno-monitoringis-angarishi

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასულ ფილმში „თავიდან შექმნილი ჩინეთი“ ვხვდებით შემდეგ ტექსტს:

"ოცნების განსახორციელებლად სი დათმობებზე წასვლას არ აპირებს: ჰონ კონგი, ტიბეტი, უიგური, ტაივანი - ჩინეთის ერთიანობას ვერაფერმა უნდა შეუშალოს ხელი, რა მოსაზრებაც უნდა ჰქონდეთ ამასთან დაკავშირებით დასავლეთის ქვეყნებს.

დონალდ ტრამპი, ვიქტორ ორბანი, ვლადიმერ პუტინი, ჟაირ ბოლსონარუ - გრძელია იმ მმართველების სია, რომელთათვის პოსტკომუნისტური ჩინეთი შთაგონების წყარო ხდება. აქ წესრიგია, აქ სძულთ უწესობა, აქ ძალას სცემენ პატივს. მათთვის, ისევე როგორც ადამიანებისთვის, რომელთათვის ფული და უსაფრთხოება ადამიანის უფლებებზე მაღლა დგას ჩინეთი დროის სულს ასხამს ხორცს."

„იმედი“, სარედაქციო ტექსტი:

"ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, გავლენიანი სახელმწიფოა. ***პლანეტის მასშტაბით, ალბათ, არ არსებობს ოჯახი, სადაც ვერ იპოვით ნივთს წარწერით - დამზადებულია ჩინეთში, ყველაზე უკეთ სწორედ ეს ფაქტი აჩვენებს ქვეყნის ეკონომიკურ გავლენას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე."***

“როდესაც მსოფლიოს მრავალი ეკონომიკა რეცესიის ზღვარზეა ჩინეთი განვითარებას არ წყვეტს, გლობალური პანდემიისა და ლოკდაუნების შემდეგ ქვეყანას წელს 5.2 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა აქვს.“

“პოსტ ტვ“, სარედაქციო ტექსტი:

“ამერიკისთვის ახლა ყველაზე დიდი პრობლემა არის ჩინეთი, თავისი მზარდი ეკონომიკური რესურსებით, ძალიან მალე აღმოჩნდება, რომ ჩინეთის ეკონომიკა გადაასწრებს ამერიკის ეკონომიკას.“

“ევროკავშირში არის განწყობა, რომ ბოლომდე ამერიკის გვერდში ვდგავართ, და მეორე ნაწილი ხვდება, რომ ევროკავშირი დამოკიდებულია, როგორც ამერიკაზე ისე ჩინეთზე, იმიტომ რომ უზარმაზარი სავაჭრო ბრუნვა აქვს ერთმანეთთან.“

მედიამონიტორინგის პარალელურად მკვლევართა ჯგუფმა ჩაწერა ჩაღრმავებული ინტერვიუები ოთხი სატელევიზიო მაუწყებლის: მთავარი არხის, Sinologia.ge-ს, BMG-ის და საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო გუნდის წამყვან სარედაქციო პოზიციაზე მყოფ პირებთან.

სიღრმისეულმა ინტერვიუებმა მოგვცა საშუალება ჩავღრმავებოდით საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო მიდგომებს. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ჩინეთის თემის გაშუქების პოზიტიური მაჩვენებელი უმეტესად გამოწვეულია კონკრეტული სარედაქციო ჯგუფის მემარცხენე - სოციალისტური იდეოლოგიით. აქ არ გვხვდება გარდა იდეოლოგიური თანხვედრისა და ინტერესისა, ჩინეთის მხრიდან გავლენის მცდელობები, არც მაგალითად ტექნიკის მიწოდების (საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაიარაღების პროცესში გამოცხადებულ ტენდერში, მაგალითად ტექნიკის მიწოდების ინტერესი ჩინურ კომპანიებს არ გამოუხატავთ).

რაც შეეხება არხის მისიას და საკანონმდებლო ვალდებულებებს, სიღრმისეული ინტერვიუდან მოვისმინეთ შემდეგი:

„ერთია საკანონმდებლო საკითხი, მეორეა - რამდენად ობიექტური შეიძლება იყოს გაშუქება. შეუძლია თუ არა ქვეყანას იყოს (იგულისხმება საკანონმდებლო ჩანაწერი, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის პოპულარიზაცია) ასეთი ცალსახა ამ მოცემულობაში, რომელიც დღეს დგება იმ გამოწვევებთან მიმართებაში რომელშიც შეიძლება აღმოვჩნდეთ ცვალებადი წესრიგის პირობებში. არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ მუდმივად ცვალებადი და ახალი გამოწვევების წინაშე შეიძლება დავდგეთ. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა, არ მგონია, რომ ამ კონტექსტში გვქონდეს უფლება, იმავე რიტორიკით ვისაუბროთ ჩინეთზე, როგორც ნატო საუბრობს. 2022 და 2021 წლებში ჩინეთთან ვაჭრობისა, ექსპორტის თვალსაზრისით ექსპორტისთვის ხან პირველი ხან მეორე ქვეყანაა, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბორდის დონეზეც უნდა ითვალისწინებდეს, განიხილავდეს და ადგენდეს საკუთარ პოლიტიკას“.[4]

ფოკუსჯგუფებით (მედიაექსპერტები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, სტუდენტები) დადასტურდა, რომ პროსამთავრობო მედიების მიერ გენერირებული პროჩინური ნარატივები მიდის აუდიტორიამდე, მართალია ფოკუსჯგუფების მონაწილეებს ჰქონდათ ამ ნარატივების კრიტიკული მიმღებლობა, მაგრამ არ უჭირდათ მათი გამოყოფა, ზოგიერთმა მათგანმა პირდაპირ გაიმეორა საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენელთა ინტერვიუში მოსმენილი თეორიები, კერძოდ:

„მსოფლიო წესრიგი იცვლება, ამერიკის და დასავლეთის ჰეგემონია იცვლება და სწორედ რუსეთის და ჩინეთის პარტნიორობა იძლავრებს“;

„ჩინეთი დაგვეხმარება რუსეთთან დიალოგში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, იმ ფონზე, რომ ამერიკას ეს არასდროს გაუკეთებია“;

„ამერიკასთან 30 წელია სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავად არ გვაქვს უვიზო მიმოსვლა, და ამ დროს ჩინეთმა ასე მალე გააუქმა“;

„ჩინელ ტურისტებს ქართლის დედასთან ყვავილები მიაქვთ“.

კვლევამ აჩვენა, რომ პროსამთავრობო მედიებში პროსამთავრობო დღის წესრიგთან ერთად, პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიდგომებიც ახდენს გავლენას პროჩინური და ანტიდასავლური მედიაკონტენტის ზრდაზე და ეს ნარატივები რეალურად აღწევს მიზნობრივ აუდიტორიამდე.

[4] სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 4 მაღალი დონის მედიამენეჯერთან - პროდიუსერთან, რედაქციაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთან. მეთოდოლოგიურად და მათთან შეთანხმებით, ჩვენ არ ვასახელებთ მათ. სიღრმისეულ ინტერვიუებში ჩაერთო: მთავარი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბიემჯი და სინომედია. თარიღები: 05.04.2024 – 11.04.2024

ოპოზიციური მაუწყებლების მაჩვენებლები:



„მთავარი არხი“, ექსპერტის ტექსტი:

"ნებისმიერი მსხვილი პროექტი, რასაც ლობირებს ჩინეთი და აწარმოებს არის მიმართული დასავლეთის გავლენის შემცირებისკენ, ნატოს გავლენის შემცირებისკენ, გარკვეული რისკების მატარებელია, ის რომ ჩინეთი ყოველთვის ამგვარ პროექტებს აწარმოებს...

ჩინეთი არც არის და არც აღიარებს დემოკრატიულ წყობას, რისკენაც მიისწრაფვის საქართველო და რაც აუცილებელია ევროინტეგრაციისთვის. ეკონომიკურ პარტნიორად ჩინეთი საუკეთესოა, თუმცა ეკონომიკური პარტნიორობა არ მთავრდება მხოლოდ ეკონომიკური მიზნებით, ის ყოველ-თვის გადაიზრდება გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებში."

„ტვ პირველი“, ექსპერტის ტექსტი:

“კითხვები ჰქონდათ, რატომ ხდება, რომ ამერიკის ნაცვლად, ჩინეთის კომუნისტური პარტია ხდება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი. ყველას აინტერესებდა, როგორ ხდება საქართველომ ასეთი სტრატეგიული პარტნიორობა მიიღოს რატიფიცირების გარეშე, ასევე ყველას აინტერესებდა, როგორ ხდება, რომ ჩინეთი, რომელიც უზარმაზარი დეზინფორმაციის კამპანიას აწარმოებდა საქართველოში სამედიცინო სექტორის წინააღმდეგ პანდემიის დროს. ჩინეთი, რომელმაც გააგზავნა დელეგაციები ოკუპირებულ აფხაზეთში, როგორ შეიძლება, რომ მათთან გვქონდეს სტრატეგიული პარტნიორობა. ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან სტრატეგიულმა პარ-ტნიორობამ ზუსტად დააკონკრეტა ყველასთვის დასავლეთში, რომ საქართველოს მთავრობა აწარმოებს ანტიდასავლურ კამპანიას".

ერთ-ერთი ოპოზიციური არხის წარმომადგენელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ ოპოზიციურ სამაუწყებლო მედიას ჯერ კიდევ არ აქვს თანმიმდევრული მიდგომა ჩინეთის თემის გაშუქების მიმართ, აქ სიღრმისეული შინაარსების, მათ შორის კრიტიკული ნარატივების შექმნა უკავშირდება ამ ორგანიზაციებში მომუშავე კონკრეტული ინდივიდების იდეოლოგიურ მიდგომებს და უნარებს.

ფოკუსჯგუფებმა აჩვენა, რომ ჩინეთის სიღრმისეული კრიტიკით შექმნილი ნარატივები ნაკლებად მიდის მიზნობრივ აუდიტორიამდე.

როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემი ცხადყოფს ქართული სამაუწყებლო მედიის მკვეთრ პოლარიზაციას. ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიაც (იხ. ქვემოთ) თეორიულად ითვალისწინებს როგორც მედიის პოლარიზების მოდელს, ისე პრესის ოთხ თეორიას (საბჭოთა კომუნიკაციის თეორია, ავტორიტარული თეორია, სოციალური პასუხისმგებლობის თეორია და ლიბერტარიანული თეორია), თუმცა ჩვენმა კვლევამ ნათლად დაადასტურა, რომ გვხვდება პრესის კიდევ ერთი განსხვავებული მოდელი: ეს არის პრესის კაპიტალისტური მოდელი/თეორია. ამ კუთხით, ჩვენი კვლევა გამოყოფს ნიშურ - ბიზნესმედია BM.GE-ს, რომელიც ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებული საფუძვლების გამო შეირჩა (ჩინურ არხთან CCTV-სთან თანამშრომლობის მემორანდუმის ინიცირების გამო). BM.GE-ს მიერ ჩინეთის გაშუქების რაოდენობრივი შეფარდება ასე გამოიყურება.

რაოდენობრივი მონაცემები ნათლად წარმოაჩენს თვისებრივ მონაცემებს. BM.GE სწორედ ბიზნეს მიდგომით ახერხებს ჩინეთის სიღრმისეულ კრიტიკასაც, პოზიტიურად მიკერძოებულ გაშუქებასაც და ნეიტრალური გაშუქებისას ისევ ბიზნესის სასარგებლოდ მიკერძოებას, კერძოდ:

1. ბიზნეს არხი ჩინეთის პოლიტიკას აკრიტიკებს, როცა ამზადებს კონტენტს გეოპოლიტიკის შესახებ. ამის მაგალითია ინტერვიუ თინა ხიდაშელთან (იხ. ამონარიდი ქვემოთ).
2. BM.ge ჩინეთს პოზიტიურად აშუქებს, როცა აანალიზებს ბიზნეს სიახლეებს. ამ კონტექსტში არხი მუდმივად ხაზს უსვამს ჩინეთის მზარდ ეკონომიკას და შუა დერეფნის პერსპექტივებს.
3. BM.Ge შედარებით ნეიტრალურად, მაგრამ ბიზნესის ინტერესებისადმი მიკერძოებით, აშუქებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ამის მაგალითია, საქართველოში რიკოთის უღელტეხილზე მიმდინარე პროექტზე დასაქმებული მუშების გაფიცვის გაშუქება, სადაც BM.ge პლატფორმას უთმობს დამსაქმებელ ჩინურ კომპანიას, იმისათვის, რომ ამ უკანასკნელმა ვრცლად ისაუბროს **არსებულ შრომით პირობებზე, დასაქმებულებს ერთგვარად დაუწუნოს მათი უკმაყოფილების შესახებ მედიის ინფორმირება და მოუწოდოს დასაქმებულებს დაელაპარაკონ მენეჯმენტს.**

ამონარიდები:

"პირველი, ეს არის პოლიტიკური ამოცანები, რითაც იწყება კიდევაც ეს სტრატეგიის დოკუმენტი და პოლიტიკის ამოცანებში იგულისხმება, რომ მორიგი ნაღმი დადო საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. განა არ უნდათ კანდიდატის სტატუსის მიღება, რა თქმა უნდა უნდათ, ისინი ხვდებიან, რომ პოლიტიკურად ეს მათთვის მომგებიანია, მაგრამ

ეშინიათ რომ უარს გვეტყვიან, ამიტომ სჭირდება გეგმა - ბ. მეორე ის არის, რომ ზუსტად იციან, იმ შემთხვევაში თუ ევროკავშირი კანდიდატის სტატუსს მოგვცემს, ის იქნება მორიგი, უფრო მძიმე და მეტი დემოკრატიული ვალდებულებებით დატვირთული. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ თამაში სინამდვილეში იმაზე დაიწყო, რომ ვიღაცის გონებაში მოიხარშა გეგმა, რომ ევროკავშირი უნდა დააშანტაჟოს, რომ თუ ევროკავშირი უარს გვეტყვის ყოველთვის არსებობს ალტერნატივა ჩინეთის სახით." - თინა ხიდაშელი, BM.GE

"შუა დერეფანი ძალიან მნიშვნელოვანია. ახლო მომავალში ის იქცევა ძალიან საინტერესო ალტერნატიულ მარშრუტად. უნდა ვიყოთ კრეატიული, უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად,"- ირაკლი ღარიბაშვილი, მოცემული მომენტისათვის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

სიღრმისეულმა ინტერვიუმ BM.GE-ს წარმომადგენელთან გვიჩვენა, რომ CCTV-სთან არხის თანამშრომლობა ამ ეტაპზე არ შედგა. არხი ამჟამად ვითარდება სხვა ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი) მიმართულებით, და ამ პრიორიტეტებს ალაგებს ქართული ბიზნესისთვის სავაჭრო პერსპექტივების მიხედვით.

გაშუქებისა და ბიზნესმედიის განვითარების ამგვარი მიდგომა ზუსტად მიჰყვება არხის მისიას, რომელიც სიღრმისეული ინტერვიუს პროცესში ასე ჩამოყალიბდა.

„გადასახადის გადამხდელების ინფორმირება, საქართველოში და აწ უკვე რეგიონში. რეგიონული მასშტაბით დაფარვა, ეკონომიკაზე და ბიზნესზე სრულფასოვანი ინფორმაციის მისაწოდებლად."[5]

ფოკუსჯგუფებმა აჩვენა, რომ ,,გადასახადის გადამხდელებთან", როგორიცაა მედიაექსპერტთა ჯგუფები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები წარმატებით აღწევს საქმიანი ამბების ფარგლებში გაშუქებული პოზიტიური ინფორმაცია ჩინეთის შესახებ, თუმცა ახალგაზრდებთან ჩატარებულმა ფოკუსჯგუფმა აჩვენა, რომ ადამიანებს, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონში მცხოვრებ პირებს, თუ აქვთ შეხება ჩინური ბიზნესის მიერ განხორციელებულ პროექტებთან და იციან იქ დასაქმებულთა პრობლემების შესახებ, უყალიბდებათ კრიტიკული მიმღებლობა პრობიზნესური მედიაკონტენტის მიმართ.

ასევე, უნდა გამოვყოთ ადამიანთა ის ჯგუფი აკადემიური სფეროდან, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჩინეთში. მათი განწყობებიც ძირითადად კრიტიკულია:

,,ჩინეთში ყოფნისას გამოვცადე ყველა მახასიათებელი ჩინეთის, მათ შორის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, VPN-ით საკუთარ თავსაც ვეძებდი და ვერ ვპოულობდი. საბჭოურო ქცევა. პუტინის დიდი სურათი ერთ-ერთ კვლევით ცენტრში, მულტიმედია ფოტო პუტინის, რომელიც იცვლებოდა სი ძინპინთან შეხვედრის ფოტოში."

---

[5] სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 4 მაღალი დონის მედიამენეჯერთან - პროდიუსერთან, რედაქციაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთან. სიღრმისეულ ინტერვიუებში ჩაერთო: მთავარი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბიემჯი და სინომედია. თარიღები: 05.04.2024 – 11.04.2024

ონლაინმედია

ონლაინმედიის თვისებრივმა კვლევამ 2022 წლის მონიტორინგის შედეგები გაიმეორა. კერძოდ:

2021-22 წლების მონიტორინგის შედეგებთან შედარებით პროჩინურ მედიაში გაზრდილია კონტენტის რაოდენობა და მკაფიოდ ხაზგასმულია ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური როლი გლობალური მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ,,სინომედიაზე" ჩინეთის გლობალური სამშვიდობო როლის წარმოჩენის პარალელურად, ვხედავთ აშშ-ის კრიტიკას, არა მხოლოდ ტაივანთან მიმართებით გატარებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. გლობალურად ჩინეთის საკვანძო როლის და დასავლურ კულტურასთან უპირატესობის წარმოსაჩენად ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება განათლების და კულტურის თემაც.

პროკრემლისტური მედია „სპუტნიკ საქართველო" კვლავ რჩება საქართველოში ჩინეთის პოპულარიზაციის და აუდიტორიისთვის უკიდურესად დადებით ტონში მიმწოდებელ პლატფორმად. აქტიურ რუსულ პროპაგანდასთან ერთად, „სპუტნიკ საქართველო" არის ჩინეთის ინტერესების გავრცელების აქტიური ხელსაწყო, რომელიც დასავლეთის აქტიურ დისკრედიტაციასთან ერთად, ახალი გეოპოლიტიკური ცენტრის შექმნის საკუთარ ვერსიას სხვადასხვა თემის მეშვეობით უწევს პროპაგანდას. ამ მიზნით იყენებს პოლიტიკური ანალიზის შემცველ მანიპულაციურ სტატიებთან ერთად, მსუბუქად საკითხავ კონტენტს.

პლატფორმა Chinesestories, განსხვავდება ზემოთხსენებული პროჩინური პლატფორმებისგან. ის კვლავაც რჩება ჩინეთის შესახებ კულტურული, ტრადიციული, საგანმანათლებლო შინაარსის გამავრცელებლად, თუმცა ოპერირებს უფრო პერსონალური ბლოგის ფორმატში ვიდრე სტანდარტული საინფორმაციო ხასიათის მედიის.

ცალკე უნდა გამოვყოთ პლატფორმა „სინოლოგია", რომლის კონტენტის შესწავლამ, ასევე ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ დაგვანახა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა კოორდინირებულად მართულ პროჩინურ პლატფორმასთან, არამედ ჩინეთით დაინტერესებული პირის და მისი თანამოაზრეების ჯგუფთან, რომელიც პერიოდულად, აზიარებს ანალიტიკურ მასალებს ჩინეთთან დაკავშირებით.

დამოუკიდებელი ინტერნეტგამოცემები, ისეთი მაგალითად, როგორიცაა „ნეტგაზეთი" (რომელიც გამოირჩევა ნეიტრალური და ეთიკური გაშუქებით) პერიოდულად გვთავაზობენ სიღრმისეულ, ვრცელ კრიტიკულ ტექსტებს ჩინეთთან დაკავშირებით, მაგრამ მათსავე გვერდებზე ჩინეთის შესახებ სარეკლამო მასალებს, რეკლამის სახით გამოქვეყნებულს, აუდიტორიის გაცილებით უფრო ფართო წვდომა აქვს.

ამონარიდები „ნეტგაზეთიდან"

„ძალიან ძნელია, გქონდეს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა ახლა. ჩინეთი ცდილობს, ძირი გამოუთხაროს ჩვენს დემოკრატიას და გაგვხადოს მასზე დამოკიდებული. რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებულ ომშიც ჩინეთი არის არა მოკავშირე, არამედ, უფრო რუსეთს უჭერს მხარს", — განუცხადა

„ნეტგაზეთს“ ტენზერმა. ის ამბობს, რომ საქართველოს შემთხვევას კონ-კრეტულად არ იცნობს, მაგრამ იცის, რომ ჩინური კომპანიები აშენებენ გზებს საქართველოში. ტენზერის თქმით, ჩინეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის გამოწ-ვევაა. მან მაგალითად მოიყვანა, თუ როგორ აღმოჩნდა მონტენეგრო პეკინის „ვალის ხაფანგში“. - ნეტგაზეთი.

,,დღესდღეობით ქართული ღვინო ჩინეთში იმპორტირებული ღვინის ათეულში შედის, თუმცა დიდი გზაა გასავლელი პოზიციის გასაუმჯობესებ-ლად. ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო და ეკონომიკური ურთი-ერთობები მომავლისათვის ტოვებს იმედის საფუძველს, რომ ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო საინტერესოდ და მნიშვნელოვნად დავინახოთ ჩინეთის ბაზარი“. - ნეტგაზეთი.

netgazeti.ge

სიახლეები საზოგადოება ხელოვნება ეკონომიკა კომენტარი სამხრეთ კავკასიის ამბები

ახალი ამბები • ჩინეთი

ტენზერი: ახლა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა მართებული არაა

5 სექტემბერი, 2023 • ნინო ჩიჩუა

ახალი ამბები • ეკონომიკა • მონტენეგრო • ჩინეთი

„გზა არსაიდან არსაით“ – როგორ დაედო მონტენეგროს ჩინეთის ვალი

2 აგვისტო, 2023 • ნიკა ბურდული

საქართველოში ჩინეთის აკადემიური გავლენის ძირითადი მიგნებები

საკვლევ პერიოდში, ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის ხელმოწერის შემდეგ, განათლების კუთხით მცირე, მაგრამ კრი-ტიკულად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, რაც გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ მომავალში ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება. ტრადიციულ ქართულ მედიაში ჩინეთ-საქართველოს აკადემიური ურთიერთობების შეზღუდული გაშუქების მიუხედავად, ისეთი პლატფორმები, როგორიცაა "სინომედია", მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორი სახელმწიფოს საგანმანათლებლო კავშირებისა და მათთან დაკავშირ-ებული აქტივობების პოპულარიზაციაში. ამას თან ერთვის ისეთი სამთავ-

რობო ინიციატივების ზრდა, როგორებიცაა, სტიპენდიები და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტები.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა გააცნობიერონ ასეთ თანამშრომლობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები, მითუმეტეს, რომ ჩინეთთან პარტნიორობა კვლავ ვითარდება და შედეგები უფრო „ხელშესახები“ ხდება. სინო-ქართული აკადემიური ურთიერთობების წინსვლასთან ერთად, გადამწყვეტია ვაღიაროთ ჩინური სუბიექტების როლი გურამ თავართქილაძის თბილისის საგანმანათლებლო უნივერსიტეტის საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტად - "ჯიუ"-დ გადაქცევაში. ეს რებრენდინგი, რომელიც 2023 წლის ივნისში დაიწყო, წარმოადგენს საქართველოს უმაღლეს განათლებაში ჩინური ინვესტიციებისა და გავლენის ნათელ მაგალითს, ვინაიდან ქართული უნივერსიტეტის საკონტროლო პაკეტს სწორედ ჩინეთის მოქალაქე და China Foreign Education Group-ის თავმჯდომარე Kuang Zengzhong ფლობს. უფრო მეტიც, უნივერსიტეტის თანამშრომლობა სხვადასხვა ჩინურ სუბიექტებთან (მაგალითად, ჩინურ სააგენტოებთან ჰონგ-კონგში), რაც დასტურდება პარტნიორული ხელშეკრულებებით, ხაზს უსვამს სინო-ქართული აკადემიური ურთიერთობების მრავალმხრივ ბუნებას და დაინტერესებული ჩინური მხარის მზარდ როლს საქართველოს საგანმანათლებლო ლანდშაფტის ჩამოყალიბებაში.

რეკომენდაციები

ფოკუსჯგუფების მონაწილეების მიერ ქართული მედიის კონტენტის და ზოგადად ჩინეთთან ურთიერთობის განხილვის შედეგად დასახელდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მედიაში გლობალური პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების გამშუქებელი კონტენტის გაძლიერება;
2. გაშუქების პროცესში ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების გამიჯვნა და პოლიტიკური მდგენელის გამო ეკონომიკური ურთიერთობის მკვეთრი დემონიზებისგან შინაარსის არიდება;
3. ტრენინგები მედიისთვის და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებისთვის;
4. გაიდლაინები მედიისთვის და სასწავლო მასალები;
5. ტიკ ტოკ წიგნიერების გაძლიერება;
6. სარეკომენდაციო ტერმინოლოგიის შემუშავება;
7. გასართობ შინაარსში თემის ჩაშლა, მაგალითად ქართულ სერიალებში;
8. სკოლებში მედიაწიგნიერების კომპონენტის გაძლიერება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა თვისებრივ მეთოდოლოგიას. სამაგიდო კვლევას ე.წ. დესკ რესერჩს, კონტენტ ანალიზს (მედიამონიტორინგი), თვისებრივი მეთოდოლოგიის ქეის სტადისა და შედარების ტაქტიკას, ასევე სიღრმისეულ ინტერვიუებს და ფოკუს ჯგუფებს.

სამაგიდო კვლევა მოიცავს როგორც ავტორთა მიერ ამ მიმართულებით უკვე განხორციელებული კვლევების კომპილაციურ ანალიზს, ისე დამატებითი - უახლესი წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს.

კონტენტის გასაანალიზებლად ჩვენ მედიებზე დაკვირვების პერიოდად ავიღეთ რვათვიანი მონაკვეთი 1.04.2023 – 1.11.2023. ამ პერიოდმა თითქმის თანაბრად მოიცვა საქართველოს პრემიერის ჩინეთში ოფიციალური და ხანგრძლივი ვიზიტის წინა და შემდგომი დრო. იგივე პერიოდი ემთხვევა უკრაინის ომისა და ისრაელ-ჰამასის დაპირისპირების პერიოდებს, რაც მნიშვნელოვანია კვლევისთვის.

კონტენტი მოვიძიეთ ინტერნეტში საძიებო სისტემების და ინსტრუმენტების გამოყენებით, კვლევისთვის შესაბამისი საკვანძო სიტყვების საშუალებით (სარტყელი, სტრატეგიული პარტნიორობა, შუა დერეფანი, ჩინეთი, ჩინური, ჩინეთის ბაზარი, სი ძინპინი, PRC, ჩინური და ა.შ) ასევე, მედიური სპექტრის დაკონკრეტებით. უფრო ზუსტად, შერჩევის მიდგომისას გავითვალისწინეთ საქართველოს მედიასისტემის პოლარიზაცია და დავაკვირდებით ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე სატელევიზიო არხებს (ვისარგებლებთ TMI და TVMR -ის მონაცემებით), ყველაზე რეიტინგული არხებიდან ჩვენ ავიღეთ ავტორიტეტული მედიამონიტორინგის ანგარიშების მიხედვით 2 ოპოზიციური - „მთავარი არხი“ და „ტვ პირველი და 2 პროსახელისუფლებო - „იმედი“ და „პოსტ ტვ“ ასევე , ჩინეთის CCTV-სთან თანამშრომლობის დაწყების შემდეგ, კონტექსტურად დავამატეთ BM.ge.

ჩავატარეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამონიტორინგი და ანალიზი, რომელიც ჩვენი კვლევისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან მაუწყებლობის შესახებ კანონის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივ ვალდებულებებში (მუხლი 16) პირდაპირაა განსაზღვრული, რომ მაუწყებელი ვალდებულია „უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ - ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია.“

სატელევიზიო მედიაზე არჩევანი გავაკეთეთ იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ტელემედია დომინანტ საინფორმაციო საშუალებად რჩება საქართველოში.

თვისებრივი ანალიზისას ყურადღება გავამახვილეთ „დასავლური მოდელით“ აღიარებულ ჟურნალისტურ სტანდარტებზე; ყალბ ინფორმაციას, ფაქტების დამახინჯებას, არადაბალანსებულ გაშუქებას, უსამართლობას, უზუსტობას, მიკერძოებულ დამოკიდებულებას, ვიზუალიზაციას და სხვა

ნებისმიერ მეთოდზე, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებული ყოფილიყო პროპაგანდისთვის.

თვისებრივი მეთოდოლოგიის შედარების ტაქტიკა გამოვიყენეთ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების, ჩვენ მიერ განხორციელებული წინა კვლევების მონაცემებთან.

შედარების ტაქტიკა ასევე გამოვიყენეთ მედიასისტემის ანალიზის დროსაც, სამაგიდო კვლევის მიმდინარეობის პროცესში. კერძოდ სისტემური კვლევის ფოკუსი იყო საქართველოს მედიაბაზარი, აქ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვყავით ჩინეთთან დაკავშირებულ ან მფლობელობაში არსებული ბიზნესკომპანიები, რომლებიც არიან რეკლამის განმთავსებლები ქართულ მედიაბაზარზე. ასევე, კვლავ განვაახლეთ სამაუწყებლო კომპანიების მფლობელთა შესახებ ინფორმაცია და შევადარეთ წინა პერიოდის მონაცემებთან.

კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა სიღრმისეულ ინტერვიუებს, რომელიც დავიწყეთ კონტენტ ანალიზის პირველადი მიგნებების მიღებისას, რომელიც ჩატარდა მონიტორინგის ქვეშ მყოფი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[6]

თავისი სტრუქტურისა და კითხვების ტიპიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზნებისთვის შევარჩიეთ ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუ. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა კონტენტ ანალიზის შედეგად გამოკვეთილი მიგნებების ფონზე, წინასწარ შერჩეული რესპონდენტებისაგან დეტალური, ღრმა და თანამიმდევრული ინფორმაციის მიღება მათი გამოცდილებისა და აღქმების შესახებ, რაც შესაძლებელს გახდიდა გარკვეული საზოგადოებრივი კანონზომიერებების დადგენასა და საერთო ხასიათის დასკვნების გამოტანას.

სიღრმისეული ინტერვიუს კვალიფიციურად და ეფექტიანად ჩატარების მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ ე. წ. სადისკუსიო გეგმა, ერთგვარი სამუშაო ინსტრუმენტი, რომელიც დაგვეხმარა ინტერვიუს პროცესის კონტროლში, რომ არ გამოგვრჩენოდა მნიშვნელოვანი საკითხები და ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია მიგვეღო რესპონდენტისგან.

ამავე ეტაპზე, მსგავსი სტრატეგიით ჩავატარეთ ფოკუსჯგუფი, საშუალოდ თითოეულში 6 მონაწილით, შემდეგი სექტორული შერჩევით: 1. მედიის განვითარების მიმართულებით მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლები; 2. აკადემიის წარმომადგენლები; 3. სტუდენტები.

[6] სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა 4 მაღალი დონის მედიამენეჯერთან - პროდიუსერთან, რედაქციაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთან. მეთოდოლოგიურად და მათთან შეთანხმებით , ჩვენ არ ვაიდენტიფიცირებთ მათ. სიღრმისეულ ინტერვიუებში ჩაერთო: მთავარი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ბიემჯი და სინომედია. თარიღები: 05.04.2024 – 11.04.2024

ჩინეთი, მედიის მფლობელობა და დაფინანსების წყაროები

კვლევის ამ ნაწილში, ფაქტობრივ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაიგებთ, რომ ჩინეთი და მასთან აფილირებული ბიზნესკომპანიები არა მხოლოდ გვხვდებიან მედიის მფლობელთა შორის, არამედ, ამგვარი აქტორების მხრიდან მედიის დაფინანსების სიხშირე მზარდია (მაგალითად 2023 წელს 2022 წელთან შედარებით).

მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სპეციალური ბაზიდან, რომელშიც ხელმისაწვდომია ინფორმაცია ქართულ მედიაში კვარტალურად 7 ათას ლარზე მეტი გადამხდელების შესახებ, 2023 წელს დამატებით დავამუშავეთ 566 კომპანიის მონაცემი.

შედარების შემდეგ გამოიკვეთა, რომ წინა წლებთან შედარებით 7000 ლარს ზემოთ მედიებში სარეკლამო თუ სხვა ტიპის მომსახურების დამკვეთთა რაოდენობა გაზრდილია. (***დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1)***

დამუშავდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებგვერდზე არსებული მონაცემთა ბაზა. მონაცემები გადამოწმდა შესაბამისობის დეკლარაციებითა და სამეწარმეო რეესტრის ამონაწერების მიხედვით. შევადარეთ 2022 წლის და 2023 წლის მონაცემები.

ჯამში დავამუშავეთ 233 მედიაკომპანიის (ტელევიზია, რადიო, სხვა) მონაცემი. შესწავლის შედეგად მედიების მფლობელთა შორის 233 კომპანიიდან სამი მედიაკომპანია იყო აფილირებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. (***დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 1)***

მედიამონიტორინგი

კვლევის ამ ნაწილში გაეცნობით როგორც სამაუწყებლო, ისე ონლაინ-მედიის მონიტორინგის დეტალურ ანგარიშს, 01.04.2023 – 01.11.2023 პერიოდში.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

მედიაპლატფორმა:	საზოგადოებრივი მაუწყებელი
პლატფორმა:	საიტი - https://1tv.ge/
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ნატალი ნემსაძე
შესწავლილი მასალის რაოდენობა:	213
მასალების თემატიკა:	1. ჩინეთთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობა; 2. ჩინეთი და ომი უკრაინაში, 3. "ბრიქსი"; 4. საქსტატის სტატისტიკის ჭრილში ჩინეთი.

1. მედია ტექსტური ნიუსების სახით აქტიურად აშუქებდა ჩინეთთან გაფორმებულ სტრატეგიულ პარტნიორობას. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით, ძირითადად, მმართველი პარტიის ან იმ ადამიანების განცხადებები შუქდებოდა, ვინც პარტნიორობას დადებითად აფასებდა.
2. არხზე ვხვდებით მასალებს, რომლებიც სხვადასხვა სამთავრობო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა - ასეთ მასალებს ბოლოში აქვს მსგავსი მინაწერი - "ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტროს პრეს-სამსახური ავრცელებს“.
3. **ბრიქსზე მომზადებულ მასალებში, გარკვეულწილად, ეს გაერთიანება დიდი შვიდეულის საპირწონედ არის წარმოდგენილი.**
4. ვრცელი გადაცემა ჩინეთს პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენს. ტექსტური ნიუსები უმრავლესად ნეიტრალურია, გვხვდება უარყოფითიც.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებგვერდზე საკვანძო სიტყვებით [keywords] ძიებისას 213 მასალა მოიძებნა. არხი მასალებს აქვეყნებდა ჩინეთთან გაფორმებულ სტრატეგიულ ურთიერთობაზე, ბრიქსის კავშირზე, უკრაინაში ომზე ჩინეთის კონტექსტით, ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებზე, ვხვდებოდით საქსტატის სტატისტიკაზე მომზადებულ მასალებს და ა.შ

ნეიტრალური - 164

დადებითი - 30

უარყოფითი - 19

ჩინეთთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობა:

ნიკოლოზ სამხარაძე - ჩინეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით მისი პოზიცია არის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი, ის ჩვენი მოკავშირეა

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობას ნიკოლოზ სამხარაძე წარმოაჩენს, როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ხელშემწყობ ფაქტორს.

„ჩინეთი არის გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ხუთი წევრიდან ერთ-ერთი და, შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით მისი პოზიცია არის ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი. აქ ჩინეთი ბუნებრივად არის ჩვენი მოკავშირე, რადგან ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მისთვისაც არის ნომერი პირველი პრიორიტეტი, ტაივანის საკითხიდან გამომდინარე. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ჩვენი და ჩინეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ, ორივეს, გვინდა, გაერო-ს ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის ფუძემდებლური პრინციპი იყოს შენარჩუნებული“, – განაცხადა სამხარაძემ.

გარკვეულწილად, ამ აზრს ავითარებს ჟურნალისტის კითხვაც, სადაც ვხედავთ მინიშნებასაც, რომ ჩინეთ-რუსეთის პარტნიორობა პრევენციას უწევს რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს.

"გიორგი გვიმრაძის შეკითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ნაწილში ის ფაქტი, რომ ჩინეთ-რუსეთი ერთმანეთის პარტნიორებად ყალიბდებიან და ეს პარტნიორობა, გარკვეული თვალსაზრისით, რუსეთიდან მომდინარე აგრესიის პრევენციასაც უნდა გულისხმობდეს, რადგან რუსეთს ჩინეთის ინტერესებთან დაპირისპირება არ უნდა უნდოდეს, ამ შემთხვევაში კავკასიის რეგიონში. ნიკოლოზ სამხარაძემ აღნიშნა, რომ, რაც უფრო დიდი ქვეყანა იქნება დაინტერესებული საქართველოში მშვიდობით, სტაბილურობით და თუნდაც შუა დერეფნის უსაფრთხო განვითარებით, ეს მით უკეთესია საქართველოს უსაფრთხოებისთვის." - ვკითხულობთ მასალაში.

სტრატეგიულ პარტნიორობასთან დაკავშირებით არხზე ჭარბობს ქართული ოცნების წარმომადგენლების განცხადებები. არხი ამ თემის

ირგვლივ ავრცელებს ირაკლი ზარქუას, ეკა სეფიაშვილის, გია ვოლსკის, მაკა ბოჭორიშვილის და ქართული ოცნების სხვა ლიდერების ციტატებს. ნაკლებად შეხვდებით დასავლელი და ამერიკელი პარტნიორების მიერ გავრცელებულ განცხადებებს, სადაც ისინი სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმების საფრთხეებზე მიუთითებდნენ. იშვიათია ოპოზიციის წარმომადგენლების კრიტიკაც, თუმცა ვხვდებით შემდეგ მასალებს.

> ***რომან გოცირიძე - ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღ-რმავება ერთმნიშვნელოვნად კარგია, განსაკუთრებული შეთქმულების თეორიით ამ საკითხის განხილვა არ არის სწორი.***

მიუხედავად იმისა, რომ რომან გოცირიძე „ნაციონალურ მოძრაობას“ წარმოადგენს, მისი ციტატა არ ასახავს ოპოზიციის სხვა წევრების განწყობას. მისი ამ კომენტარით ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმება ცალსახად დადებითია.

ციტატა ამ მასალიდან:

“ზოგადად, სტრატეგიულ პარტნიორობის შინაარსში ჩინეთი დებს უამრავ სხვადასხვა შინაარსს და ეს არ არის იმის მსგავსი, რასაც დებს აშშ. ევროკავშირის ლამის ყოველ მეორე ქვეყანას აქვს მსგავსი შეთანხმება გაფორმებული ჩინეთთან და, მათ შორის, უკრაინასაც. ამიტომ ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავება არის კარგი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიყოთ ფრთხილად ისეთი ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით, რომლებიც საერთო ინტერესებშია ჩვენს დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებთან, მაგალითად, თუნდაც ანაკლიის პროექტი და ა.შ. ამიტომ უნდა მივუდგეთ ამ საკითხებს სიფრთხილით, მაგრამ ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ერთმნიშვნელოვნად კარგია. განსაკუთრებული შეთქმულების თეორიით ამ საკითხის განხილვა არ არის სწორი“, – განაცხადა გოცირიძემ.

სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ოპოზიციიდან კრიტიკულ განცხადებას ვისმენთ „გირჩისგან“ - სწორედ, „გირჩის“ წევრის კომენტარია ამ საკითხზე.

> ***ალექსანდრე რაქვიაშვილი - ჩინეთთან ურთიერთობების დალაგებას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ***

“უნდა გვახსოვდეს, რომ ჩინეთი ყველაზე აგრესიული და ტირანული ქვეყანა მსოფლიოში, რუსეთზე ბევრად უფრო უარესია და გაგვიმართლა, რომ ჩვენი მეზობელი არ არის. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკურად დიდ საფრთხეს წარმოადგენს და ჩინეთთან ურთიერთობების დალაგებას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ,“ – ამის შესახებ „გირჩის“ წევრმა, ალექსანდრე რაქვიაშვილმა განაცხადა.

ამ საკითხის დადებითი გაშუქების მაგალითები:

ბექა ოდიშარია - დასანანია, რომ ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ერთ ნაწილს წარმოადგენენ ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ გეოპოლიტიკაზე, მიდრეკილნი არიან ბატონყმური წყობილებისკენ.

"ჩინეთი არის ქვეყანა, რომელსაც არ აქვს მიდრეკილება ექსპანსიონიზმისაკენ. ჩინეთს აქვს მიდრეკილება ცივილიზაციური განვითარებისკენ. *ჩინეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც დაძლია სიღარიბე და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ავიღოთ მაგალითი ამ უზარმაზარი ქვეყნისგან, მისი ძალიან ავტორიტეტული ლიდერისგან. "* - ბექა ოდიშარიას ციტატა.

გიორგი ცაგარეიშვილი - პრემიერის ჩინეთში ვიზიტი ისტორიულია, თანამედროვე სამყაროში ყველამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოს შეუძლია, იყოს ხელსაყრელი, სანდო პარტნიორი

„ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ახლა ამ ვიზიტს ძალიან დიდი ფასი შეიძლება, დავადოთ. ***ჩინეთი ზემძლავრი სახელმწიფოა.*** *გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ის არის უდიდესი გეოპოლიტიკური მოთამაშე არა მხოლოდ კონტინენტზე და იმ რეგიონში, არამედ, მსოფლიო მასშტაბით. ამიტომ, ამგვარ ქვეყანასთან სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმების გაფორმება და სტრატეგიულად ახალ დონეზე ურთიერთობების აყვანა, ორივე ქვეყნის ინტერესს შეესაბამება და, პირველ რიგში, შეესაბამება საქართველოს ინტერესებს, დაუფარავად“,* – განაცხადა ცაგარეიშვილმა.

ჩინეთი და ომი უკრაინაში:

არხზე ვხვდებით ისეთ მასალებს, რომლებიც ხაზს უსვამს ჩინეთის დადებით როლს უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში.

ჩინეთის ელჩი - „უკრაინის კრიზისის პოლიტიკური გადაწყვეტის თაობაზე“ ჩინეთის მიერ გამოქვეყნებულმა დოკუმენტმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, უკრაინულმა მხარემაც დადებითად შეაფასა ჩინეთის ძალისხმევა.

ემანუელ მაკრონი - ჩინეთს აქვს მთავარი როლი მშვიდობის დამყარებაში.

ჰენრი კისინჯერი - რუსეთსა და უკრაინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები, შესაძლოა, მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყოს.

ციტატა მასალიდან - *„ახლა, როდესაც ჩინეთი შევიდა მოლაპარაკებებში, ვფიქრობ, წლის ბოლომდე მოლაპარაკებები იქნება. ჩვენ ვისაუბრებთ მოლაპარაკების პროცესებზე და რეალურ მოლაპარაკებებზეც კი. ჩინეთის ხელახალი შესვლა საერთაშორისო სისტემაში მოხდებოდა. ამას საერ-თაშორისო სისტემიდან ვერ გამორიცხავთ“,* – აღნიშნა ჰენრი კისინჯერმა.

ირაკლი ღარიბაშვილი - ჩინეთი ცდილობს მედიაციას უკრაინასა და რუსეთს შორის, მივესალმები ნებისმიერ ძალისხმევას ნებისმიერი ქვეყნის ლიდერისგან, რომელიც მშვიდობისკენ უბიძგებს ქვეყნებს

„ფაინენშალ თაიმსი“ - უკრაინის მოკავშირეები საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში გამართულ შეხვედრაში ჩინეთის მონაწილეობას კონსტრუქციულს უწოდებენ

ციტატა მასალიდან -*„ფაინენშალ თაიმსის“ ინფორმაციით, შეხვედრა ჯიდაში კონკრეტული შედეგების გარეშე დასრულდა, თუმცა შეხვედრაში ჩინეთის მონაწილეობა აღქმული იქნა, როგორც გარდატეხა კიევის მხარეს და ღონისძიების მთავარი მოვლენა."*

გარდა ამისა, უკრაინის ომზე ჩინეთს რამდენიმე მასალაში უარყოფით კონტექსტისაც ვხვდებით:

ჩეხეთის პრეზიდენტი - რუსეთსა და უკრაინას შორის მშვიდობის დამყარებაში ჩინეთის ნდობა არ შეიძლება, რადგან პეკინისთვის ომის გაგრძელება მომგებიანია;

აშშ-ის დაზვერვა - ჩინეთი რუსეთს აწვდის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებს უკრაინის წინააღმდეგ ომში გამოსაყენებლად.

ვხვდებით ისეთ მასალასაც, სადაც ჩინეთი ამერიკას უკრაინის ომში "ცეცხლზე ნავთის დასხმაში ადანაშაულებს". ამ შინაარსის განცხადებას საქართველოში ჩინეთის ელჩი აკეთებს:

"ახლო აღმოსავლეთის ბედი უნდა გადაწყვიტოს იქ მცხოვრებმა ხალხმა. მეორე მხრივ კი, სახეზე გვაქვს ისეთი ფაქტები, როდესაც აშშ ცეცხლზე ნავთს ასხამს და ერევა სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში. იგივეა უკრაინის შემთხვევაში, აშშ ცეცხლზე ნავთს ასხამს, რადგან სამხედრო დახმარებით, ცალმხრივი სანქციებით და სხვა საშუალებებით მუდმივად ხელს უწყობს კრიზისის ესკალაციას“.

აღნიშნული ნიუსი საკმაოდ ვრცელია და მხოლოდ ელჩის ასევე ვრცელი ციტატის გადმოტანით შემოიფარგლება. აშშ-ს პოზიცია ან ჟურნალისტის ჩანართი ამ კუთხით მასალაში არ გვხვდება.

მასალები ბრიქსზე:

მონიტორინგის პერიოდში არხმა რამდენიმე მასალა მოამზადა ბრიქსზე. ერთ-ერთია - „ბრიქსი“ - დიდი შვიდეულის საპირწონე?

გახდება თუ არა ბრიქსი დიდი შვიდეულის საპირწონე ორგანიზაცია - სწორედ ამ კითხვით იწყებს ჟურნალისტი მასალის წარდგენას. რასაც შემდეგ სიუჟეტი მოჰყვება. მასალაში საუბარია, რომ პანდემიის შემდეგ ბრიქსის პირველი არავირტუალური შეხვედრა იმართება. აღნიშნულია ის დეტალიც, რომ შეხვედრას რუსეთის პრეზიდენტის ნაცვლად, სერგეი ლავროვი ესწრება, რადგან პუტინის დაკავების ორდერია გაცემული.

სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ ჩინეთის და რუსეთის მიზანია ეს გაერთიანება "გლობალურ ინსტიტუტებში დასავლეთის დომინირების საპირწონე გახადონ".

"ბრიქსი 2009 წელს დაფუძნდა და ამჟამად 5 ქვეყანას აერთიანებს, ბლოკი მსოფლიო მოსახლეობის 40 % ზე მეტს და გლობალური ეკონომიკის მეოთხედს წარმოადგენს, განვითარებული დემოკრატიებისგან შემდგარ დიდი შვიდეულზე კი მსოფლიო ეკონომიკის 44 % მოდის" - ჟურნალისტი.

"ჩვენ კარგად უნდა გამოვიყენოთ ბრიქსი ჰლუსის თანამშრომლობა და დავაჩქაროთ გაფართოების პროცესი. დაე, მეტი ქვეყანა შეუერთდეს ბრიქსის ოჯახს, გაერთიანოს სიბრძნე და ძალა, რათა გლობალური მმართველობა უფრო სამართლიანი და გონივრული გახდეს. “ - სი ძინპინი.

მასალაში აღნიშნულია, ისიც რომ - *"დასავლეთის ქვეყნებთან და მათ შორის ამერიკასთან მეტოქეობის მომხრე ბლოკის ყველა წევრი არ არის."*

„ფაინენშელ თაიმსი“ - დიდმა შვიდეულმა უნდა აღიაროს, რომ მსოფლიოს მართვა არ შეუძლია

მასალაში გადმოტანილია უცხოური გამოცემის სტატია, სადაც დიდი შვიდეულის “კრახზეა” საუბარი.

"პუბლიკაციის მიხედვით, არც გლობალური თანამშრომლობა და არც დასავლეთის ბატონობა განხორციელებადად არ გამოიყურება, რასაც შეიძლება, მოჰყვეს „გაყოფა“ და „ანარქია.“- წერს მაუწყებელი მასალაში.

ფაინენშელ თაიმსიდან თარგმნილ მასალაში ციტატა დიდ შვიდეულს და ჩინეთს ადარებს, ხაზს უსვამს ჩინეთის უპირატესობას. ამბობს, რომ “ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისთვის ჩინეთი უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია, ვიდრე დიდი შვიდეული: ამის მაგალითია ბრაზილია”. ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დიდი შვიდეულის წილი გლობალურ ეკონომიკაში შემცირდება, მაშინ როდესაც ჩინეთის პირიქით გაიზრდება.

„უფრო მეტიც, შეერთებული შტატების „უნიპოლარული“ მომენტიც და დიდი შვიდეულის ეკონომიკური დომინირებაც ისტორიაა. თუმცა, ისიც

მართალია, რომ ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ ყველაზე ძლიერი და შეკრული ეკონომიკური ბლოკია მსოფლიოში. ის აგრძელებს, მაგალითად, მსოფლიოს ყველა წამყვანი სარეზერვო ვალუტის წარმოებას. მიუხედავად ამისა, 2000-დან დაწყებული 2023 წლის ჩათვლით, მისი წილი გლობალურ გამომუშავებაში (მსყიდველობითი უნარით) 44-დან 30 პროცენტამდე შემცირდა, მაშინ როდესაც ყველა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნის წილი 57-დან 41 პროცენტამდე შემცირდა. იმავდროულად, ჩინეთის წილი შვიდიდან 19 პროცენტამდე გაიზრდება. ჩინეთი ახლა ეკონომიკური სუპერსახელმწიფოა. თავისი „სარტყლისა და გზის“ ინიციატივით, იგი გახდა უზარმაზარი ინვესტორი (და კრედიტორი) განვითარებად ქვეყნებში, თუმცა, მოსალოდ-ნელია, რომ მას მოუწევს, გაუმკლავდეს დიდი შვიდეულის ქვეყნებისთვის ნაცნობ უიმედო ვალებს. ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისთვის ჩინეთი უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორია, ვიდრე დიდი შვიდეული: ამის მაგალითია ბრაზილია. "

მასალაში საუბარია "ბრიქსზეც", სტატია მიუთითებს ბრიქსის დიდ პოტენციალზე და სურვილზე, რომ მისი წევრები დამოკიდებული არ იყვნენ “აშშ-სა და მისი მოკავშირეების “ახირებებზე”.

"როგორც ჩანს, „ბრიქსი“ ახლა არის გზაზე, რომ გახდეს მსოფლიო მასშტაბის დაჯგუფება. ცხადია, მის წევრებს რაც აერთიანებს, არის სურვილი, არ იყვნენ დამოკიდებული აშშ-სა და მისი ახლო მოკავშირეების ახირებებზე, რომლებიც დომინირებდნენ მსოფლიოში ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში“, – ეს ციტატა აქვს გადმოტანილი საზოგადოებრივ მაუწყებ-ელს მასალაში.

საინტერესოა თავად ვიზულიც-გარეკანის ფოტო რითაც მედიამ ეს მასალა გამოაქვეყნა.

„ფაინენშელ თაიმსი“ - დიდმა შვიდეულმა უნდა აღიაროს, რომ მსოფლიოს მართვა არ შეუძლია

13:23, 25.05.2023

წყარო: https://1tv.ge/news/fainenshel-taimsi-didma-shvideulma-unda-aghiaros-rom-msoflios-martva-ar-sheudzlia/

მასალები სამთავრობო უწყებებიდან:

არხზე ხშირადაა მასალები რომელსაც მიწერილი აქვს, რომ ინფორმაციას კონკრეტული სამინისტრო ან უწყება ავრცელებს:

მაგალითები:

1. https://1tv.ge/news/saqartvelo-klimatis-mwvane-fondis-sabchos-37-e-shekhvedras-maspindzlobs/
2. https://1tv.ge/news/nikoloz-samkharadze-rac-ufro-meti-strategiuli-partniorobis-shetankhmeba-eqneba-saqartvelos-skhvadaskhva-sakhelmwifostan-mit-uketesi-iqneba-chveni-erovnuli-interesebis-dacvistvis/
3. https://1tv.ge/news/levan-davitashvili-arabta-gaertianebul-saamiroebtan-ekonomikuri-partniorobis-shetankhmeba-akhali-etapis-dasawyisia-or-qveyanas-shoris-urtiertobebshi/

< უკან

საქართველო „კლიმატის მწვანე ფონდის“ საბჭოს 37-ე შეხვედრას მასპინძლობს

ითვალე.

„კლიმატის მწვანე ფონდი“ (GCF) მსოფლიოს უდიდესი ფონდია, რომელიც განვითარებად ქვეყნებს ეხმარება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზნების განხორციელებაში.

თბილისში მიმდინარე GCF-ის საბჭოს 37-ე შეხვედრას ესწრებიან შესაბამისი სამინისტროების მაღალი რანგის წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნიდან (აშშ, პაკისტანი, გერმანია, იტალია, კანადა, საფრანგეთი, შვედეთი, შვეიცარია, ნორვეგია, დანია, არგენტინა, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იაპონია, ეგვიპტე და სხვა).

ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

ეკოლოგია | საზოგადოება | კლიმატის მწვანე ფონდი | ოთარ შამუგია

57

სიუჟეტი „42 პარალელიდან“

მასალაში უარყოფითად არის წარმოჩენილი ამერიკა. მასალის აღწერაშიც ნათქვამია შემდეგი: *"ბოლო წლებში ამერიკამ ჩინეთს ტექნოლოგიური სანქციები დაუწესა, რითაც ცდილობს ჩინეთის პროგრესი შეაფერხოს და არ მისცეს მას შესაძლებლობა, ამერიკას დაეწიოს."* ასევე ხაზგასმულია, რომ ამერიკის ტაივანით დაინტერესება მაღალტექნოლოგიურ მიკროჩიპებს უკავშირდება, და რომ ამერიკას არ სურს ჩინეთი მას ამ მიმართულებით განვითარებაში დაეწიოს.

"ჩიპების წარმოების ტაივანიდან ამერიკაში გადატანა, ამერიკის როგორც მოკავშირისა და უსაფრთხოების გარანტორის იმიჯზე არც ისე კარგად აისახება, მაგრამ სხვა რა გზა აქვს ამერიკას, *რომელსაც ჩინეთი ემუქრება , რომ ტაივანს დაესხმება თავს თუ ამერიკა კვლავ შეუშლის ხელს მას ტექნოლოგიურ პროგრესში. რა თქმა უნდა, ამერიკა არ აპირებს ჩინეთს მისცეს შესაძლებლობა ტექნოლოგიურად კიდევ უფრო წინ წაიწიოს და ამერიკის მსოფლიო ჰეგემონიას საფრთხე შეუქმნას , მას ურჩევნია წარმოება ტაივანიდან თავისთან გადაიტანოს, კუნძულის მნიშვნელოვნება შეამციროს*

და ამით ის, როგორც ჩინეთის ბერკეტი, დღის წესრიგიდან მოხსნას", - ამბობს ჟურნალისტი გადაცემა „42 პარალელის“ სიუჟეტში.

თვალშისაცემი იყო ერთი გარემოება, რომ განსხვავებით მასალაში გამოყენებული ყველა სხვა კომენტარისგან, პრეზიდენტ ჯო ბაიდენის გამოსვლა ორიგინალი ხმით ქართული გახმოვანების გარეშე არის დატოვებული და მას მხოლოდ ქართული ტიტრები ახლდა. სინქრონში ბაიდენს თითქოსდა ენა ებმის. რუსული დეზინფორმაციული წყაროები ხშირად მიუთითებენ ხოლმე ბაიდენის ასაკზე, საუბრისას დაშვებულ შეცდომებზე, დასცინიან მას და ა.შ. შესაძლოა, ეს სიუჟეტიც სწორედ მსგავსი შთაბეჭდილების მოხდენის მაგალითად განვიხილოთ. აუდიტორია სარკასტულად განაწყოს აშშ პრეზიდენტის მიმართ. ეს მაგალითი სწორედ ამ ნარატივის გამტარებლად გამოიყურება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი ტექსტური ახალი ამბის სახით გამოეხმაურა ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებულ კვლევას. არხს სათაურშივე აქვს გამოტანილი შემდეგი *"[ევროკავშირის] მოქალაქეებს სურთ, ევროპა იყოს ნეიტრალური აშშ-ჩინეთის კონფლიქტში და ნაკლებად დაეყრდნოს ამერიკული უსაფრთხოების გარანტიებს."*

> *ევროკავშირის ქვეყნებში ჩატარებული კვლევის თანახმად, მოქალაქეებს სურთ, ევროპა იყოს ნეიტრალური აშშ-ჩინეთის კონფლიქტში და ნაკლებად დაეყრდნოს ამერიკული უსაფრთხოების გარანტიებს*

ამ მასალაში, კვლევაზე დაყრდნობით, არხი ჩინეთთან მიმართებით შემდგომ დასკვნებს გვთავაზობს:

1. ისინი არ აღიქვამენ ჩინეთს, როგორც ძალას, რომელსაც სურს, ძირი გამოუთხაროს ევროპას, და არ ეთანხმებიან ბაიდენის ადმინისტრაციის ნარატივს „დემოკრატია ავტოკრატიის წინააღმდეგ“.
2. ევროპელებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ რუსეთი და ჩინეთი ერთად მუშაობენ გლობალურ სცენაზე.
3. თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელშიც ჩატარდა კვლევა გაბატონებული შეხედულებაა, რომ ჩინეთთან ევროპის სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების რისკები და სარგებელი დაბალანსებულია.
4. კვლევა აჩვენებს, რომ ევროპის აშშ-სთან სიახლოვე არ ნიშნავს მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს მას ჩინეთის წინააღმდეგ ჰიპოთეტურ კონფლიქტში ტაივანთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, მასალაში პრობლემურია თავად კვლევის ამ სახით გამოქვეყნება. კერძოდ, მკითხველს ინფორმაცია არ აქვს რა კვლევის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე ან ფორმებზე. როდესაც ვკითხულობთ "კვლევა აჩვენებს, რომ ევროპის შეერთებულ შტატებთან აღქმული სიახლოვე არ ნიშნავს მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს აშშ-ს ჩინეთის წინააღმდეგ ჰიპოთეტურ კონფლიქტში ტაივანთან დაკავშირებით" - გაუგებარია რას ნიშნავს „აჩვენებს“ ანუ რა პროცენტია იმ ადამიანების ვინც ამ აზრს იზიარებს, რამდენია კვლევის ცდომილება და ა.შ.

კვლევის ამ ფორმით გადმოტანა ფართო მანიპულირების საშუალებას იძლევა და მკითხველისთვის სრულ სურათს არ ქმნის, და კვლევიდან გამოტანილი ეს დასკვნები ჩინეთის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას ქმნის, მაშინ როდესაც უცნობია კვლევის სხვა კითხვები ან ერთიანი სურათი.

კიდევ ერთი სტატია, რომელიც ჩვენს მონიტორინგში მოხვდა, ეხება ანალიზს იმისა თუ რატომ არის ფინეთი ყველაზე ბედნიერი ქვეყანა - საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ კითხვაზე საპასუხოდ ექსპერტის განმარტებებს და არსებულ კვლევას ეყრდნობა.

> *რატომ არის ფინეთი მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქვეყანა — ექსპერტის განმარტება #1tvმეცნიერება*

ამ მასალაში განხილულია თუ რატომ არის ფინეთი ყველაზე ბედნიერი ქვეყანა რა კრიტერიუმები გამოიყენება და სხვა. ანალიზის პროცესში სტატია სხვა ქვეყნის მაგალითებზეც საუბრობს და განიხილავს თუ რატომ არ არის ბედნიერების ინდექსი მაღალი ისეთ ქვეყნებში სადაც შემოსავლების უთანასწორობის დონე ფინეთის მსგავსია.

სტატია ჩვენთვის საინტერესოა, რადგან, სწორედ, ამ შედარებაში გვხვდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაც. მართალია მას მცირე ადგილი ეთმობა, მაგრამ, ავტორის მიგნება ძალიან მრავლისმთქმელია. კერძოდ, სტატიაში ვკითხულობთ - ***"ჩინეთში ხალხი სულაც არ არის ისეთი შეშინებული, როგორც ამას ხშირად დასავლეთში წარმოაჩენენ."***

„დოსიე“

"გადაცემა „დოსიე“ არის დოკუმენტურ ჟანრში გაცოცხლებული სხვა-დასხვა ეპოქისა და ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების ერთგვარი ტელე-ვიდეოთეკა. ეს არის ვიდეო დოკუმენტების დოსიეების ბიბლიოთეკა, რომელშიც შევაგ-როვებთ ამბებს, მოვლენებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს, შექმნეს ჩვენი ეპოქა ისეთი, როგორიც ის დღეს არის." - ეს არის მონაკვეთი იმ აღწერიდან რაც გადაცემა "დოსიეს" საიტზე აქვს მითითებული.

მონიტორინგი პერიოდში მოხვდა ჩინეთის შესახებ მომზადებული ორსაათნახევრიანი გადაცემა. მონიტორინგის ამ ეტაპზე მსგავსი ქრონო-მეტრაჟის მასალა ევროკავშირის ან ნატოს შესახებ არ შეგვხვედრია. - რადგანაც ამერიკა, ნატო, ან ევროკავშირი არ იყო მონიტორინგის საძიებო სიტყვები დამოუკიდებლად გადავამოწმეთ ამავე გადაცემაში იყო თუ არა მასალა მათ შესახებ.

მონიტორინგის პერიოდში ვხვდებით გადაცემებს შემდეგი სათაურებით:

- #დოსიე „შეერთებული შტატები. სიძულვილის იარაღი“
- #დოსიე „ამერიკული ხელოვნების ფარული სახე“
- #დოსიე „ბრიტანული დეკოლონიზაცია, ინგლისურად წასვლის ხელოვნება“.

ჩვენი კვლევის ამოცანებისთვის წარმოგიდგენთ იმ ეპიზოდს, რომელიც ჩინეთს მიეძღვნა.

#დოსიე „თავიდან შექმნილი ჩინეთი“

#დოსიე „თავიდან შექმნილი ჩინეთი“

23:15, 22.05.2023

ეს არის სატელევიზიო სივრცისთვის უჩვეულოდ ვრცელი, 2,5-საათიანი მასალა, რომელიც მთლიანად ჩინეთს ეძღვნება.

ფილმი ორ ნაწილადაა დაყოფილი. პირველი ნაწილი ჩინეთის იმპერიის ისტორიას ეთმობა, ხოლო მისი მეორე ნაწილი 1934-2022 წლების მოვლენებს. ფილმში სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები გვესაუბრებიან. კერძოდ, კოლუმბიის, ჰამილტონის, მანჩესტერის და სხვა უნივერსიტეტებიდან. ფილმი ფოკუსირებულია იმის დემონსტრირებაზე თუ რა გზა გაიარა და როგორ შეძლო ჩინეთმა მიუხედავად არაერთი შიდა თუ გარე დაპირისპირებისა მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. ფილმი შედარებით მცირე ქრონომეტრაჟით და ერთმნიშვნელოვნად დადებითად მოიცავს ჩინეთის ახლანდელი მმართველის სინ ძინპინის მოღვაწეობასაც.

პასაჟები პრეზიდენტ სი ძინპინის შესახებ:

"ოცნების განსახორციელებლად სი დათმობებზე წასვლას არ აპირებს: ჰონ კონგი, ტიბეტი, უიგური, ტაივანი - ჩინეთის ერთიანობას ვერაფერმა უნდა შეუშალოს ხელი, რა მოსაზრებაც უნდა ჰქონდეთ ამასთან დაკავშირებით დასავლეთის ქვეყნებს."

"დონალდ ტრამპი, ვიქტორ ორბანი, ვლადიმერ პუტინი, ჟაირ ბოლსონარუ - გრძელია მმართველების სია, რომელთათვისაც პოსტკომუნისტური ჩინეთი შთაგონების წყარო ხდება. აქ წესრიგია აქ სძულთ უწესობა, აქ ძალას სცემენ პატივს. მათთვის, ისევე როგორც ადამიანებისთვის, რომელთათვის ფული და უსაფრთხოება ადამიანის უფლებებზე მაღლა დგას ჩინეთი დროის სულს ასხამს ხორცს. " - ციტატა ფილმიდან.**

როგორც თავად წამყვანი გვიამბობს, ჩინეთის შესახებ პირდაპირი ან ირიბად საუბარი ადრე უკვე შემოგვთავაზეს, გადაცემებში: ჩუნ კო, სამყარო სი ძინპინის მიხედვით, ჩინეთი იპყრობს დასავლეთს, ტაივანის ციფრული დემოკრატია.

"ჩვენი ინტერესი ამ საოცარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ სრულიად ბუნებრივია. განსაკუთრებით, როდესაც იმ აბრეშუმის გზის ერთ-ერთ მონაკვეთს წარმოვადგენთ, რომელმაც დღეს თავისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობით შესაძლოა საუკუნეებსაც კი გადააჭარბა"- ამბობს წამყვანი.

„90-იან წლებში ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამ პერიოდში, თუნდაც მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ მაინც სუპერძალად ჩამოყალიბებისა და ეკონომიკურ დარგში შესაძლო ჰეგემონიის რაღაც შესაძლებლობა გააჩნდა, თითქოს იაპონია იყო, თუმცა 90-იანების ბოლოსკენ უძლიერესი სახელმწიფოების საერთაშორისო ძალიან დახურულ კლუბში ფანტასტიკური სისწრაფითა და დიდი ნაბიჯებით ჩინეთი შემოვიდა და მას შემდეგ არ შეუწყვეტია ეს გამაოგნებელი წინსვლა, რომელიც შეერთებული შტატების, თითქოს ხელშეუხებელ, აბსოლუტურ მონოპოლიას დიდი კითხვის ქვეშ აყენებს.

არასდროს კაცობრიობის ისტორიაში, ეკონომიკურად, სოციალურად, პოლიტიკურად ისეთი ჩამორჩენილი ქვეყანა, როგორც იყო ჩინეთი ჯერ კიდევ 2-3 ათეული წლის წინ ასეთი სისწრაფით არ გადაქცეულა ეკონომიკურ, სამხედრო, პოლიტიკურ გიგანტად, რომელიც ძალიან ახლო პერსპექტივაში სრულიად რეალურად ეცილება პირველობას პლანეტის უდიდეს ძალას.“ - ამბობს წამყვანი.

წამყვანი აღნიშნავს, რომ პროგნოზი - ჩინეთი ეკონომიკური კუთხით პირველი ქვეყანა გახდეს, საკმაოდ საფუძვლიანია. ყურადღებას ამახვილებს მის ეკონომიკურ, სამხედრო და კოსმოსურ სიძლიერეზეც.

"დასავლეთმა თავად შექმნა ეკონომიკური და პოლიტიკური მონსტრი და ახლა შეშფოთებული ადევნებს თვალს მისი დასავლური გონებისთვის სრულიად გაუგებარ, უჩვეულო, არაპროგნოზირებად ქმედებებს, თუმცა, როგორც სჩვევია ცდილობს მაინც და მაინც არ გაიხსენოს, რომ ეს ჩინური "მონსტრი" სულ რაღაც 200 წლის წინ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი, ძლიერი და აყვავებული იმპერია იყო, რომელიც ევროპამ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული მეთოდურად გაანადგურა. რომ შემდეგ მე-20 საუკუნის ბოლოს მარიშელის დოქტორ ფრანკენშტაინივით საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკურ მონსტრად მეტამორფოზირებული გაეცოცხლებინა. როგორც ცნობილია, ჩინეთი უკანასკნელი 20 საუკუნის მანძილზე, ანტიკიდან ინდუსტრიულ რევოლუციამდე, მთლიანობაში შეერთებულ შტატებზე და ევროპაზე გაცილებით ადრე უკვე წარმოადგენდა პლანეტის ყველაზე დიდ სუპერძალას.“ - წამყვანი.

ციტატები და მასალები საკუთრივ ფილმიდან:

“ძლიერმა და მოტივირებულმა ჩინელებმა საკუთარი ქვეყანა თავიდან შექმნეს”

“უკვე 2000 წელია მიუხედავად იმისა, თუ რომელი დინასტიაა სათავეში კარგავს თუ იბრუნებს მიწებს, სამყარო მის გარშემო ტრიალებს, ცენტრის გარეთ არსებობენ ჩინური გავლენის ქვეშ მყოფი ხალხები - იაპონელები, კორეელები და ვიეტნამელები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იმპერიას ხარკს უხდიდნენ. ამ ე.წ გაჩინურებული სამყაროს მიღმა იყვნენ ინდოელები, არაბები და ევროპელები, რომლებსაც ბარბაროსებს უწოდ-ებდნენ.”

აღნიშნულ ციტატას თან მოსდევს ტერმინ “ბარბაროსის“ განმარტება, რომლის თანახმადაც ის გამოიყენება არაჩინური წარმომავლობის ნების-მიერი კულტურის დასახასიათებლად.

ოპიუმის ომის აღწერა:

ფილმში ქრონოლოგიურად არის გადმოცემული ჩინეთის ისტორია. მასალაში საუბარია ოპიუმის ომზეც. ფილმის მიხედვით, 1860 წელს დასავლეთმა (ბრიტანელებმა და ფრანგებმა) საზაფხულო რეზიდენცია დაიკავეს და იქ არსებული სიმდიდრე გაანადგურეს. ბრიტანელებისა და ფრანგების მიერ სასახლის დაკავებას ფილმი ასე აღწერს:

"ევროპელებს ერთი სული აქვთ ეს საოცრებები მოიპარონ და გაანადგურონ. ბრიტანელ და ფრანგ ჯარისკაცებს მილიონამდე ნივთი ჩამოაქვთ ევროპაში ბოლოს კი ცინის დინასტიის იმპერატორთა მიწიერ სამოთხეს ცეცხლის ალში ხვევენ იმის საჩვენებლად თუ ვინ არის უფროსი"

ინტერვიუ ყოფილ ელჩთან ჩინეთში:

კითხვის დასმის დროს წამყვანი ამბობს შემდეგს: *"დასავლეთი საკმაოდ საშიში ნაწილია სამყაროსი. მათ, ვხუმრობ ხოლმე ესე ბრჭყალებში - ღმერთმა არ ქნას მათ მოშივდეთ თორემ რაღაცა ისეთებს ატრიალებენ ხოლმე ძალიან რომ უჭირს, რომ ეგეთი ჩინეთს არ დაუტრიალებია არასდროს".*

წამყვანი ამბობს, რომ ჩინეთი ვერ ადგება და ერთი ხელის მოსმით რუსეთის მხარეს ვერ დაიჭერს, რადგან მისი თქმით, დასავლეთის გარეშე ჩინეთი ჩამოიშლება. ჩინეთსაც სჭირდება დასავლეთი, შეიძლება უფრო მეტადაც.

ტელეკომპანია „იმედი“

მედიაპლატფორმა:	ტელეკომპანია „იმედი“
პლატფორმა:	https://www.imedi.ge/
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ნატალი ნემსაძე
შესწავლილი მასალის რაოდენობა:	206

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია "იმედის" ვებგვერდზე საკვანძო სიტყვებით [keywords] ძიებისას 206 პუბლიკაცია მოიძებნა. განსხვავებით წინა მონიტორინგისა, სადაც აქტიურად ვხვდებოდით ე.წ “კლიკების” მომგროვებელ ნიუსებს ჩინეთის შესახებ, ამ კვლევის ფარგლებში მსგავსი ნიუსები საერთოდ არ არის. ჩინეთი ძირითადად ფიგურირებს ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის, სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმების შესახებ მასალებში. გვხვდება მასალები ჩინეთში მომხდარ ბუნებრივ კატასტროფების შესახებაც. ტონები კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

ნეიტრალური - 156

დადებითი - 37

უარყოფითი - 13

მთავარი მიგნება არის ის, რომ წინა მონიტორინგთან შედარებით იმედის მასალებში ვეღარ ვხვდებით ნიუსებს, სადაც ჩინეთი დამაკნინებლად შეიძლებოდა ყოფილიყო მოხსენიებული.

მაგალითები წინა მონიტორინგიდან:

1. *ჩინეთში ტელეარხებს „არასაკმარისად მასკულინური“ გარეგნობის მქონე კაცების ჩვენება აუკრძალეს;*
2. *55 წლის ჩინელი 40 წელია, ერთსა და იმავე უნივერსიტეტში ჩარიცხვას ცდილობს;*
3. *შანხაის „დისნეილენდში“ ჩაკეტეს 33 863 ადამიანი, მას შემდეგ რაც ერთ-ერთ სტუმარს კორონავირუსი დაუდასტურდა.*

„იმედის“ სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე, რომელიც პროსამთავრობო ნარატივებს ავრცელებს, არხი ჩინეთისადმი მკვეთრად დადებითი ტონით ხასიათდება. **გვხვდება ახალი ამბები, იმის შესახებაც, რომ ჩინეთთან ურთიერთობების დაბალანსებაზე დასავლური ორგანიზაციებიც მუშაობენ.**

სავარაუდოა, რომ ჩინეთის შესახებ გარკვეულწილად შეცვლილი რიტორიკა ქართული ოცნების პოლიტიკიდან გამომდინარეობს. ჩინეთიც მაუწყებლის ყურადღების ცენტრში სწორედ ქართული ოცნების პოლიტიკისა და დღის წესრიგის გათვალისწინებითაა მოქცეული.

"პრემიერის ისტორიული ვიზიტი" - ასე აფასებს ტელეკომპანია იმედი ყველაზე ხშირად ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტს და მის მნიშვნელობას. საგულისხმოა, რომ ამ სიტყვას იყენებენ ქართული ოცნების წარმომადგენლებიც და თავად ირაკლი ღარიბაშვილიც ვიზიტის შესახებ საუბრისას.

განსხვავებით „მთავარი არხისგან“, „იმედზე“, ფაქტობრივად, არ ჩანს დასავლელი და ამერიკელი პარტნიორების კრიტიკა იმის შესახებ, რომ სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმებით საქართველო დასავლეთს შორდება.

თუმცა, სამაგიეროდ გხვდება ისეთი მასალები როგორებიცაა:

1. დასავლეთი ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე მუშაობს;
2. შეერთებული შტატების ვაჭრობისა და კომერციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჩინეთში იმყოფება;
3. ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობა;
4. აშშ-მა „შავი სიიდან“ 27 ჩინური კომპანია ამოიღო.

წყარო: https://www.imedi.ge/video/136046/dasavleti-chinettan-urtiertobebis-gaumjobesebaze-mushaobs

ვფიქრობთ, მსგავსი მასალები ემსახურება იმას, რომ გაამართლოს საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებული სტრატეგიული ხელშეკრულება დასავლელი და ამერიკელი პარტნიორების კრიტიკის ფონზე. მსგავსი ნიუსებით მაუწყებელი, ცდილობს მაყურებელს აჩვენოს, რომ ჩინეთთან თანამშრომლობა დასავლეთსა და ამერიკასაც აქვს და მეტიც, "ურთიერთობების გაუმჯობესებას" ცდილობს.

ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუ ჩინეთის ტელევიზიასთან:

12 აგვისტოს ტელეკომპანია იმედმა, 9 ჭრით, სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებაში გააშუქა მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინტერვიუ ჩინეთის ტელევიზიასთან.

ამ მასალებში არსადაა ნახსენები ის კრიტიკა, რაც ამ პარტნიორობის გაფორმებას მოჰყვა. ჟურნალისტის შესავალ ტექსტს პირდაპირ მოსდევს ინტერვიუდან ამონარიდები, სადაც დადებითი ტონი ჭარბობს ჩინეთისა და სი ძინპინის მიმართ.

"ისტორიული ვიზიტი ჩინეთში"

"გადაცემას, რა თქმა უნდა, დავიწყებ ჩინეთით. ქვეყანა, რომელიც თითქმის, მილიარდ ნახევრიანი მოსახლეობით მსოფლიოში პირველია და მეორე მსოფლიო ეკონომიკაა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ხდება. ფაქტია, ქართული ოცნების გუნდმა, პრემიერის ხელმძღვანელობით, პარტნიორობის უმაღლეს ლიგაში კიდევ უფრო გაუმყარა პოზიციები" - ჟურნალისტი .

"ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში თავისი მნიშვნელობით არის ისტორიული. ისტორიულია პრეზიდენტ სი ძინპინთან პირისპირ შეხვედრა, სადაც ღიად ითქვა, რომ იწყება ახალი ეტაპი."

ჟურნალისტი სანდრო გამსახურდია ყურადღებას ამახვილებს ჩინეთის ეკონომიკურ გავლენებსა და სიძლიერეზე, ხაზს უსვამს გლობალურ ეკონომიკაში ჩინეთის ზრდასაც. ამავე მასალაში საუბარია ჩინეთში შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნაზე.

"ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, გავლენიანი სახელმწიფოა. ერთი მილიარდ 412 მილიონიანი მოსახლეობით და მოწინავე ეკონომიკით. მსოფლიოს ნომერი პირველი ექსპორტიორი. უმსხვილესი დადებითი სავაჭრო სალდოს მქონე ქვეყანა. რომლის სავაჭრო პოზიციები გლობალურ ეკონომიკაში წლიდან წლამდე იზრდება. ჩინეთი მსოფლიოში ეკონომიკური სიდიდით ნომერ მეორე ადგილზეა, პირველ პოზიციას ამერიკის შეერთებული შტატები იკავებს, სადაც მთავარ ექსპორტიორ ქვეყნად, სწორედ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ითვლება. არაერთი წამყვანი სპეციალისტის თუ ავტორიტეტული გადმოცემის პროგნოზით, ჩინეთის ეკონომიკა პირველ ადგილზე ამავე დეკადაში 2028-30 წლებში გადავა. ***პლანეტის მასშტაბით ალბათ, არ არსებობს ოჯახი, სადაც ვერ იპოვით ნივთს წარწერით- დამზადებულია ჩინეთში - ყველაზე უკეთ სწორედ ეს ფაქტი ასახავს ქვეყნის ეკონომიკურ გავლენას მსოფლიოს ყველა კონტინენტზე."***

"როდესაც მსოფლიოს მრავალი ეკონომიკა რეცესიის ზღვარზეა ჩინეთი განვითარებას არ წყვეტს, გლობალური პანდემიისა და ლოკდაუნების შემდეგ ქვეყანას წელს 5.2 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა აქვს."

წყარო: https://www.imedi.ge/ge/video/134037/istoriuli-viziti-chinetshi

მასალაში ჟურნალისტი ხაზს უსვამს იმ ასპექტს, რომ ქვეყნისთვის განვითარებასთან ერთად პრიორიტეტული ტრადიციების შენარჩუნებაა - *"სახელმწიფოს მთავარ პრიორიტეტად რჩება ისტორიისა და ტრადიციების შენარჩუნება".* ტრადიციებზე და მათ დაცვაზე ხშირად მიუთითებს „ქართული ოცნებაც.“ ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ სტრატეგიული პარტნიორობა დასავლეთის არაერთ ქვეყანას აქვს.

16-წუთიან მასალაში არსად არის ნახსენები ოპოზიციის ან დასავლელი პარტნიორების შეფასებები. ან საფრთხეები, რაც, შესაძლოა, გაფორმებულ სტრატეგიულ ურთიერთობას მოჰყვეს.

ჩინეთის ეროვნული დღე

4 მასალა დაუთმო ამ თემის გაშუქებას სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებაში ტელეკომპანიამ. ოთხივე მასალაში წამყვანია ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა.

“ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების 74-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ოფიციალურ მიღებაზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი სიტყვით გამოვიდა. ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის კულტურაზე, ისტორიასა და მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ საქართველო - თავისი გამორჩეული ისტორიით, უნიკალური ტრადიციებითა და პროგრესული მისწრაფებებით - აღიარებს ჩინეთთან ძლიერ კავშირს.“ - ჟურნალისტის ტექსტი.

„იმედის“ სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც ქართული ოცნებისადმი მკვეთრი მიკერძოებით ხასიათდება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მაყურებელს ირაკლი ღარიბაშვილის ენით ხშირად მიეწოდება ისეთი ხოტბის შემცველი შინაარსი ჩინეთთან დაკავშირებით, როგორიც, მაგალითად, ამ შემთხვევაშია.

"ჩინეთის კულტურული სიმდიდრე ცხადყოფს ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბებაში ტრადიციის მატარებელ ძალას და ეფექტს. ჩინეთის კულ-

ტურა, რომელიც ათასწლეულებს მოიცავს, გულისხმობს კონფუციანელობას, ხაზს უსვამს პატივისცემასა და იერარქიას, დაოიზმის ჰარმონიას ბუნებასთან და წონასწორობასთან, ტრაპეზში ჩაის როლს და სტუმართმოყვარეობას. ჩინური კალიგრაფია ხოტბას ასხამს ესთეტიკას, ხოლო ჩინეთის დიდი კედელი ისტორიისა და მიზანდასახულობის სიმბოლოა. მართლაც აღმაფ-რთოვანებელია, თუ როგორ მოახდინა ჩინეთმა თავისი წინაპრების სიბრძნის საფუძველზე, შეუფერხებლად გააერთიანებინა ტრადიციული ღირებულებები უახლეს ტექნოლოგიებთან და ინოვაციურ სტრატეგიებთან და გადაქცეულიყო გლობალური ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად. ძველისა და ახლის ეს ჰარმონიული შერწყმა ცხადყოფს, რომ ჩინეთის წინსვლა განპირობებულია არა მხოლოდ მისი სამომავლო ამბიციებით, არამედ ისტორიული მემ-კვიდრეობის, როგორც ძალისა და შთაგონების წყაროს, მიმღებლობის უნარით“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ამ გამოსვლაშიც ღარიბაშვილი ხაზს უსვამს ჩინეთს, როგორც ტრადიციების ერთგულს - *„შეუფერხებლად გააერთიანებინა ტრადიციული ღირებულ-ებები უახლეს ტექნოლოგიებთან“.*

პრემიერ-მინისტრის ინტერვიუ:

"გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ პრეზიდენტი სი ძინპინი ჭეშმარიტად სამაგალითო ლიდერია. ის მასშტაბური ხედვის მქონე, ბრძენი ადამიანია, რომელმაც დიდი საქმეები აკეთა თავისი დიდი ერისთვის. ის ძალიან ამბიციურ პროექტებსა და რეფორმებს ახორციელებს თქვენი ქვეყნისა და ერისთვის. მიმაჩნია, რომ ის შთაგონების მომცემი ლიდერია...” - ირაკლი ღარიბაშვილი.

„მთავარი არხი“ ღარიბაშვილის ამ გამოსვლის გაშუქებისას უთითებდა, რომ რეალურად, ჩინეთში ავტორიტარიზმია. არხი სი ძინპინის “ჭეშმარიტ ლიდერად“ მოხსენიებს აკრიტიკებდა. „იმედს“ კი ციტატა უპირობოდ ჰქონ-და გადმოტანილი.

ისტორიული ვიზიტი ჩინეთში და ტექნოლოგიური საოცრება ზაფხულის 31-ე საუნივერსიტეტო თამაშების გახსნაზე - ირაკლი ჩიხლაძის მონოლოგი

მასალაში ჟურნალისტი აკნინებს ოპოზიციის კრიტიკულ განცხადებებს ჩინეთთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, მათ შინაარსს აბსურდს უწოდებს და ოპოზიციის წევრებს "ცნობიერების გაღრმავებისკენ " მოუწოდებს. ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ:

1. ჩინეთი მეორეა ქვეყანაა მსოფლიოში ეკონომიკის მხრივ
2. პროგნოზის მიხედვით, 2028 წელს პირველი გახდება;
3. პირველი ექსპორტიორია მსოფლიოში;
4. ჩინეთს პარტნიორული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს სხვა ქვეყ-ნებთანაც.

"ბოლო 2 დღის განმავლობაში კონკრეტული პოლიტიკოსები და სამო-ქალაქო სექტორის კონკრეტული წარმომადგენლებისგან ისეთი აბსურდი მოვისმინეთ, მათ ადგილას, ჯერ ცოდნას გავიღრმავებდი და შემდეგ

დავიწყებდი უკვე სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბარსა და მსჯელობას, რომ კომპეტენტური სახით უფრო სასაცილოდ არ გამოჩენილიყვნენ საზოგადოების წინაშე. მარტივი მოსაძებნია სოციალურ ქსელებში ან „გუგლის“ საძიებო ველში ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორები, 100-მდე ქვეყანა თანამშრომლობს და არის პარტნიორი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან..."

"ჩინეთის ეკონომიკა, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ და გეტყვით, რომ მსოფლიოში სიდიდით მეორე ადგილზეა, თუმცა პროგნოზი აქვთ და დაანონსებულია, რომ 2028 წლისთვის იქნება პირველი ეკონომიკა.“

ამ შესავლის შემდეგ ჟურნალისტი ჩინეთში გამართულ ზაფხულის 31-ე საუნივერსიტეტო თამაშების გახსნის ცერემონიალზე საუბრობს და ღონისძიებას "ტექნოლოგიურ საოცრებას" უწოდებს.



წყარო: https://www.imedi.ge/ge/video/134039/istoriuli-viziti-chinetshi-da-teqnologiuri-saotsreba-zapkhulis-31e-sauniversiteto-tamashebis-gakhsnaze--irakli-chikhladzis-monologi

"გახსნაც არის და გახსნაც მე შევეცდები ძალიან საინტერესო დეტალები გაგიზიაროთ ეს ინფორმაცია ჩვენ ჩინური პრესიდან მოვიპოვეთ, რა თქმა უნდა".

ჟურნალისტი არაერთი ეპითეტით ახასიათებს გახსნის ცერემონიალს: *"მისტიკური შოუ" , "ტექნოლოგიური რევოლუცია" "საზეიმო და ჯადოსნური გახსნა"* და ხაზს უსვამს, რომ ფეიერვერკისა და განათებების დროს ეკოლოგიური მასალები იყო გამოყენებული.

*"გახსნის ცერემონიალის გენერალურმა დირექტორმა გახსნის ცერემონიამდე ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ფეიერვერკი ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან იყო დამზადებული, პიროტექნიკა გოგირდის დაბალი შემცველობის იყო, მძიმე მეტალებს არ შეიცავდა რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამონაბოლქვის წარმოქმნის სულფატის რაოდენობას **აი, ამაზეც კი ფიქრობდნენ ორგანიზატორები"**.*

მასალის ბოლოს კი, დაახლოებით წუთ-ნახევარი გახსნის ცერემონიის კოლაჟია.

გარდა პოლიტიკური საკითხებისა, მონიტორინგის პერიოდში არაერთი სიახლე გავრცელდა ჩინეთში მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ, თუმცა ამ მასალებში ტონი ნეიტრალური იყო.

1. სტიქია ჩინეთში;
2. სტიქია ჰონგ კონგსა და ჩინეთში;
3. ჩინეთში ტაიფუნის გამო 36 000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

უარყოფითი გაშუქების მაგალითები:

აშშ-ჩინეთის ურთიერთობები

ჯო ბაიდენი ჩინეთთან დაკავშირებით მორიგ გაფრთხილებას ავრცელებს. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თქმით, ოფიციალური პეკინი, ეკონომიკური გამოწვევების გამო, ახლა წამზომიან ბომბს ჰგავს, რომელიც ნებისმიერ წუთს შეიძლება აფეთქდეს. ჯო ბაიდენის თქმით, ჩინეთს ამჟამად ეკონომიკური პრობლემები აქვს, რაც მას არაპროგნოზირებადს ხდის. თეთრი სახლის ლიდერი განმარტავს, რომ მას არ სურს ოფიციალურ პეკინს რამე ავნოს, არამედ მასთან რაციონალური ურთიერთობების განვითარება ურჩევნია.

ჩინეთის, რუსეთისა და ირანის საიდუმლო მოლაპარაკებები

ირანი ჩინეთთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებს, რუსეთი კი სანქცირებული სარაკეტო საწვავის მოპოვებას ცდილობს - ამ სათაურის სტატიას აქვეყნებს გამოცემა "პოლიტიკო". სტატიის მიხედვით, ჩინეთს, რუსეთსა და ირანს შორის მიმდინარე საიდუმლო მოლაპარაკებების მიზანი, ბალისტიკური რაკეტებისთვის ქიმიური ნაერთის მარაგის შევსებაა.

უარყოფითი ტონის მქონე მასალა 13-ია. წინა მონიტორინგის ანგარიშში ეს რიცხვი 30-ს აღემატებოდა.

მთავარი არხი

მედიაპლატფორმა:	„მთავარი არხი“
პლატფორმა:	https:// mtavari.tv/
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ნატალი ნემსაძე
შესწავლილი მასალის რაოდენობა:	176

საანგარიშო პერიოდში "მთავარი არხის“ ვებგვერდზე საკვანძო სიტყვებით [keywords] ძიებისას **176 მასალა** გამოქვეყნდა. ტონების მიხედვით, როგორც წინა კვლევის დროს ყველაზე მეტი მასალა ნეიტრალური ტონის მატარებელი იყო. უარყოფითი ტონი 8-ჯერ აღემატება დადებით ტონს.

ნეიტრალური - 116

დადებითი - 6

უარყოფითი - 53

იმის გათვალისწინებით, რომ მთავარი არხი ყოველდღიურ სიახლეებზე მუშაობს და ყოველდღიური განახლება აქვს სიახლეებიც მიჰყვება იმ დღის ან პერიოდის აქტუალურ თემებს. რადგანაც მონიტორინგის პერიოდი მოიცავდა ღარიბაშვილის ჩინეთში ვიზიტს და სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმებას მასალების უმრავლესობაც სწორედ ამ საკითხების ირგვლივაა.

მონიტორინგის პერიოდში მოხვდა ისეთი თემებიც როგორიცაა:

1. ჩინეთთან გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობა შეფასებები თემის ირგვლივ [უარყოფითი]
2. დასავლელი და ამერიკელი ლიდერების ვიზიტი ჩინეთში,
3. საქართველოს მხრიდან ჩინეთისთვის უვიზო მიმოსვლის შემოღება;
4. ჩინეთი უკრაინის ომის კონტექსტში;

მიგნებები:

1. „მთავარი არხი“ ჩინეთს მკვეთრად უარყოფითი ტერმინოლოგიით მოიხსენებს და რუსეთის მოკავშირედ და პარტნიორად განიხილავს;
2. მთავარი არხის რიტორიკა, ჩინეთსა და რუსეთს შორის პარალელების გავლებაზე არ შეცვლილა წინა კვლევასთან შედარებით;
3. ექსპერტები და ოპოზიციური პარტიები აკრიტიკებენ ჩინეთთან გაფორმებულ სტრატეგიულ პარტნიორობას.

"რუსეთის მოკავშირე ჩინეთი", "სი ძინპინის ავტორიტარული რეჟიმი", "კრემლის მოკავშირე ჩინეთი", "კრემლის ყველაზე საიმედო გლობალურ პარტნიორი", - ამ და სხვა სიტყვებით არის მოხსენიებული ჩინეთი იმ მასალებში, სადაც ჩინეთ-საქართველოს შორის გაფორმებულ სტრატეგიულ პარტნიორობასა და პარტნიორობის საფრთხეებზეა საუბარი. მსგავს ტერმინოლოგიას ვხვდებოდით წინა მონიტორინგის პერიოდშიც.

„მთავარი არხის" რიტორიკა, ჩინეთსა და რუსეთს შორის პარალელების გავლებაზე არ შეცვლილა. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ეს რიტორიკა გაძლიერებულია კიდეც.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასალებში ხაზგასმულია ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობა, არხზე გასული მასალების კრიტიკა უკავშირდება უშალოდ სტრატეგიული პარტნიორობის გაფორმებას და თანამშრომლობის პოლიტიკურ შემადგენელს. მაგალითად, 2023 წლის 6 ოქტომბერს გამოქვეყნებულ მასალაში - "ინტერესი ანაკლიის პორტში - საფრთხეები ღარიბაშვილის მიერ, სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადებული ჩინეთიდან", ჟურნალისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინეთთან ეკონომიკური თანამშრომლობა საქართველოსთვის დადებითი პროცესია.

"მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს ჩინეთთან ეკონომიკური და სტრატეგიული პარტნიორობა, ბუნებრივია, რომ ჩინეთთან როგორც გიგანტ ბაზართან ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისთვის ცალსახად დადებითი ნაბიჯია და ამის საფუძველი ჯერ კიდევ 1992 წელს ჩაიყარა. ... მაგალითად, გასული წელს ჩინეთი საქართველოს ყველაზე მსხვილი საექსპორტო პარტნიორი გახდა, ხოლო იმპორტში იგი რიგით მესამე ქვეყანაა. მაგრამ რა იცვლება მაშინ როდესაც საუბარია სტრატეგიულ პარტნიორობაზე, ქვეყანასთან რომელიც დეკლარირებულად ავტორიტარული რეჟიმია და თანაც მზარდი ავტორიტარიზმით? ".

მონიტორინგის პერიოდში „მთავარი" არხი აშუქებდა დასავლელი და ამერიკელი პარტნიორების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, სადაც ისინი სტრატეგიული პარტნიორობის საფრთხეებსა და საქართველოს მიერ კურსის ცვლილებაზე მიუთითებდნენ.

მაგალითად ასეთებია:

1. "გავაგრძელებთ შემდგომი ნაბიჯების მონიტორინგს" | სახდეპი საქართველო-ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორობაზე;
2. როცა ყველა ცდილობს, ჩინეთისგან ეკონომიკურად უფრო დამოუკიდებელი გახდეს, საქართველო კვლავ სხვა მხარეს მიდის - კრამონი;
3. ღარიბაშვილი ანადგურებს საკუთარ ერს - კინზინგერი პრემიერის ჩინეთში ვიზიტს ეხმაურება;

ჩინეთის და მისი მმართველის მიმართ კრიტიკულ განცხადებებს ვხვდებით უკრაინაში ომთან დაკავშირებითაც:

1. ანალენა ბერბოკმა სი ძინპინს დიქტატორი უწოდა;
2. უკრაინამ ნავთობისა და გაზის მწარმოებელი სამი ჩინური კომპანია "ომის საერთაშორისო სპონსორების" სიაში შეიყვანა;
3. "რუსეთსა და უკრაინას შორის მშვიდობის დამყარებაში ჩინეთის ნდობა არ შეიძლება... პეკინისთვის ომის გაგრძელება მომგებიანია" | პაველი

თუ მაგალითად, „მთავარი არხის“ შეფასებით, პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ჩინეთში "პიონერულად" დახვდნენ - ("თავი რომ დავანებოთ ირაკლი ღარიბაშვილისთვის პიონერულ საბჭოთა დახვედრას ბეიჯინგში”), „იმედი“ მაყურებელს პოზიტიურ კონტექსტში აქტიურად აჩვენებს ჩინეთში გამართულ დახვედრის ცერემონიას.

არხების სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე „მთავარი არხი“ და ტელეკომპანია „იმედი“ განსხვავებული აქცენტებით და სიხშირით აშუქებდა ირაკლი ღარიბაშვილის ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიისთვის მიცემული ინტერვიუს. თუ „იმედმა“ 27-წუთიან ინტერვიუს „ქრონიკის“ სპეციალური გამოშვება დაუთმო და გარდა ამისა ინტერვიუდან ცალკეული სეგმენტები 9 - ჭრად გააშუქა, „მთავარი არხის“ შემთხვევაში მომზადდა მასალა - "ღარიბაშვილის ჩინური მისწრაფებები და ლტოლვა ავტორიტარული მმართველობისკენ - რას მიანიშნებს პრემიერის ინტერვიუ". მასალაში არხი რამდენიმე ექსპერტის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლის პოზიციას გვთავაზობს, რომლებიც საქართველო-ჩინეთს შორის გაფორმებულ სტრატეგიულ დოკუმენტს აფასებენ.

„მთავარ არხზე“ 15 აგვისტოს ორჯერ გამოქვეყნდა მასალა ირაკლი ღარიბაშვილის საერთაშორისო სკანდალში გახვეულ ჩინურ კომპანიაში მრჩევლად მუშაობის შესახებ. მასალები „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტურ გამოძიებას ეყრდნობა.

“ჟურნალისტური გამოძიების მასალები ადასტურებს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი პირდაპირ არის დაინტერესებული პეკინთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებით.”

უვიზო მიმოსვლა ჩინელებისთვის

(უვიზო მიმოსვლა ჩინელებისთვის | ღარიბაშვილის გადაწყვეტილება და მორიგი გეოპოლიტიკური განაცხადი)

ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცების საპირისპიროდ, რომ ჩინეთთან უვიზო მიმოსვლის შემოღება გაზრდის ტურიზმით მიღებულ შემოსავალს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური ეფექტურობას, მასალაში ვხვდებით ექსპერტების კომენტარებს, რომლებიც გადაწყვეტილების უარყოფითადა აფასებენ და ამბობენ რომ *აღნიშნული* გეოპოლიტიკური *განაცხადია*, რომელიც საქართველოს დასავლეთს აშორებს.

"ჩინური აღქმით სტრატეგიული პარტნიორობა ნიშნავს ეკონომიკურად დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყანაში შესვლას, ***რბილი ძალის მეშვეობით, მარტივად რომ ვთქვათ ვალში ჩაგდებას და ამის შემდგომ თავისი პოლიტიკის მაქსიმალურად გატარებას,*** *საქართველო ხვდება უძძიძეს სიტუაციაში, იმიტომ რომ, ფაქტობრივად, სტრატეგიული მნიშვნელობის, გეოპოლიტიკურად ძლიან მნიშვნელოვან ტერიტორიაზე შემოდის ჩინეთი, რომელიც უპირველესად შეეცდება გააკონტროლოს გადაზიდვები. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ დასავლეთთან ურთიერთობები გვიმთავრდება",* - გიორგი კუბლაშვილი, დიპლომატთა კლუბის წევრი საქართველოს ყოფილი ელჩი უზბეკეთსა და ტაჯიკეთში.

მასალაში იმის დასამტკიცებლად, რომ უვიზო მიმოსვლის შემოღება გეოპოლიტიკური განაცხადია, გიგა ბოკერია ამბობს შემდეგს:

"გვახსოვს თეა წულუკიანის შავრაზმული განცხადებები ზოგადად უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით, რომელიც წინა ხელისუფლების მხრიდან იყო შემოღებული მდიდარი ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებით და კერძოდ ჩინეთზეც, მისი ყველაზე წარმატებული და მდიდარი ნაწილის, ჰონგ კონგში მცხოვრები მოქალაქეების ან ჩინეთის იმ მოქალაქეების, მიმართ რომლებსაც უკვე ჰქონდა ამერიკის ან ევროკავშირს ვიზა. ამ ყველაფერს თავს ესხმოდნენ შავრაზმული პოზიციებიდან და ახლა ჩინეთის მოქალაქეებისთვის აპირებენ უვიზო მიმოსვლის დაშვებას. ეს არის აშკარად გეოპოლიტიკური განაცხადი და არა ეკონომიკური".

უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ არხმა მოამზადა მასალა იმის შესახებაც, რომ საქართველოში ჩინელი ტურისტების რიცხვი გაიზარდა. მასალაში ექსპერტები ჩინელი ტურისტების რიცხვის გაზრდას და მათ მიერ კომპანიების დაფუძნებას საფრთხედ აფასებენ და "პარალელს რუსი ტურისტების სიმრავლესთან ავლებენ".

"ტუროპერატორები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთის მოქალაქეების მსგავსად ჩინეთიდან შემოსულმა ადამიანებმაც იყიდონ საქართველოში უძრავი ქონება, გახსნან კომპანიები და ხანგრძლივი პერიოდით დარჩნენ საქართველოში".- ვკითხულობთ მასალაში.

ამ მასალაშიც აღნიშნულია ეკონომიკური სარგებელი ჩინეთთან თანამშრომლობის, თუმცა ხაზგასმულია, რომ ამ ეკონომიკური მოგებით საქართველოს პოლიტიკური ფასის გადახდა მოუწევს.

"ნებისმიერი მსხვილი პროექტი, რასაც ლობირებს ჩინეთი და აწარმოებს არის მიმართული დასავლეთის გავლენის შემცირებისკენ, ნატოს გავლენის შემცირებისკენ, გარკვეული რისკების მატარებელია, რომ ჩინეთი ყოველთვის ამგვარ პროექტებს აწარმოებს...ჩინეთი არც არის და არც აღიარებს დემოკრატიულ წყობას, რისკენაც მიისწრაფვის საქართველო და რაც აუცილებელია ევროინტეგრაციის. ეკონომიკურ პარტნიორად ჩინეთი საუკეთესოა, თუმცა ეკონომიკური პარტნიორობა არ მთავრდება მხოლოდ ეკონომიკური მიზნებით, ის ყოველთვის გადაიზრდება გარკვეულ პოლიტიკურ ასპექტებში" - ანდრო გოცირიძე კიბერუსაფრთხოების ექსპერტი.

კვლევის საანგარიშო პერიოდში არ მოხვდა პერიოდი, როდესაც უვიზო რეჟიმი აამოქმედა ჩინეთმაც.

დადებითი გაშუქების მაგალითები:

დადებითი ტონის მასალები „მთავარ არხზე", ამ მოცემულობით, ათეულსაც არ აღემატება და ძირითადად გვხვდება იმ შემთხვევაში როდესაც არხის მთავრობის წარმომადგენლის კომენტარებს პირდაპირ ციტატის სახით ავრცელებს.

სწორედ გაშუქების ამ პრინციპის გამოყენებით ვხვდებით მასალებს მსგავსი სათაურით - "სი ძინპინი შთაგონების მომცემი ლიდერია - ღარიბაშვილი" .

მასალაში ვრცლადაა გადმოტანილი კომენტარები, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის ტელევიზიაში ინტერვიუსას განაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტულ ნიუსსში ვერ ვხვდებით დამატებით ინფორმაციას და მხოლოდ ღარიბაშვილის ციტატით შემოიფარგლება სხვა მასალებში სიღრმისეულადაა განხილული ღარიბაშვილის ინტერვიუ, სადაც მაყურებელს ექსპერტების შეფასებების მოსმენის შესაძლებლობაც აქვს.

მხოლოდ ციტატაა ამ მასალის შემთხვევაშიც - *„ჩინეთი თავისუფლად შეიძლება გახდეს რიგით პირველი სავაჭრო პარტნიორი საქართველოსთვის - ღარიბაშვილი"*

არხზე პერიოდულად ვხვდებით ისეთ თემებს როგორიცაა :

1. ჩინეთში ჰაერის ტემპერატურის რეკორდული მაჩვენებელი - 52,2 გრადუსი დაფიქსირდა;
2. ჩინეთში სკოლის სპორტდარბაზის სახურავის ჩამონგრევის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა
3. ჩინეთში ერთ-ერთ საბავშვო ბაღში დანით თავდასხმას 6 ადამიანი, მათ შორის 3 ბავშვი, ემსხვერპლა
4. ჩინეთში წყალდიდობის შედეგად 5 ადამიანი დაიღუპა - 1 500-ზე მეტი ევაკუირებულია

ამ მასალების ტონი უარყოფითი არ არის, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ თავად ამბავი ნეგატიური სიახლეა, შესაძლოა ეს თავად ჩინეთზე, როგორც ქვეყანაზეც ვრცელდებოდეს. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ „მთავარ არხს" ამ მიმართულებით რაიმე სარედაქციო პოლიტიკა აქვს.

„პოსტ ტვ“

მედიაპლატფორმა:	„პოსტ ტვ“
პლატფორმა:	კვლევის პერიოდში „პოსტ ტვ-ის“ მასალების კვლევა განხორციელდა არხის ოფიციალური სოციალური ქსელების გვერდების (POSTTV, POSTTV-ახალი ამბები, POSTSTV _ ანალიტიკა,) და Google search-ის საშუალებით.
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ირმა ჭარაქაშვილი
შესწავლილი მასალის რაოდენობა:	76

კვლევის ფარგლებში პირველად განხორციელდა “პოსტ ტვ“-ს მონიტორინგი.

კვლევის ძირითადი მიგნებები:

მონიტორინგს დაქვემდებარებული 76 მასალიდან 2-ში იყო უარყოფითი ტონი, 50 - ნეიტრალური და 24 დადებითი.

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ პოსტ ტვ მიჰყვება განსაზღვრულ კურსს, ერთსა და იმავე თემაზე კომენტირებისას პოლიტიკოსები, ექსპერტები და ანალიტიკოსები მათ შეფასებაში ერთსა და იმავე ტერმინოლოგიას იყენებენ და ერთსა და იმავე საკითხებზე აპელირებენ. მაგალითად, სტრატეგიული ხელშეკრულების შემთხვევაში 3 მთავარი მიმართულება იკვეთება: ჩინეთის ეკონომიკური სიძლიერე, ევროკავშირსა და ჩინეთს შორის არსებული სტრატეგიული ხელშეკრულება, ჩინეთის და ამერიკის ჭიდილი ეკონომიკური სიძლიერის მიმართულებით და სხვა. ***(იხ. ვრცლად ქვემოთ)***

„პოსტ ტვ-ის“ შემთხვევაში ჭარბობს ჩინეთის თემატიკის მიმართ დადებითი ტონები. ჩინეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების საკითხი ისტორიულად ფასდება და მისი გაშუქებისას დადებითად არის საქართველოს მთავრობის ქმედებები და ნაბიჯები შეფასებული. ჩინეთის პოზიტიურ გაშუქებასთან ერთად, ძირითადად, მკვეთრად უარყოფით ტონშია მოხსენიებული დასავლეთი, ამერიკასთან, ნატოსთან, ევრო-კავშირთან საქართველოს ურთიერთობები და პერსპექტივები. ასევე, ქვეყნდება ისეთი ახალი ამბები, რომლებშიც ევროკავშირის წევრი აშშ-ს პოზიციებს არ

იზიარებს და მხარს უჭერს ერთი ჩინეთის პოლიტიკას. თუმცა, ამავდროულად, ხშირად ხაზგასმულია, რომ ჩინეთს აქვს სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება ევროკავშირთან.

ჩინეთის თემების გაშუქებისას აქცენტი კეთდება ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეზე, მასთან ვაჭრობის პერსპექტივის სიკეთეებზე და ხშირად ხაზგასმულია, რომ ჩინეთს სტრატეგიული თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს უკრაინასთან, ევროკავშირის ქვეყნებთან და ა.შ.

"საფრანგეთს სურს უკეთესი წვდომა ჩინურ ბაზარზე და უფრო "დაბალანსებული" სავაჭრო ურთიერთობა და არა მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკისგან "განშორება".

ჩინური ეკონომიკის სიძლიერეზე იმსჯელეს გადაცემა "კონსერვატორიის" თითქმის ერთსაათიან ეთერში შალვა რამიშვილმა და თანაწამყვანებმა. ჩინეთი წარმოჩენილია ამერიკის საპირწონედ, და აქცენტი გაკეთებულია შემდეგ მიმართულებებზე:

- *„ამერიკისთვის ახლა ყველაზე დიდი პრობლემა არის ჩინეთი თავისი მზარდი ეკონომიკური რესურსებით, ძალიან მალე აღმოჩნდება, რომ ჩინეთის ეკონომიკა გადაასწრებს ამერიკის ეკონომიკას. "*
- *„ევროკავშირში არის ერთი განწყობა, რომ ბოლომდე ამერიკის გვერდში ვდგავართ, და მეორე ნაწილი ხვდება რომ ევროკავშირი დამოკიდებულია, როგორც ამერიკაზე ისე ჩინეთზე. იმიტომ რომ უზარმაზარი სავაჭრო ბრუნვა აქვთ ერთმანეთთან. "*
- *„ჩინეთს არ უნდა მისი ღირებულებების დამკვიდრება, ჩინეთს უნდა ვაჭრობა. "*

ჩინეთთან დაკავშირებულ საკითხებზე, ძირითადად, ერთი და იგივე ექსპერტები და პოლიტიკოსები საუბრობენ: "ხალხის ძალის" წევრი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი; საზოგადოებრივი მოძრაობის "საქართველო უპირველეს ყოვლისა" დამფუძნებელი ვატო შაქარიშვილი და ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე. ისინი ჩინეთს ხაზგასმით მოიხსენიებენ, როგორც მსოფლიოში მეორე ეკონომიკის მქონე ქვეყანას.

ჩინეთთან დაკავშირებით აქტიურად შუქდება პრემიერის ვიზიტი, ასევე ბიზნესფორუმზე მისი სიტყვით გამოსვლა - ძირითადად დადებით კონტექსტში.

28 ივლისის საინფორმაციო გამოშვებაში, რომელიც, სწორედ, აღნიშნული ვიზიტის გაშუქებით დაიწყო და წამყვანის მიერ მოხსენიებული იყო "ისტორიულ ვიზიტად", ადგილიდან ჩაერთო ჟურნალისტი და თემას 10 წუთზე მეტი დაეთმო. ვიზიტის დღეებში მაქსიმალურად ვრცლად შუქდებოდა შეხვედრა და სიტყვით გამოსვლა, როგორც ვიდეოს, ისე ტექსტის ფორმატში.

ვიზიტის გაშუქება და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების თემაზე მსჯელობა რამდენიმე დღის განმავლობაში იყო აქტუალური, შეფასებები და კომენტარები, ძირითადად, სამთავრობო გუნდის წევრების მხრიდან კეთდებოდა. ცალ-ცალკე გამოქვეყნდა საქართველოს ყოფილი

პრემიერ-მინისტრის და ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინპინის შეხვედრის დროს წარმოთქმული სიტყვები.

„ჩინეთი არ არის მხოლოდ ვაჭრობა და ეკონომიკა, ჩინეთს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი ახალ, მრავალპოლუსიან მსოფლიო წესრიგში. საქართველოს გადარჩენის, განვითარების და გამთლიანების გასაღები ინტერესთა ბალანსშია და არა 30 წელი, "ღია კარში" ცალ ფეხზე დგომაში! ვისთვის ჩრდილოეთიდან და ვისთვის დასავლეთიდან, მაგრამ მზე ჭეშმარიტად აღმოსავლეთიდან ამოდის!" **- ასე ეხმაურება ვიზიტს - საზოგადოებრივი მოძრაობის "საქართველო უპირველეს ყოვლისა" დამ-ფუძნებელი ვატო შაქარიშვილი.**

ვიზიტს მიეძღვნა შალვა რამიშვილის 29 ივლისის 51-წუთიანი გადაცემა "კონსერვატორია".

"თემა ზოგადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამაოცა, სასიამოვნოდ გამაოცა, გამახარა, ცრემლამდე, ჩვენი პრემიერის ვიზიტმა ჩინეთში, დახვედრამ, სი ძინპინთან შეხვედრამ. სი ძინპინის შეხვედრა ძალიან დიდი ამბავია, სი ძინპინის ნათქვამი ძალიან დიდი ნათქვამია, რომ ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ" - ასე იწყებს გადაცემას წამყვანი და ვიზიტზე საუბარს სტუმრებთან ერთად დადებით ტონში აგრძელებს.

საინტერესოა წამყვანის კიდევ ერთი შეფასება - *"ჩვენ დავიწყეთ ჩვენს სუვერენიტეტზე რეალური ზრუნვა. ითხოვე და გაგეღებაო. როცა რაღაც კარი იკეტება, საქართველოს ბედია - ბევრი სხვა კარი იღება."*

მაშინ როდესაც, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სტრატეგიულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, ანალიტიკოსი გია აბაშიძე ჩინეთს საქარ-თველოს სუვერენიტეტის მცველად აფასებს.

"ზოგადად, რომ შევაფასო ეს განზომილება, აღვნიშნავ შემდეგს - ჩინეთი ხდება საქართველოს კიდევ ერთი პარტნიორი და მცველი საერთაშორისო ასპარეზზე და, უწინარესად, ჩვენი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერაში."

მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ სტრატეგიულ ხელშეკრულებას „პოსტ ტვ-ის" ეთერში დადებითი შეფასებები მოჰყვა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს შეფასებები, აღმატებითი ხარისხისაა და ჩინეთის მნიშ-ვნელობაც საქართველოსთვის აღმატებით ხარისხშია აყვანილი. ანალიტ-იკოსი ზაალ ანჯაფარიძე კი მიიჩნევს, რომ ეს ხელშეკრულება ყინულის დაძვრაა და *"ამ განცხადების ხორცშესხმა საქართველოს აძლევს უნიკალურ საშუალებას (როგორც გუშინ აღვნიშნე), დაიბრუნოს და გააფართოოს მისი გეოპოლიტიკური კოდით განპირობებული მრავალვექტორულობა."*

„პოსტ ტვ-ის" საინფორმაციო პოლიტიკის მიღმა არ დარჩენილა რუსეთის ომი უკრაინაში და ამ კონფლიქტის დასრულებაში ჩინეთის როლი. საზო-გადოებრივი მოძრაობა "ხალხის ძალის" წევრის, დავით ქართველიშვილის შეფასებით, ამ პროცესში, ევრაზიის საკითხებში ჩინეთის სპეციალური წარმომადგენელი ვიზიტებს ახორციელებს უკრაინაში და ევროპის სხვა ქვეყნებში, რა დროსაც პეკინის ძირითად პოზიციად გაახმოვანა ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობა და რუსეთის მიერ ამ ეტაპზე ოკუპირებულ

ტერიტორიებზე საკუთარი კონტროლის შენარჩუნება. იქვე ვკითხულობთ, რომ ლი ჰუეიმის ვიზიტით "პეკინმა „დაიბევა" მედიატორის ფუნქცია და თავისი „სერვისის" განახლებისთვის - უკეთესი" მომავლის მოლოდინშია. ხოლო კრემლმაც ასევე მოახდინა თავისი გზავნილების გაჟღერება:

"ლი ჰუეიმის მისია ამ ეტაპზე დასრულებულია. მისი მოკლე შედეგი - კონსენსუსის მიღწევა მოსკოვის მიერ გაჟღერებული მოსალაპარაკებელი პირობების ირგვლივ დასავლეთისა და უკრაინის მხრიდან, შეუძლებელია, თუმცა, მთლად უშედეგოდ ამ მისიას არ ჩაუვლია."

"პეკინმა „დაიბევა" მედიატორის ფუნქცია და თავისი „სერვისის" განახლებისთვის - უკეთესი" მომავლის მოლოდინშია."

გარდა საინფორმაციო ტიპის ნიუსებისა, ჩინეთის პოზიცია უკრაინასთან მიმართებით აქტუალურია ასევე გადაცემა "ისტორიულ რაკურსში", სადაც წამყვანი - ნუკრი მოსიაშვილი, საკუთარ მონოლოგს ყირიმზე საუბარს უთმობს და კითხვას - ვის ეკუთვნის ყირიმი, საფრანგეთში ჩინეთის ელჩის ციტატით პასუხობს: ***„გაჩნია, როგორ შევხედავთ ამ საკითხს, არის ისტორია, ყირიმი თავიდანვე ეკუთვნოდა რუსეთს, ეს ხრუშჩოვმა აჩუქა უკრაინას.***" აღსანიშნავია, რომ ვიდეოს ასეთი დასაწყისი ტელემაყურებელს კონკრეტულ განწყობას უქმნის.

„პოსტ ტვ-მ" ეთერში პოზიტიური განწყობის კონტექსტში გაუშვა ასევე ჩინელი ბავშვების მიერ შესრულებული ქართული სიმღერა "იაუ უაო". მიუხედავად იმისა, რომ ვიდეო მხოლოდ სიმღერას ასახავს და ტექსტიც ნეიტრალურ-ოფიციალურია, კონტენტი დადებით დამოკიდებულებებს იწვევს და აუდიტორიას პოზიტიურად განაწყობს.

გაშუქების მიღმა არ დარჩენილა ჩინეთის მოქალაქეებისთვის საქართველოში მოგზაურობისთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედება. ეთერში გავიდა პრემიერის კომენტარი, რომ ეს გადაწყვეტილება გამოიწვევს ტურიზმის განვითარებასა და ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას.

„პოსტ ტვ-ს" შემთხვევაში ვხვდებით ისეთ პოსტებსაც, სადაც ნიუსის ტექსტში მოხსენიებული არ არის ჩინეთი, თუმცა ფოტოზე არის სი ძინპინი.

საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ჩინეთის როლზე კომენტარები შუქდება არხის მიერ.

„შექმნება შთაბეჭდილება, რომ ჯერ კიდევ ამ წლის მარტში საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩის განცხადება - „მზად ვართ, საქართველოს შუამდგომლობა გავუწიოთ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებში"- მოსკოვისთვის უყურადღებოდ არ დარჩა. ამას დაემატა საქართველო-ჩინეთის მოლაპარაკებები სტრატეგიული ურთიერთობების დამყარების თაობაზე და აგერ, ბატონო, პირველი შედეგი: დიმიტრი მედვედევი ახმოვანებს რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების შესაძლებლობას. ოღონდ - შუამავლების გარეშე," - აცხადებს საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალის" წევრი დავით ქართველიშვილი.

ანტიამერიკული განწყობების გაძლიერება

ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებს, ჩინეთის თემების გაშუქებისას ხშირად ვხვდებით. კონტექსტი განსხვავებულია, ზოგიერთ შემთხვევაში ჩინეთი დაპირისპირებულია აშშ-სთან, ზოგჯერ სავაჭრო პარტნიორად არის მოხსენიებული, ცალკეულ შემთხვევებში კი აქცენტი დასმულია ამერიკის ჩართულობაზე ტაივანის საკითხის გადაწყვეტაში.

სოციალურ ქსელში არხის გვერდზე გამოქვეყნდა საქართველოში ჩინეთის ელჩის, ჭოუ ციენის ვრცელი კომენტარი, რომელშიც ის ამბობს, რომ ზოგიერთი ქვეყანა აშშ-ის მეთაურობით "ფეხქვეშ თელავს ჩინეთის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას," - საუბარია ტაივანზე.

ჩინეთ-ამერიკის სავაჭრო ურთიერთობების განხილვისას, არხის მიერ შუქდება ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მდივნის პეკინში ვიზიტი. წამყვანი აქცენტს აკეთებს ჯინა რაიმონდოს მოწოდებაზე, რომ ღრმად მნიშვნელოვანია ორი უდიდესი ეკონომიკისთვის სტაბილური ურთიერთობა და რომ ამ ვიზიტის მიზეზი 2022 წელს, ბალიში, დიდი ოცეულის სამიტზე ჩინეთისა და აშშ-ს პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმებაა. გაშუქება სრულდება შემდეგი ფრაზით *"ვაშინგტონი პეკინთან, ორ უდიდეს ეკონომიკას შორის, წლების განმავლობაში დაგროვილი დაძაბულობის განმუხტვას, კავშირების აღდგენას და ურთიერთობების დალაგებას ცდილობს".*

ჩინეთის თემის გაშუქებისას უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული როგორც საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ასევე საქართველოს პრეზიდენტი.

"ეს არის მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი კამპანია ნაყიდ პრესაში აშშ-ს ელჩის მიერ მართული გავლენის აგენტების მეშვეობით," - აცხადებს კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა.

რაც შეეხება პრეზიდენტის თემის გაშუქებას, საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო სივრცე დაეთმო, სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუს LCI - სთან, რომელიც წამყვანმა ასე წარადგინა:

"***სალომე ზურაბიშვილი, რომელიც საზღვარგარეთ გაიპარა, ქვეყანას დიპლომატიურ გაუგებრობაში ხვევს. კონსტიტუციის დამრღვევი პრეზიდენტი, სტრატეგიულ პარტნიორს - ჩინეთის პრეზიდენტს ესხმის თავს. კითხვაზე - იმედოვნებს თუ არა, რომ ვლადიმერ პუტინი და სი ძინპინი ოდესმე გასამართლდებიან, სალომე ზურაბიშვილი პასუხობს, რომ ეს იქნებოდა ისტორიული შედეგი, რაც გარკვეულ საკითხებს თავის ადგილს მიუჩენდა."***

„ტვ პირველი“

მედიაპლატფორმა:	„ტვ პირველი“
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ირმა ჭარაქაშვილი
შესწავლილი მასალის რაოდენობა:	198
მონიტორი:	**53 - უარყოფითი,** **139 - ნეიტრალური,** **6 - დადებითი**

კვლევის ფარგლებში პირველად განხორციელდა “ტვ პირველის“ მონიტ-ორინგი

კვლევის ძირითადი მიგნებები:

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა არხის პოლიტიკა, რაც დაკავ-ირებ-ულია რუსეთსა და ჩინეთს შორის მჭიდრო პარალელების გავლებასთან. ტელევიზია ჩინეთის თემას მთავრობასთან კვეთაში აშუქებს, რაც უკავ-შირდება პრემიერის თუ მთავრობის წევრების ჩინეთში ვიზიტს, სტრა-ტეგიულ პარტნიორობას, ჩინეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედებას და სხვა. მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნებულ მასალებში ხელისუფლების მცდარი პოლიტიკა სწორედ ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავებასთან არის დაკავშირებული.

საანგარიშო პერიოდში "ტვ პირველის“ ვებგვერდზე საძიებო სიტყვებით: ჩინეთი, ჩინური, ჩინეთს, სი ძინპინი, პეკინი, შუა დერეფანი - ტონების მიხედვით, ყველაზე მეტი მასალა ნეიტრალური ტონის იყო. უარყოფითი ტონი კი დაახლოებით 7-ჯერ აჭარბებს დადებითს.

გამოქვეყნებულ მასალებში ჩინეთი მოხსენიებულია რუსეთთან ერთად დიქტატორად, კომუნისტურ პარტიად. მონიტორინგის პერიოდში მოხვდა ისეთი თემებიც როგორიცაა:

- **ჩინური ვახშამი პუტინთან;**
- **სტრატეგიული პარტნიორობა;**
- **უვიზო მიმოსვლა ჩინეთის მოქალაქეებისთვის;**
- **ჩინეთის ჩართულობა ანაკლიის პორტის მშენებლობაში;**
- **პრემიერის სამუშაო ვიზიტი ჩინეთში;**
- **აბაშიძე - კარასინის ფორმატი.**

ვრცლად გაშუქდა 18 ოქტომბერს ჩინეთში გამართული „სარტყლისა და გზის“ ფორუმის ფარგლებში გამართული ბანკეტი, რომელსაც, მედიის თანახმად, ვლადიმერ პუტინთან ერთად საქართველოს მხრიდან ეკონომიკის მინისტრი ლევან დავითაშვილი, ჩინეთში საქართველოს ელჩთან, არჩილ კალანდიასთან ერთად ესწრებოდა.

აღნიშნული თემის გაშუქებისას ჩინეთი მოხსენიებული იყო, როგორც ნეიტრალურ ასევე უარყოფით ტონებში. აღსანიშნავია, რომ უარყოფით ტონში, ძირითადად, მოხსენიებული იყო საქართველოს მთავრობა, ეკონომიკის მინისტრი და მმართველი გუნდის წევრები. ჩინეთის უარყოფითი ტონი კი დაკავშირებული იყო რუსეთთან, რადგან მათ ერთ სიბრტყეზე განიხილავდნენ.

“კითხვები ჰქონდათ, რატომ ხდება, რომ ამერიკის ნაცვლად, ჩინეთის კომუნისტური პარტია ხდება საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი. ყველას აინტერესებდა, როგორ ხდება საქართველომ ასეთი სტრატეგიული პარტნიორობა მიიღოს რატიფიცირების გარეშე, ასევე ყველას აინტერესებდა, როგორ ხდება, რომ ჩინეთი, რომელიც უზარმაზარი დეზინფორმაციის კამპანიას აწარმოებდა საქართველოში სამედიცინო სექტორის წინააღმდეგ პანდემიის დროს; ჩინეთი, რომელმაც გააგზავნა დელეგაციები ოკუპირებულ აფხაზეთში, როგორ შეიძლება, რომ მათთან გვქონდეს სტრატეგიული პარტნიორობა. ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან სტრატეგიულმა პარტნიორობამ ზუსტად დააკონკრეტა ყველასთვის დასავლეთში, რომ საქართველოს მთავრობა აწარმოებს ანტიდასავლურ კამპანიას", - განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობის მდივნის მოადგილემ, ალექსანდრე კრევო-ასათიანმა.

ძალიან ბევრმა ევროპელმა ლიდერმა გადაწყვიტა, რომ ამ ფორუმს არ დასწრებოდა, რადგან ჩინეთი და რუსეთი, იგივე ტანდემში, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული დოკუმენტის მიერ მიჩნეული არიან საფრთხედ.

ჩინეთთან სტრატეგიულ ურთიერთობას კი ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლები ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევენ.

„არ ვიცი, თქვენ რას უსმენთ, მაგრამ ჩვენ ვუსმენთ, ევროკავშირი რას გვეუბნება და ზუსტად ვიცით, რომ ამ ქვეყნის გზა ევროკავშირისკენ ჩინეთზე ვერ გაივლის, “ - ამ სიტყვებით „ლელოს“ დეპუტატმა სალომე სამადაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრს მიმართა.

როგორც სალომე სამადაშვილი ამბობს, ჩინეთთან პარტნიორობა ამ ეტაპზე ქვეყნისთვის დამაზიანებელია, რადგან ჩინეთის ლიდერი მჭიდრო კომუნიკაციაშია რუსეთის პირველ პირთან. ამასთან, გაშუქებებში ხშირად ვხვდებით რუსეთსა და ჩინეთს შორის მჭიდრო პარალელებს.

“***ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობის შესახებ ხელშეკრულება პირდაპირ ბადებს კითხვას, რატომ არ არის არაფერი ნათქვამი, რომ ჩინეთი მხარს უჭერს ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციას და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული***

მთლიანობის აღდგენას. თავდასხმები დასავლეთზე, თავდასხმები შეერ-თებულ შტატებსა და ევროკავშირზე და მეორე მხრივ, ე.წ. სტრატეგიული დაახლოება ჩინეთთან, რაც სწორედ ის არის, რასაც რუსეთის ფედერაცია აკეთებს,"- ამბობს "ლელოს" ლიდერი ბადრი ჯაფარიძე.

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა კრიტიკის კიდევ ერთი საგანი გახდა ოპოზიციური პარტიებისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კრიტიკას და უარყოფით შეფასებებს იწვევს ჩინეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობა, ასევე ის ფაქტი, რომ სტრატეგიული თანამშრომლობის დოკუმენტში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა არ არის ხაზგასმული და არ არის ნახსენები ოკუპაცია.

"მაშინ, როდესაც ევროკავშირი ჩინეთთან სამ პრინციპს ეყრდნობა - პარტნიორობა, კონკურენცია და გლობალური მეტოქეობა, მაშინ, როდესაც ჩვენი არჩევანი არის დემოკრატიული განვითარება, რანაირად აწერთ ხელს იმას, რომ ჩინეთთან მმართველობით ფორმებს გაიზიარებთ და ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან," - განაცხადა თეონა აქუბარდიამ, ოპოზიცი-ონერმა დეპუტატმა.

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით ვრცლად გაშუქდა - კარასინის ერთ-ერთ ინტერვიუ, რომელშიც მან თქვა, რომ რუსეთი ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარების საკითხზე მუშაობს ისეთ ქვეყნებთან, როგორიც ინდოეთი და ჩინეთია და დარწმუნებულია, რომ ბოლო ეტაპზე ამ ქვეყნებისგან აღიარებაზე თანხმობას მიიღებენ.

ამ შინაარსში, ხელისუფლების პოზიცია ცალსახად უარყოფით კონ-ტექსტში იყო გაშუქებული და კარასინის აღნიშნული განცხადება, თითქმის ყველა ნიუსის ბექგრაუნდში გვხდება.

ჩინეთში ვიზიტისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმების უარყოფითი შეფასებების პარალელურად, „ტვ პირველზე" ჩინეთის დადებით ტონში მოხსენიების შემთხვევებიცაა, რაც უკავშირდება მთავრობის მიერ ჩინეთთან უფრო მეტი ავიარეისების დანიშვნას და უვიზო რეჟიმის ამოქმედებას. ამ თემების კომენტირებისას ხაზგასმულია ჩინეთის დადებითი ეკონომიკური გავლენა.

"მინდა გითხრათ, რომ ის გადაწყვეტილება, რომელიც მთავრობამ ვიზ-ების გაუქმების შესახებ მიიღო, ძალიან პოზიტიურად არის აღქმული და შედეგებშიც უკვე აისახა. დღეს არსებული ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩინეთთან, თუმცა იცით, რომ კომპლექსურად, თუ ჩინეთის ქალაქებთან მეტი პირდაპირი ხაზი გვექნება, დარწმუნებულები ვართ, რომ რეალური მგზავრთა ნაკადის გენერირება და ტურიზმში მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მივიღოთ," - თქვა ლევან დავითაშვილმა, საქართველოს ვიცე-პრემიერმა.

"ჩინეთი არის ერთ-ერთი მიზიდულობის ცენტრი ამ სამყაროში, სადაც ეკონომიკა ვითარდება ძალიან დინამიკურად. საქართველოსთვის საინტერ-ესოა, როგორც ეკონომიკის თვალსაზრისით, ასევე რეგიონული გარკვეული საფრთხეების დაბალანსების თვალსაზრისით," - ასე ეხმაურება "ქართული

ოცნების" დეპუტატი ბექა დავითულიანი ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას.

თუმცა არხის ეთერში ჩინეთის დადებით გაშუქებას რამდენჯერმე სჭარ-ბობს უვიზო მიმოსვლის ამოქმედებასთან დაკავშირებული უარყოფითი შეფასებები.

"ეს არის აშკარად გეოპოლიტიკური განაცხადი და არა ეკონომიკური. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საქართველო უნდა იღწვოდეს, რომ NATO-ს წევრი და თავისუფალი სამყაროს წევრი გახდეს, რათა დაცული იყოს რუსეთის აგრესიისგან, ამის ნაცვლად, ასეთი სახით განაცხადის გაკეთება რუსეთის მოკავშირე ჩინეთის მიმართ არის ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯი" - ასე აფასებს "ევროპული საქართველოს" ლიდერი გიგა ბოკერია პრემიერის (მოცემული მომენტისთვის პრემიერი გახლდათ ირაკლი ღარიბაშვილი) განცხადებას, რომელმაც ჩინეთთან უვიზო რეჟიმის დაწესება დააანონსა. ბოკერია მიიჩნევს, რომ რუსეთის მოკავშირე ქვე-ყანასთან უვიზო რეჟიმის დაწესება ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯია.

„დასავლეთის ზეგავლენის ჩაჩოჩება და რუსული დავალების შესრულ-ება." - სალომე სამადაშვილი , "ლელოს" წევრი.

„მე ვფიქრობ, რომ ასეთი მძიმე დაწოლა და ჩამოკიდება რუსეთის და ჩინეთის ეკონომიკებზე, არის ძალიან მძიმე, მათ შორის, პოლიტიკურად და ეკონომიკურად," - ამბობს ხატია დეკანოიძე, ოპოზიციონერი დეპუტატი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ტვ პირველი" საინფორმაციო პოლიტიკაში თანმიმდევრულია მთავარი თემების როგორც ნიუსურ ფორმატში, ისე სიღრმისეულად გაშუქებისას. პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის შემდეგ აქტუალური გახდა ანაკლიის პორტში ჩინელი ინვესტორების შემოსვლის საკითხი. ამ თემის გაშუქებისას ნეიტრალურ ტონთან ერთად სჭარბობდა უარყოფითი ტონები.

"ანაკლიის პორტის პროექტში ჩინური კაპიტალის შესაძლო შემოდინება კატასტროფული შედეგების მატარებელი იქნება" - *ლელოს ერთ-ერთი ლიდერი, გრიგოლ გეგელია.*

ჩინეთს და ჩინეთის მოქალაქეებს, პოლიტიკურის გარდა კრიმინალური თემების გაშუქებისასაც ვხვდებით. „ტვ პირველი" თანმიმდევრულად, განაჩენის გამოტანამდე აშუქებს ჩინეთის მოქალაქის თემას, რომელმაც, მედიის ცნობით, ტაილანდელი ქალები ზესტაფონში სამუშაოდ მოტყუებით ჩაიყვანა.

"ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებული ჩინეთის მოქალაქე სასამარ-თლომ ჰატიმრობაში დატოვა."- გავრცელებული ინფორმაციით, ბრალდებ-ული რიკოთზე მიმდინარე მშენებლობებზე იყო დასაქმებული.

რიკოთზე მიმდინარე მშენებლობები კიდევ არაერთხელ გახდა ჩინეთის უარყოფით ტონში მოხსენიების საგანი, ეს დაკავშირებული იყო როგორც მშენებლობაზე დაღუპულ მუშასთან, ასევე სოფელ ფუთში გზის გაყვანის სამუშაოებთან. „ტვ პირველმა" მოამზადა როგორც ნიუსური, ასევე სიღრმი-სეული რეპორტაჟები იმასთან დაკავშირებით, რომ სოფელ ფუთის მოსახლეობას დიდი საფრთხე ემუქრება.

„გასაჯაროებულია დასკვნა, სადაც პირდაპირ წერია, რომ სოფლის ქვეშ რიკოთთან დამაკავშირებელი გვირაბის გაყვანა შესაძლოა, სახლების დაკარგვის და უფრო მეტი სიცოცხლის ფასი დაჯდეს. გვირაბს ჩინური კომპანია აფეთქების ტექნიკით პირდაპირ სოფლის ქვეშ აშენებს. ყოველი ახალი გამაყრუებელი აფეთქება კი ადგილობრივებისთვის შიშის საფუძველი ხდება. სახლების კედლებს ბზარები ბზარებზე ემატება, ჭერი კი ხალხს თავზე ენგრევა." მედია ასევე სისტემატურად აშუქებდა მოსახლეობის საპროტესტო აქციებს.

გზების მშენებლობაზე მომხდარი კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევა, ამჯერად, კახეთში მაგისტრალის მშენებლობაზე, ასევე უარყოფით ტონში გაშუქდა. ჩინური სამშენებლო კომპანია მოხსენიებულია პასუხისმგებელ პირად და ეჭვქვეშ არის დაყენებული უსაფრთხოების ნორმები.

პრემიერ-მინისტრის ჩინეთში ვიზიტის წინა პერიოდში არხზე ვხვდებით მთავრობის წარმომადგენლების და მმართველი პარტიის წევრების მხრიდან ნეიტრალურ შეფასებებს, ვიზიტი „ტვ პირველმა" საკმაოდ შეზღუდულად გააშუქა, მომზადდა ერთეული მასალა (2-3), გაშუქებისას კი სჭარბობდა ოპოზიციური დეპუტატების უარყოფითი შეფასებები:

"***ღარიბაშვილმა ჩინური კომპანიებისთვის საქართველოს კარი ღიად გამოაცხადა - 27 წუთიანი ინტერვიუ და არცერთი სიტყვა ოკუპაციაზე";***

"ეკონომისტები ირაკლი ღარიბაშვილის ჩინურ ცენტრალურ ტელევიზიასთან ინტერვიუს აფასებენ და პირდაპირ ამბობენ, რომ მსოფლიოს ახალ დღის წესრიგში საქართველომ არასწორი მიმართულება აირჩია, ვინაიდან საქართველო დადგა არა ამერიკისა და ევროპის მხარეს, არამედ საქართველოს ხელისუფლებამ აირჩია ჩინური და რუსული ეკონომიკა. "

ყოფილი პრემიერის ჩინეთში ვიზიტის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილის და ჩინური კომპანიების თანამშრომლობის შესახებ მომზადდა რამდენიმე ვრცელი მასალა, ძირითადად უარყოფით ტონში. არხმა არაერთი ვრცელი მასალა მოამზადა ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობიდან პირველად გადადგომის შემდეგ, ჩინურ კომპანიაში საქმიანობაზე.

"რატომ გახდა "ოცნების" მთავარი მოკავშირე ჩინეთი? გაშიფრულია სქემა, რითაც ირკვევა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ჩინეთთან დიდი ფინანსური და პოლიტიკური ანგარიშვალდებულება გააჩნია. საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება გაავორმა, 400 ათას ლარზე მეტი აქვს მიღებული სკანდალში გახვეული ჩინური კომპანიიდან. ეს ის კომპანიაა, სადაც ღარიბაშვილი პრემიერობის შემდეგ დასაქმდა, დიდი რაოდენობის ხელფასი აიღო, უკან, მთავრობაში მობრუნებულმა კი ქვეყნის ყველაზე მსხვილი ობიექტების რეაბილიტაცია სწორედ ჩინელებს ჩაბარა." - ვკითხულობთ გამოქვეყნებულ მასალებში.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ 26.07.2023- 12.08.2023 პერიოდში, როდესაც პრემიერის ჩინეთში ვიზიტი შუქდებოდა, მომზადებულ მასალებში დადებითი ტონი მხოლოდ ერთ მასალას, ჰქონდა. მასალაში ვრცლად იყო ციტატები ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის და სი ძინპინის მისასალმებელი სიტყვებიდან.

BM.GE

მედიაპლატფორმა:	https://bm.ge
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ნინა ხელაძე
კონტენტის რაოდენობა:	446
ტონები:	**61 - უარყოფითი,** **329 -ნეიტრალური,** **56 - დადებითი**
შესწავლილი მასალების თემატიკა:	1. სტრატეგიული პარტნიორობა ჩინეთთან 2. შუა დერეფანი და მისი პოტენციალი 3. ანაკლიის პორტი 4. სანქცირებული რუსეთის და კომუნისტური ჩინეთის თანამშრომლობა 5. ჩინეთ-ევროკავშირის თანამშრომლობა 6. ამერიკა ჩინეთის ურთიერთობა 7. თანამედროვე ტექნოლოგიები და ნახევრად გამტარების წარმოება 8. ლოჯისტიკა, ტრანსპორტი 9. ჯეკ მა და ჩინეთის პოლიტიკის ეკონომიკური შედეგები 10. WeChat და ციფრული ტექნოლოგიები 11. პუტინის და დავითაშვილის შესაძლო შეხვედრა ჩინეთში 12. პროტესტი რიკოთზე და ჩინური კომპანიები საქართველოში 13. ეფლი, ინდოეთი, ჩინეთი 14. ჩინეთი - რუსეთი, ევროკავშირი და უკრაინა **15.** TIK TOK

კონტექსტი:

მას შემდეგ რაც, 2023 წლის 26 ნოემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ BMG ჩინურ მედიასთან CCTV-თან ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებას აპირებს, მედია ჩვენი კვლევის დამატებითი ობიექტი გახდა და შესასწავლი ონლაინმედიების რიცხვს შეუერთდა.

ჩინეთის უმსხვილეს მედიაჯგუფთან თანამშრომლობის დაწყების შესახებ ინფორმაცია ეთერში მედიასაშუალების გენერალურმა პროდიუსერმა, გიორგი ისაკაძემ გაავრცელა.

"BMG ჩინეთის უმსხვილეს მედიაჯგუფთან CCTV-თან, მომავალ კვირაში, ურთიერთგაგების მემორანდუმს და სალიცენზიო შეთანხმებას გააფორმებს." (26.11.2023, წყარო: https://bm.ge/news/bmg-chinetis-umskhviles-mediajguf-cctv-stan-tanamshromlobas-itsyebs)

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მედიის მიერ გავრცელებულ სიახლეებში ჩინეთი ამ თარიღამდეც აქტიურად იყო მოხსენიებული სავაჭრო, ტურისტული, ინფრასტრუქტურული, ავტოსამრეწველო თუ სხვა ინდუსტრიების ანალიზისას თუ მათზე სიახლეების მომზადებისას. ჩინეთი და ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები, BMG-ის მიერ მომზადებულ ახალ ამბებში ყოველთვის იკავებდა ადგილს. ჩინურ მედიაჯგუფთან თანამშრომლობის მოტივებზე საუბრისას მოყვანილი იყო შემდეგი შინაარსი:

"ეს მოგვცემს საშუალებას არამხოლოდ მივიღოთ და წვდომა გვქონდეს CCTV-ის მიერ მომზადებულ ურიცხვ მასალებზე ყოველდღიურად, არამედ, პარტნიორობა ითვალისწინებს მათ შორის BMG-ის მიერ მომზადებული საქმიანი მასალების წარდგენას და გავრცელებას ჩინეთის აუდიტორიისთვის, რომელიც მილიარდზე მეტ მაყურებელს და მიმდევარს აერთიანებს", - გიორგი ისაკაძე. (წყარო: https://bm.ge/news/bmg-chinetis-umskhviles-media jguf-cctv-stan-tanamshromlobas-itsyebs)

რაც შეეხება თანამშრომლობის მემორანდუმს, მონიტორინგის პერიოდში მედიის ახალი ამბების დეტალური გაცნობის მიუხედავად, მკვეთრი ტენდენცია არ გამოკვეთილა. აუდიტორიისთვის უცნობი დარჩებოდა თუ რა დინამიკა შეიძინა ჩინეთის CCTV-თან თანამშრომლობამ, რადგანაც ნოემბრის შემდეგ სიახლეები ამ მიმართულებით არ გავრცელებულა, ხოლო, ჩინეთის მოხსენიებით, მაჩვენებლების მოყვანით თუ სხვა კუთხით, ჩინეთის გაშუქების დინამიკა რედაქციაში დაახლოებით იგივე დარჩა.

სტრატეგიული პარტნიორობა ჩინეთთან

BMG, როგორც ბიზნესსა და ეკონომიკის გაშუქებაზე ორიენტირებული ნიშური მედია, ჩინეთის მზარდი ეკონომიკური გავლენებიდან გამომდინარე ამ ქვეყნის აქტივობებს, ჩინეთთან დაკავშირებულ სიახლეებს სხვადასხვა სფეროში აქტიურად აშუქებდა ჩინეთ-საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების გაფორმებამდეც, თუმცა, ორ ქვეყანას შორის

პარტნიორობის ახალი საფეხურის დადგომის შემდეგ ეს ტრენდი აქტიურდება. მედიამ ამ შეთანხმების გაფორმებასა და მის ანალიზს 20-ზე მეტი მასალა დაუთმო.

ამ პერიოდში მედიაში გავრცელებული მასალების ტონი უმეტესად ნეიტრალური და დადებითია, თუმცა შემდგომ დღეებში მედიამ არაერთ ანალიტიკურ გადაცემასა თუ ახალ ამბავში სცადა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა გაეანალიზებინა საგარეო პოლიტიკის ფართო ჭრილში, სხვა სტრატეგიული პარტნიორების მოსაზრებების თანხლებით.

მაგალითად, გადაცემაში #ანალიტიკა ელენე კვანჭილაშვილთან ერთად, კრიტიკულად იყო გაანალიზებული ჩინეთთან სტრატეგიული თანამშრომლობა. თინათინ ხიდაშელთან, "სამოქალაქო იდეის" თავმჯდომარესა და ყოფილ თავდაცვის მინისტრთან დაახლოებით 20 წუთიან ინტერვიუში მაყურებელი ისმენს არაერთი არგუმენტით გამყარებულ კრიტიკას, მათ შორის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ძიების პროცესში მყოფი ქვეყნის გადმოსახედიდან.

წყარო: https://bm.ge/news/strategiuli-partnioroba-chinettan-dro-da-shinaarsi

"პირველი, ეს არის პოლიტიკური ამოცანები, რითაც იწყება კიდევაც ეს სტრატეგიის დოკუმენტი და პოლიტიკის ამოცანებში იგულისხმება რომ მორიგი ნაღმი დადო საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. განა არ უნდათ კანდიდატის სტატუსის მიღება, რა თქმა უნდა უნდათ, ისინი ხვდებიან, რომ პოლიტიკურად ეს მათთვის მომგებიანია, მაგრამ ეშინიათ რომ უარს გვეტყვიან, ამიტომ სჭირდება გეგმა - ბ. მეორე ის არის, რომ ზუსტად იციან, იმ შემთხვევაში თუ ევროკავშირი კანდიდატის სტატუსს მოგვცემს ის იქნება მორიგი, უფრო მძიმე და მეტი დემოკრატიული ვალდებულებებით დატვირთული. შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ თამაში სინამდვილეში იმაზე დაიწყო, რომ ვიღაცის გონებაში მოიხარშა გეგმა, რომ

ევროკავშირი უნდა დააშანტაჟოს, რომ თუ ევროკავშირი უარს გვეტყვის, ყოველთვის არსებობს ალტერნატივა ჩინეთის სახით.“ - თინა ხიდაშელი, BMG (წყარო: https://bm.ge/news/ratom-dagvchirda-chinettan-strategiul-donemde-tanamshromlobis-ayvana-da-ratom-akhla-tina-khidashelis-mosazreba).

ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ანალიზისას, მედიაპლატ-ფორმა აუდიტორიას სთავაზობს განსხვავებული კუთხით და პოზიციიდან გაკეთებულ შეფასებებს. ასე მაგალითად, ჩინეთში საქართველოს ყოფილი ელჩის, მამუკა გამყრელიძის შეხედულებებიდან აუდიტორია იგებს, რომ დოკუმენტის მნიშვნელობა ქართული აუდიტორიისათვის გაზვიადებულია, რადგანაც:

„სტრატეგიული პარტნიორობა გადამეტებული ყურადღებაა ჩვენთვის ჩინეთის მხრიდან, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩინელები ცერემონიების ხალხია, უყვართ ჩინ-მედლების ჩამოკიდება.

რეალურად სტრატეგიული პარტნიორობა არაფერს ნიშნავს დედამიწის ზურგზე, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი არის 21-ე საუკუნის გლობალური ყოვლისმომცველი პარტნიორი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის - ეს ლამაზი სიტყვების იქით არაფერია, გარდა ეკონომიკური ურთიერთობებისა, რადგან ერთმანეთი სჭირდებათ,“- მამუკა გამყრელიძე. (წყარო: https://bm.ge/news/strategiuli-partnioroba-bevrs-arafers-nishnavs-gamyrelidze-saqartvelo-chinetis-tanamshromlobaze)

ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები; შუა დერეფანი და მისი პოტენციალი

შედარებით განსხვავებულია ტონი, როდესაც თემა საქართველოსა და ჩინეთის ეკონომიკურ თანამშრომლობას შეეხება. მონიტორინგის პერიოდში გაშუქდა საქართველოს ვიცე-პრემიერის, ლევან დავითაშვილის ვიზიტი ჩი-ნეთში ეკონომიკურ ფორუმზე, რომელსაც რეზონანსულ მოვლენად თან ახ-ლდა რუსეთის პრეზიდენტთან, ვლადიმერ პუტინთან შესაძლო შეხვედრა. მედიას მოყვანილი აქვს როგორც საკუთრივ ლევან დავითაშვილი ვრცელი განმარტება, თუ რატომ არ დატოვა მან ფორუმი პროტესტის ნიშნად და ასევე, მკითხველს სთავაზობს თბილისის მერის, “ქართული ოცნების“ გე-ნერალური მდივნის კახა კალაძის კომენტარსაც, რომელიც ჩინეთში დავი-თაშვილი-პუტინის შესაძლო შეხვედრას ინფორმაციულ მანიპულაციას უწოდებს.

“ჩინეთში დავესწარით მიღებას, რომელიც გამართა პრეზიდენტმა სი ძინპინმა და იქ მისი მიწვევით ვიმყოფებოდით.... საქართველო აბრეშუმის გზის „ერთი გზა, ერთი სარტყელი“-ს ინიციატივის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობს მისი დაარსების დღიდან,“ - ლევან დავითაშვილი, საქართველ-

*ოს ვიცე-პრემიერი. (*წყარო: https://bm.ge/news/ratom-ar-datova-vitse-premier ma-forumi-romelsats-putinits-estsreboda-davitashvilis-pasukhi*)*

"ჩემი პოზიცია ძალიან მარტივია. პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა", რომელსაც ჩინეთის პრეზიდენტი უდგას სათავეში, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, ქვეყნისთვისაც საინტერესოა," - კახა კალაძე, თბილისის მერი. (წყარო: https://bm.ge/news/kakha-kaladze-sitsruea-rom-chinetshi-davitashvilsa-da-putins-shoris-piradi-komunikatsia-shedga)

მედია აუდიტორიას ასევე ინტენსიურად აწვდის ინფორმაციას შუა დერეფნის პროექტის, ამ პროექტით დაინტერესებული ქვეყნების, მათი ეკონომიკური-პოლიტიკური გათვლების, ჩინეთ-ევროკავშირის ჩართულობისა თუ ინტერესის შესახებ, საქართველოს მხრიდან დანახული პერსპექტივის და დაბრკოლებების შესახებ.

ანალიზთან ერთად აუდიტორიისათვის მიწოდებულია სამთავრობო განწყობებიც:

"შუა დერეფანი ძალიან მნიშვნელოვანია. ახლო მომავალში ის იქცევა ძალიან საინტერესო ალტერნატიულ მარშრუტად. უნდა ვიყოთ კრეატიული, უნდა ვიმოქმედოთ სწრაფად," - ირაკლი ღარიბაშვილი, მოცემული მომენტისათვის ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. (*წყარო: https://bm.ge/news/yazakhet tan-da-azerbaijantan-sruli-gageba-gvaqvs-rogor-gavzardot-shua-derefnis-tsarmad oba-gharibashvili)*

მთავრობის ნარატივების ანალიზის გარეშე გადმოტანა აუდიტორიაში ცალსახად დადებით აღქმას ტოვებს, როგორც ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივის, ისე საკუთრივ ჩინეთის და ჩინეთის ლიდერის შესახებ გაკეთებული შეფასებების შემთხვევაში.

მათ შორისაა ჩინეთის ლიდერის, სი ძინპინის მიმართ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გამოთქმული კომპლიმენტებიც, რომელშიც კონკრეტული მომენტისთვის საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა:

„პრეზიდენტი სი ძინპინი ჭეშმარიტად სამაგალითო ლიდერი და მასშტაბური ხედვის მქონე, ბრძენი ადამიანია, რომელმაც დიდი საქმეები აკეთა თავისი დიდი ერისთვის, სრულად ვუჭერთ მხარს მის ინიციატივებს." (წყარო: https://bm.ge/news/si-dzinpini-brdzeni-adamiania-da-srulad-vuchert-mkh ars-mis-initsiativebs-gharibahvili

ჩინეთისა და საქართველოს ურთიერთობების დადებით კონტექსტს კიდევ არაერთ ჟურნალისტურ მასალაში ვხვდებით. კერძოდ, მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნდა საქართველოს ექსპრემიერის სი ძინპინისადმი მადლობის შემცველი ტექსტი:

"ბატონო პრეზიდენტო, თქვენდამი და თქვენი მთავრობისადმი მადლობელი ვარ ასევე ჩემი ქვეყნის მხარდაჭერისთვის. ჩინეთი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა 1992 წელს, როდესაც აღვიდგინეთ დამოუკიდებლობა. შემდეგ დავამყარეთ დიპლომატიური ურთიერთობები ჩვენს ორ ქვეყანას შორის." (წყარო: https://bm.ge/

news/quotsavachro-da-ekonomikuri-kavshirebis-gagrmavebis-ideis-ertguli-vartquot--garibashvili-chinetis-prezidents-shexvda/139623)

თუმცა, საანგარიშო პერიოდში ამავე შინაარსის გვერდით ვხვდებით კრიტიკულ ანალიტიკურ მასალებს, ანალიტიკურ კონტენტში მედია ჩინეთს ხშირად მოიხსენიებს კომუნისტური მთავრობის მქონე ქვეყნად.

რაც შეეხება კონკრეტულად შუა დერეფნის თემას, სამთავრობო მაჟორული განწყობის პარალელურად, მედია საანგარიშო პერიოდში ცდილობდა მიუკერძოებელი ანალიზის შეთავაზებას, მათ შორის ეკონომიკურ ჭრილში. მაგალითად, ინტერვიუ მსოფლიო ბანკის რეგიონულ დირექტორთან ჩარლზ კორმიერთან, სწორედ ამ კუთხით ანალიზს სთავაზობს აუდიტორიას.

"შუა კორიდორი უკვე არის ყველაზე სწრაფი დამაკავშირებელი სახმელეთო მარშრუტი დასავლეთ ჩინეთსა და დასავლეთ ევროპას შორის. რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ჩრდილოეთ კორიდორი უფრო გრძელია, მაგრამ უკვე დამკვიდრებული და გამოცდილია,"-ჩარლზ კორმიერი. (წყარო: https://bm.ge/news/male-gamovaqveynebt-kvlevas-shua-derefnis-potentsialis-shefasebaze-msoflio-banki)

საანგარიშო პერიოდში მედიამ გააშუქა რიკოთზე მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტზე დასაქმებული მუშების პროტესტის პასუხად წარმოდგენილი ჩინური სახელმწიფო კომპანიის პოზიცია.

ვრცელ პასუხში კომპანია განმარტავს მათთან არსებულ შრომით პირობებს, დასაქმებულებს ერთგვარად უწუნებს მათი უკმაყოფილების შესახებ მედიისთვის ინფორმირებას და მოუწოდებს დასაქმებულებს მენეჯმენტს დაელაპარაკონ.

აღნიშნული ახალი ამბის დასაწყისში მოყვანილია გაფიცულთა პრეტენზიების ამსახველი ერთი აბზაცი, თუმცა ვერ ვხვდებით საკუთრივ პროტესტის შესახებ ვრცელ ინფორმაციას, პასუხის პროპორციულს.

სანქცირებული რუსეთის
და კომუნისტური ჩინეთის თანამშრომლობა,
ევროკავშირი და ამერიკა

ჩინეთისადმი კრიტიკულ ტონს ვხვდებით ისეთი მოვლენების გაშუქებისას, რომლებიც შეეხება უკრაინაში რუსეთის ომის გამო რუსეთისათვის დაწესებული სანქციების ფონზე, ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებს, მათ შორის გაზრდილ ეკონომიკურ თანამშრომლობას და მაგალითად, ენერგო რესურსების შეძენის გაზრდილ მაჩვენებელს, საბანკო სექტორთან თანამშრომლობა, პროდუქციის მიწოდება და ა.შ.

მაგალითად, სტატიაში სახელწოდებით "სანქცირებული ნავთობის იმპორტით ჩინეთმა წელს $10 მილიარდი დაზოგა" ვხვდებით შემდეგ ციტატას:

“ჩინეთის ხელისუფლება დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებით ეკონ-ომიკური სარგებლის მიღებას აქტიურად განაგრძობს.” (წყარო: https://bm.ge/news/sanqtsirebuli-navtobis-importit-chinetma-tsels-10-miliardi-dazoga)

ამავე საანგარიშო პერიოდში მედია აქვეყნებს კიდევ ერთ მასალას, რომელშიც აუდიტორია იგებს, რომ უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთიდან ჩინეთმა ნავთობის იმპორტი მკვეთრად გაზარდა.

„იმპორტის მოცულობის 55%-იანი ზრდის ფონზე, რუსეთმა საუდის არაბეთს გადაუსწრო და ჩინეთის უმსხვილესი ნავთობმიმწოდებლის პოზიცია დაიკავა.“ (წყარო: https://bm.ge/news/chinetma-rusuli-navtobis-importi-gazarda/135077)

ამასთან BMG-ის პლატფორმაზე შეხვდებით ჩინეთის მთავრობის მიერ შემუშავებული და წარდგენილი „სამშვიდობო გეგმის“ კრიტიკასაც, რომელიც კომუნისტურმა ქვეყანამ რუსეთ-უკრაინის ომის მოგვარების მიზნით შე-იმუშავა. სტატიაში სახელწოდებით “პანაცეა არ არსებობს, ომის დასას-რულებლად რუსეთმა და უკრაინამ კომპრომისს უნდა მიაღწიონ - ჩინეთი”, გაკრიტიკებულია ჩინეთის გეგმა და შეფასებულია „უაღრესად პრორუს-ულად“.

“გარდა უკრაინის მიერ ტერიტორიების დათმობისა, ჩინეთის მთავრობა გაეროს მოუწოდებს, ცეცხლის შეწყვეტის პარალელურად დაუყოვნებლივ მოიხსნას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებული ყველა სანქცია და შეზღუდვა.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთს გაეროს ერთობლივ რეზოლუციაზე მხარი არ დაუჭერია, რომლითაც მსოფლიოს 141 სახელმწიფო ცეცხლის შეწყვეტას და რუსული სამხედრო ძალების უკრაინის ტერიტორიიდან გაყვანას მოითხოვს. ექსპერტების შეფასებით, ჩინეთის სამშვიდობო გეგმა უაღრესად პრორუსულია და ის შეუძლებელია სერიოზულად იქნეს განხილული.”

(წყარო: https://bm.ge/news/panacea-ar-arsebobs-omis-dasasruleblad-rusetma-da-ukrainam-kompromiss-unda-miagwion---chineti/134281)

WeChat, TIK TOK, Apple და ციფრული ტექნოლოგიები

მედიაში ჩინეთთან დაკავშირებული თემები უმეტესად შუქდება სხვადასხვა სავაჭრო ინდუსტრიებში სტატისტიკის სახით, თუმცა ასევე არის ცალკეული მასალები, რომლებიც მოიცავს ჩინეთის ტექნოლოგიური გან-ვითარების კვალდაკვალ ამ ტექნოლოგიების მიმართ მსოფლიოში დემოკ-რატიული ქვეყნების დამოკიდებულებას. მსგავს შინაარსს განეკუთვნება „ბიემჯის“ მიერ მომზადებული ახალი ამბის ფორმატის კონტენტი, რომელიც ჩინური WeChat-ის გამოყენების აკრძალვას ეხება კანადაში. ამავე სიახლეში მკითხველი წაიკითხავს რომ ერთი რისკის კატეგორიაშია მოყვანილი ჩინური WeChat და რუსული ანტივირუსი Kaspersky. (წყარო: https://bm.ge/news/kanadis-mtavrobis-tsarmomadgenlebs-wechat-is-da-kaspersky-s-gamoyeneba-aekrdzalat)

“კანადის ციფრული უსაფრთხოების სამსახურის განმარტებით, აღნიშნული აპლიკაციები თვალთვალისა და მოძხმარებლების მონაცემების არასათანადოდ განკარგვის რისკებს შეიცავენ, რის გამოც იმ პირებს, რომელთაც შეხება აქვთ სენსიტიურ ინფორმაციასთან, უნდა შეეზღუდოთ WeChat-ითა და Kaspersky-ით სარგებლობა”.

ამ ახალ ამბავშიც მედიის ტონი ნეიტრალურია, სხვა კონტენტის მსგავსად. მედიას მოყვანილი ჰყავს კომუნისტური ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია, რომლის თანახმადაც ბრალდებისათვის არ არსებობს მტკიცებულებები.

“არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ WeChat-ს ჩინეთის ხელისუფლება სხვა ქვეყნების სათვალთვალოდ იყენებს,” - ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. (წყარო: https://bm.ge/news/kanadis-mtavrobis-tsarmo madgenlebs-wechat-is-da-kaspersky-s-gamoyeneba-aekrdzalat)

ნეიტრალური და დაბალანსებული ტონია იაპონიისა და ჩინეთის ურთიერთობებზე საუბრისასაც. მაგალითად, ახალ ამბავში იაპონიის მიერ ჩიპების წარმოებაში მეტი თანხის დაბანდების შესახებ და ჩინეთში ექსპორტის შეზღუდვის შესახებ, ასევე მოყვანილია ჩინეთის მთავრობის პოზიცია:

„მინისტრი, ჩინ გენგი გამოეხმაურა, რომელმაც იაპონიას მოუწოდა, ოფიციალური ვაშინგტონის ვექტორის გატარებისგან თავი შეიკავოს.”- ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. (წყარო: https://bm.ge/news/iaponia-mikrochipebis-warmoebis-mimartulebit-investiciebs-82-it-zrdis/131138)

აღნიშნულისაგან განსხვავებით, კრიტიკული ტონი იკითხება ახალ ამბებში, რომლებიც დაკავშირებულია „ეფლის“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან - ჩინეთი ერთგვარად ჩაანაცვლოს ინდოეთით საკუთარი პროდუქციისათვის. რამდენიმე ფორმატში მოთხრობილი ახალი ამბავი მოიცავს ტიმ კუკის, Apple-ის აღმასრულებელი დირექტორის ინდოეთში ვიზიტს, „ეფლის“ პირველი ოფიციალური მაღაზიის გახსნის მოტივით.

რეზონანსულ ახალ ამბავში, ამერიკული კომპანიის გადაწყვეტილება აქცენტი ჩინეთიდან ინდოეთზე გადმოიტანოს გამყარებულია ჩინეთში არსებული გამოწვევების ჩამოთვლით, მათ შორის ქარხნებში დასაქმებულთა ხშირი პროტესტით და სხვა.

*„ეფლის ჩინური ვექტორის ცვლილებას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი პოლიტიკურია და ის აშშ-ს და ჩინეთს შორის გართულებულ ურთიერთობას უკავშირდება, რომელიც თეორიულად ნებისმიერ დროს შეიძლება დაიძაბოს, როგორც ტაივანის ასევე უკრაინის გამო. ამასთან „კოვიდ 19-ის“ შემთხვევების გამო, ნულოვანი პოლიტიკის გამო და ქარხნებში ხშირი პროტესტების გამო ბოლო დროს ჩინეთი საწარმოო ბიზნესისთვის ძალიან არასტაბილურ ქვეყნად იქცა.“ (*წყარო: https://bm.ge/news/saqmianisagamo---tim-kukma-indo etshi-apple-is-pirveli-magazia-gaxsna/39390)

BMG-ის მიერ ჩინეთთან დაკავშირებით მომზადებულ ახალ ამბებში შევხვდებით დიდი ბრიტანეთის მიერ პოპულარული ჩინური სოციალური ქსელის TikTok-ის 16 მილიონი დოლარით დაჯარიმების გადაწყვეტილებასაც. მედიას ამავე სიახლეში მოყვანილი ჰყავს ბრიტანეთის მარეგულირებლის გადაწყვეტილების არგუმენტაციაც, რომ ჩინეთის პლატფორმაზე რეგისტრაცია 13 წლამდე ასაკის ბავშვებს მშობლების გარეშე შეეძლოთ, რაც ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის კანონმდებლობას.

მედიას აქვე მოჰყავს სხვა შემთხვევების მაგალითებიც, თუ როგორ რეაგირებს განვითარებული მსოფლიო აღნიშნულ პლატფორმაზე.

"TikTok-ისა და მისი მფლობელი კომპანიის, ByteDance-ის წინააღმდეგ მსოფლიოს მასშტაბით კრიტიკა სულ უფრო მეტად იზრდება. ამერიკელი კანონმდებლების შეფასებით, სოციალური პლატფორმა აქტიურად არღვევს მონაცემების დაცვის პოლიტიკას და მომხმარებლების პირად ინფორმაციას ჩინეთის მმართველ კომუნისტურ მთავრობას უზიარებს." (წყარო: https://bm.ge/news/britanetshi-tiktok-s-16-milioniani-jarima-daekisra/131050)

ჯეკ მა და კომუნისტური ჩინეთი

კრიტიკას ვხვდებით კომუნისტური ჩინეთის მთავრობისა და ჩინური ბიზნესგიგანტის, „ალიბაბას" დამფუძნებლის ურთიერთობების შესახებ გამოქვეყნებულ სიახლეებშიც.

მაგალითად, ჯეკ მას (ალიბაბას დამფუძნებელი) მიმართ კომუნისტური ჩინეთის მთავრობის ქცევა მოხსენიებულია შურისძიებად. მოყვანილია კონტექსტიც, ბუნდიეს ეკონომიკური სამიტი, რომელზეც დიდი გავლენის მქონე ჩინელმა ბიზნესმენმა მკაფიოდ გააკრიტიკა ჩინეთის მთავრობა. მსგავს თემაზე მომზადებულ კიდევ ერთ სტატიაში ავტორს ეკონომიკურთან ერთად მოჰყავს პოლიტიკური კონტექსტიც და აუდიტორიას ახსენებს, რომ სი ძინპინი უკვე მესამედ ვადით არის არჩეული ჩინეთის მეთაურად, რაც "კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების" შედეგად გახდა შესაძლებელი. (წყარო: https://bm.ge/news/ekonomikaze-partiis-kontroli-gadzlierdeba----si-dzinpini-/133414)

"რამდენიმე თვეში მარეგულირებელი კომისიის სამიზნე კომპანია Alibaba გახდა, რომელიც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის გამო, 2.8 მილიარდი დოლარით დააჯარიმეს, რაც აგრეთვე რეკორდული მაჩვენებელია." (წყარო: https://bm.ge/news/alibaba-s-dashla-da-jek-mas-dabruneba--raxdeba-chinetshi/130931)

"ფინტექ კომპანია მარეგულირებლისგან საფინანსო ორგანიზაციად რეგისტრირებისათვის საჭირო ლიცენზიას ითხოვს, რომელიც Ant Group-ს ქვეყანაში უპრობლემოდ ოპერირების საშუალებას მისცემს. განაცხადის შეტანიდან უკვე წელიწადზე მეტია გასული, თუმცა ლიცენზიის გაცემას მარეგულირებელი ისევ აჭიანურებს. კომპანიის წარმომადგენლობის განცხად-

ებით, ზემოხსენებული ქმედება პირდაპირ კავშირშია ჯეკ მასთან და ეს ჩინური კომუნისტური მთავრობის შურისძიების ნაწილია." - აღნიშნული კომპანია ალიბაბას ჰოლდინგში შემავალი კომპანიაა. (წყარო: https://bm.ge/news/chinetis-maregulirebeli-ant-group-ze-licenziis-gacemas-achianurebs/133454)

ევროკავშირი, ჩინეთი, რუსეთი

მონიტორინგის პერიოდში მედია აქტიურად აშუქებდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის და სრულმასშტაბიანი ომის საკითხებს ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების კონტექსტში. მათ შორის მოხვდა ევროკავშირის განზრახვაც, რომ დაასანქციროს ის ჩინური კომპანიები, რომლებიც უკრაინის წინააღმდეგ ომში რუსეთის ფედერაციის დახმარებაში არიან ბრალდებული. მედიას მოჰყავს Financial Times-ის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც პირველ ეტაპზე დაგეგმილია შვიდი ჩინური კომპანიის სანქცირება.

"ყოველი მათგანი აქტიურადაა ჩართული რუსეთის შეიარაღებული ძალების მომარაგებაში, როგორც ტექნიკით, ასევე კრიტიკული მნიშვნელობის დეტალებითა და საწარმოო მატერიალებით." (წყარო: https://bm.ge/news/eu-rusetis-daxmarebashi-braldebuli-chinuri-kompaniebis-sanqcirebas-gegmavs/133431)

საანგარიშო პერიოდში, მედია ასევე წერდა (უკრაინაში ომის კონტექსტში) რუსული საწვავის შესახებ და გარკვეული რეგულაციების და ზღვრული ფასების გათვალისწინებით ხაზს უსვამდა, რომ ჩინეთი არის ეკონომიკური აქტიურობის აღდგენის პროცესში და ასევე, არის უმსხვილესი ენერგომომხმარებელი, *„რუსეთი კი - მისი მთავარი მიმწოდებელი."* (წყარო: https://bm.ge/news/birjaze-navtobis-fasebi-mkvetrad-izrdeba/131669)

ახალი ამბით გააქტიურებულ თემატიკასთან ერთად, მედიაპლატფორმა აუდიტორიას პერიოდულად აწვდიდა ანალიზს, წყაროებად სხვა მედიების გამოყენებით. მაგალითად, CNBC-ზე დაყრდნობით, მედია ავრცელებს ინფორმაციას, რომელიც ეკონომისტ ნურიელ რუბინის ანალიზს მოიცავს და გლობალურ მაკროეკონომიკურ რისკებს ეხება. ანალიზი მოიცავს აშშ-ჩინეთის ურთიერთობის საკითხს, რომელიც ანალიტიკოსის შეფასებით ყოველდღიურად მწვავდება.

"ჩინეთის და რუსეთის ეკონომიკური დაახლოება გლობალურ ეკონომიკაზე უაღრესად ნეგატიურად აისახება, რადგან ეს თავისუფალი ვაჭრობის და გლობალიზაციის შეზღუდვას გამოიწვევს", - ვკითხულობთ დასკვნას სტატიაში. (წყარო: https://bm.ge/news/quotsabanko-krizisi-swored-axla-iwyeba-ashshshi-recesia-gardauvaliaquot---nuriel-rubini/131806)

“ნეტგაზეთი“

მედიაპლატფორმა:	https://netgazeti.ge
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	მარიამ ყვავაძე
კონტენტის რაოდენობა:	42
ტონები:	**10 - უარყოფითი,** **20 - ნეიტრალური,** **12 - დადებითი**

ჩინეთის შესახებ „ნეტგაზეთის“ მასალების უმეტესი ნაწილი დაკვირვების პერიოდში ახალი ამბების კატეგორიას განეკუთვნებოდა და მეტწილად ნეიტრალური ტონის იყო.

რედაქცია ჩინეთთან დაკავშირებულ ახალ ამბავს აშუქებს ძირითადად კონტექსტის გარეშე, არ საუბრობს თემის წინა ისტორიაზე _“ბექგრაუნდზე“ . ამგვარი მასალების ნაწილი ეყრდნობა სხვა მედიებს, უმეტესად სხვა ტელევიზიების მიერ გავრცელებულ ინფორმაციებს.

მაგალითად, 2023 წლის 28 ოქტომბრის მასალაში ვკითხულობთ, რომ დავითაშვილმა არ უპასუხა კითხვებს ჩინეთში გამართულ ბანკეტზე, რომელსაც პუტინთან ერთად ესწრებოდა. *“საუბარია 18 ოქტომბერს ჩინეთში „სარტყელი და გზის“ ფორუმის ფარგლებში გამართულ ბანკეტზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია ქართულ მედიაში თავდაპირველად „ტაბულამ“ 27 ოქტომბერს გაავრცელა.”*

“თავად ლევან დავითაშვილმა დღეს, 28 ოქტომბერს, არ უპასუხა „მთავარი არხის“ კითხვას, შეექმნა თუ არა უხერხულობა ვლადიმერ პუტინთან ერთად ღონისძიებაზე დასწრებისას.”

netgazeti.ge

სიახლეები საზოგადოება ხელოვნება ეკონომიკა კომენტარი სამხრეთ კავკასიის ამბები

ახალი • ვლადიმერ პუტინი • ირაკლი ქარსელაძე • ლევან დავითაშვილი • ჩინეთი

დავითაშვილმა არ უპასუხა კითხვებს ჩინეთში გამართულ ბანკეტზე, რომელსაც პუტინთან ერთად ესწრებოდა

28 ოქტომბერი, 2023 • netgazeti.ge

„ნეტგაზეთის“ მასალებზე დაყრდნობით, ჩანს რომ გარდა ქართული მედიასაშუალებებისა, რედაქცია ეყრდნობა უცხოურ მედიებსაც და ავრცელებს მათ მიერ დამუშავებულ ინფორმაციას. „30 ნოემბრის ღამეს რუსეთ-ჩინეთის „ერთადერთი მნიშვნელოვანი სარკინიგზო მაგისტრალის“ მონაკვეთი უკრაინის უშიშროების სამსახურის [სბუ] ოპერაციის შედეგად ააფეთქეს, იუწყება „უკრაინსკა პრავდა“ ძალოვან სტრუქტურაში თავის წყაროზე დაყრდნობით.“ 2023 წლის 30 ნოემბრის ამ მასალასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულს უკრაინული მხარე არ ადასტურებდა და რუსული მხარე საერთოდ სხვა მიზეზს ასახელებდა. რედაქციამ ტექსტში ესეც ახსენა.

სარეკლამო მასალები

როგორ 2022 წელს, ისე 2023 წელს ნეტგაზეთი ერთმანეთისგან მიჯნავს სარეკლამო და სარედაქციო შინაარსს, მათ შორის ჩინეთთან დაკავშირებული თემების თაობაზე. 2023 წლის 21 ივლისს, გვხვდება ჩინეთთან დაკავშირებული რეკლამა, ქართული ღვინის შესახებ. სტატიას თავში მითითებული აქვს, რომ რეკლამაა. საყურადღებოა, რომ ამ მასალას ჩინეთის თემატიკაზე მომზადებულ სარედაქციო შინაარსებთან შედარებით უფრო მეტი ნახვა და გაზიარება აქვს.

სტატიაში საუბარია, ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, კონტექსტი უკიდურესად პოზიტიურია:

„დღესდღეობით ქართული ღვინო ჩინეთში იმპორტირებული ღვინის ათეულში შედის, თუმცა დიდი გზაა გასავლელი პოზიციის გასაუმჯობესებლად.“

„ორ ქვეყანას შორის არსებული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები მომავლისათვის ტოვებს იმედის საფუძველს, რომ ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო საინტერესოდ და მნიშვნელოვნად დავინახოთ ჩინეთის ბაზარი.“

,,სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ ღირს ძალისხმევის გაწევა ჩინურ ბაზარზე ფეხის მყარად მოსაკიდებლად. იმის მიუხედავად, რომ ტრადიციული ბაზრები ჩვენთვის დიდი მნიშვნელობისაა, ქართულ ღვინოს ჩინურ ბაზარზე კიდევ უფრო უკეთ პოზიციონირების შესაძლებლობა აქვს და სწორი მუშაობით რეალური ხდება ჩინური ბაზარი იქცეს ტრადიციული ბაზრების ღირსეულ ალტერნატივად. რაც უფრო დივერსიფიცირებული იქნება ქართული ღვინის ბაზარი, მით უკეთესი“ – ამბობს მიხეილ სონღულაშვილი.“

„ნეტგაზეთი“ **ანაკლიის პორტთან** დაკავშირებით ინტენსიურად მუშაობდა და ჩინეთთან ურთიერთობებზე ხშირად საუბრობდა.

მაგალითად 2 აგვისტოს გავრცელებული ინფორმაციით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ნათია თურნავა ჩინეთთან ურთიერთობას დადებითად აფასებდა.

ნეტგაზეთმა კრიტიკული კითხვა დასვა: *„ნათია თურნავას ჰკითხეს, თავის დროზე რატომ არ გააკეთა მთავრობამ ყველაფერი, რათა ანაკლიის პორტი ამერიკული ინვესტიციით აშენებულიყო, რამდენად შეიძლება, ახლა ეს ჩინური ინვესტიციით მოხდეს და ხედავს თუ არა ამ შემთხვევაში საფრთხეს.*

„ეს საკითხი ამჟამად არ განეკუთვნება ჩვენს კომპეტენციას. ჩინეთზე შემიძლია უბრალოდ ვთქვა, რომ საფინანსო სექტორის შემდგომი განვითარების და მაკროეკონომიკური სტაბილურობის თვალსაზრისით, ჩვენი საგარეო ბაზრების და პარტნიორების დივერსიფიკაცია პოზიტიური მოვლენაა. დანარჩენზე, ვფიქრობ, მთავრობა ამომწურავ პასუხებს იძლევა“, — განაცხადა თურნავამ.“

1. ძინპინი“_ 28 ივლისი 2023
2. „სტრატეგიული პარტნიორობა ჩინეთთან: პერსპექტივა რისკებით“_ (სარგებელი და რისკები) _ 29 ივლისი 2023
3. "ცნობილია, რას მოიცავს ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა"_ 31 ივლისი 2023
4. „კონსულტაციები იქნება ყველასთან“ — აშენდება თუ არა ანაკლია ჩინური ინვესტიციით _ 1 აგვისტო 2023
5. „ღარიბაშვილმა ჩინეთში ანაკლიის პორტზე ილაპარაკა“_1 აგვისტო 2023
6. „ჩინეთის ელჩი ანაკლიის პორტისადმი ჩინურ ინტერესს ადასტურებს“_ 6 სექტემბერი 2023
7. „მინისტრი ადასტურებს ჩინური კომპანიების მხრიდან ანაკლიის პორტით დაინტერესებას“_ 11 სექტემბერი 2023
8. „ანაკლიის პორტის აშენება ჩინურ და შვეიცარიულ კომპანიებს სურთ“_ 22 სექტემბერი 2023

„ნეტგაზეთი“ ახალი ამბების სახით პოზიტიური ტონით აქვეყნებს ინფორმაციებს, როდესაც საქართველოსა და ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ პრემიერი საუბრობს, რომ ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები ჯანსაღად და წარმატებულად ვითარდება.

კომენტარი • ირაკლი ღარიბაშვილი • ჩინეთი

ტენზერი: ახლა ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა მართებული არაა

28 ივლისი, 2023 • ნინო ჩიჩუა



„საქართველო დიდად აფასებს ჩინეთთან მეგობრობას და პარტნიორობას და მადლობელი ვარ ჩვენი ურთიერთობის სტრატეგიულ პარტნიორობამდე ამაღლების შესახებ თქვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებისთვის, რაც მიმაჩნია, კონკრეტული შედეგებისა და სარგებლის მომტანი იქნება ორივე მხარისთვის. საქართველო ერთგულია ჩინეთთან სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაღრმავების იდეისადმი მრავალი მიმართულებით და გვახარებს, რომ მნიშვნელოვან დოკუმენტებს მოეწერება ხელი“, — განაცხადა პრემიერმა. _ 28 ივლისი 2023.

თუმცა **ამავე გამოცემაში გვხვდება ჩინეთის პოლიტიკის შესახებ კრიტიკული მასალები,** მაგალითად, ფრანგი პოლიტოლოგი, „ასპენის ინსტიტუტის“ ყოფილი დირექტორი და პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ლექტორი ნიკოლას ტენზერი საქართველო-ჩინეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების შესახებ საუბრობს, რომ ჩინეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ, ნებისმიერი ქვეყნისთვის გამოწვევაა. ის მონტენეგროს თემასაც შეეხო, ჩინეთმა 2015 წელს სესხი გამოუყო მონტენეგროს ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე ბარის პორტის მაგისტრალით სერბეთთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობისთვის. საბოლოო ჯამში კი ქვეყანამ უზარმაზარი ვალი მიიღო, გზის მშენებლობა კი დასრულებული ჯერაც არაა. „ეს არის ერთ-ერთი რისკი იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც აქვთ ეკონომიკური პარტნიორობა ჩინეთთან“_თქვა ტენზერმა.

იგივე სტატია გადადის ვრცელ ლონგრიდზე, სიღრმისეულ კრიტიკულ ანალიზზე ჩინეთის პოლიტიკის, რომელიც უცხოურ სანდო წყაროებზე არის

დაყრდნობილი: „გზა არსაიდან არსაით“ – როგორ დაედო მონტენეგროს ჩინეთის ვალი.

ჩინეთისა და საქართველოს შესახებ უარყოფითი ტონით მოწოდებული ახალი ამბებია:

1. „არათანაზომადი ტექსტია“ — გოგოლაშვილი ჩინეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე _ 31 ივლისი 2023
2. ვიოლა ფონ კრამონი საქართველოს აკრიტიკებს ჩინეთთან დაახლოების გამო _ 31 ივლისი 2023
3. კორნელი კაკაჩია ჩინეთთან თბილისის სტრატეგიულ პარტნიორობაზე“_ 31 ივლისი 2023
4. დეგნანი: ჩინეთთან პოლიტიკური ვალდებულებების აღებისას სიფრთხილეა საჭირო _ 21 აგვისტო 2023
5. „ქაღალდზე კარგად გამოიყურება, მაგრამ ცუდად სრულდება“ – ფრიდი ჩინეთთან პარტნიორობაზე _ 4 სექტემბერი 2023

„ნეტგაზეთი“ 12 ივლისს ავრცელებს ახალ ამბავს, სადაც ვკითხულობთ ეპისკოპოს იაკობის მიერ ჩინური პროდუქციის მკვეთრად უარყოფით კონტექსტში მოხსენიებას. თემა ეხება პატრიარქის მოსაყდრის, მეუფე შიოს მოწამვლას.

„ცუდზე არ ვფიქრობ, ღმერთმა კარგად ამყოფოს [მეუფე შიო]. ვნახოთ მიზეზი. შეიძლება, ჩინური პროდუქცია იყოს, ხომ იცით, რაც ხდებოდა სათამაშოებზე. მე არ ვიცი, რომელი მეტალი იყო მის სისხლში, მაგრამ ძალიან ბევრი საწვავია... ის არის... ნებისმიერ თქვენგანს შეიძლება ჰქონდეს [სისხლში მეტალი]. მე ვერც ერთ ვერსიას ვერ გამოვრიცხავ. საპატრიარქოში [მეუფე შიოს] მტერი არ ჰყოლია. რატომ უნდა ჰყოლოდა? მოსაყდრეა, ქორეპისკოპოსია, მტერი რატომ უნდა ჰყავდეს“, — განაცხადა იაკობმა.

“ვმუშაობთ, რომ ჩინეთმა და ინდოეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარონ,”- ვკითხულობთ „ნეტგაზეთის“ ახალ ამბებში. 29 აგვისტო 2023.

ეს ნიუსიც ზედაპირულია, კონტექსტის გარეშე და მკითხველი შეიძლება ვერ ჩასწვდეს - რა სურს ამ ამბით რედაქციას უთხრას საკუთარ მკითხველს “ვმუშაობთ, რომ ჩინეთმა და ინდოეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარონ” • გრიგორი კარასინი • სამხრეთ ოსეთი • Netgazeti.ge

იგივე ზედაპირულობითა და უკონტექსტობით გამოირჩევა ეს მასალებიც:

1. ღარიბაშვილი ჭკვიანურს უწოდებს ჩინეთის მიდგომას რუსეთ-უკრაინის ომისადმი • ირაკლი ღარიბაშვილი • რუსეთის ომი უკრაინაში • Netgazeti.ge
2. პუტინი ჩინეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა, მათ თანამშრომლობაზე ისაუბრეს პუტინი ჩინეთის თავდაცვის მინისტრს შეხვდა, მათ თანამშრომლობაზე ისაუბრეს • რუსეთი • ჩინეთი • Netgazeti.ge
3. ჩინეთი თავის წარმომადგენელს აგზავნის უკრაინაში კონფლიქტის მედიაციისთვის • რუსეთის ომი უკრაინაში • ჩინეთი • Netgazeti.ge
4. სი ძინპინის ვიზიტი დასრულდა — რაზე შეთანხმდნენ რუსეთი და ჩინეთი? • რუსეთი • ჩინეთი • Netgazeti.ge

ChineseStories

პლატფორმა:	https://chinesestories.ge/
Facebook:	https://www.facebook.com/profile.php?id=100063558728011
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ნინა ხელაძე
შესწავლილი მასალის რაოდენობა:	30
მასალების თემატიკა:	1. განათლება და გაცვლითი პროგრამები ჩინეთში; 2. ისტორია; 3. ტურიზმი; 4. პოლიტიკა, რუსეთთან ფრენები.

მნიშვნელოვანი გარემოება:

1. 2022 წელს განხორციელებული კვლევისას დადგენილის მსგავსად, მედიის ვებგვერდზე განთავსებულ თითქმის არცერთ მასალას არ აქვს დატანილი გამოქვეყნების თარიღი. შესაბამისად მასალების მონიტორინგისათვის გამოყენებულია ვებგვერდზე მითითებული სოციალური ქსელის მისამართი: https://www.facebook.com/profile.php?id=100063558728011
2. პლატფორმა კვლავაც რჩება ჩინეთის შესახებ კულტურული, ტრადიციული, საგანმანათლებლო შინაარსის გამავრცელებლად და ოპერირებს უფრო პერსონალური ბლოგის ფორმატში ვიდრე სტანდარტული საინფორმაციო ხასიათის მედიის.

რაც შეეხება ჩინეთთან დაკავშირებულ შინაარსს, პლატფორმა გასული მონიტორინგის პერიოდისაგან განსხვავებით (2022 წელი) ძირითადად იყენებს Facebook გვერდს და ტექსტური მასალების ნაცვლად ვხვდებით ვიდეოკონტენტს. შინაარსი კვლავაც არის დადებითი ტონის, ვხვდებით საგანმანათლებლო, კულტურულ, ტურისტულ კონტენტს.

პლატფორმას გადაზიარებული აქვს მაშინდელი პრემიერ-მინისტრის (30.07.2023), ირაკლი ღარიბაშვილის მიმართვა და საჯარო მადლობა ჩინეთის პრეზიდენტისადმი.

გვერდზე, ჩინური სამზარეულოს და ტრადიციების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, შეხვდებით ტურისტული შინაარსის მასალებსაც. მაგალითად, „ნიენკაო（年糕） ჩინური ტრადიციული ტკბილეულია, რომელიც ბრინჯისგან მზადდება და მას უცხოელები ბრინჯის ნამცხვარსაც უწოდებენ."

საანგარიშო პერიოდში პლატფორმაზე აქტიურად ქვეყნდებოდა კონტენტი ჩინეთში ტურიზმის შესახებ და საქართველოში ჩინელი ტურისტების შესახებ. გვერდზე იკითხება შინაარსი, რომ ჩინეთს ჯერ საქართველოსთვის „არაფერი დაუშავებია":

„ტურისტი არის ადამიანი, რომელიც ჩამოდის მოგზაურობს, ერთობა, ფულს ხარჯავს და მიდის. ხშირად, მავანთ ხელწამოსაკრავად აქვთ ხოლმე ჩემი ჩინეთში მიღებული განათლება და ჩემი პროფესია. ძალიან დიდი ბოდიში მაგ კატეგორიის ხალხთან, თუმცა:

1. ჩინეთს და ჩინელებს ჯერ საქართველოსთვის და ქართველებისთვის არაფერი დაუშავებია;

2. ჩემი სამშობლო საქართველოა და თუ ვინმე მას რამეს დაუშავებს მე ის ვინმე არ მეყვარება და არც ფულის გამო ვიქნები ზოგიერთებივით არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე სამშობლოს გამყიდველი."

განათლება

მედია კვლავაც განაგრძობს ჩინეთში განათლების მიღების შესაძლებლობებზე ინფორმაციის გაზიარებას ქართული აუდიტორიისთვის.

ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ჭეძიანგის საერთაშორისო სწავლების უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას რამდენიმე მიმართულებით, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არის საუბარი დაფინანსებულ გაცვლით ან სხვა ტიპის პროგრამაზე.

ჩინეთში დაფინანსებული სასწავლო პროგრამების შესახებ უფრო მეტი წერია ჩვენი მონიტორინგის კიდევ ერთი მედიის გვერდებზე, რომელიც ამჯერად გადაზიარებული კონტენტის სახით პირველად (მონიტორინგის პერიოდში) გვხვდება China Stories Facebook გვერდზე. (https://chinesestories.ge/ka/54-chedziangis-saertashoriso-swavlebis-universiteti-acxadebs-studentebis-migbas.html?fbclid=IwAR0m5ToJyJ560ziFK_CNoxtBXVrZdvOzslrU-ysLTlxXu2Tmvoc8ctccv3Q)

საქართველოს დასავლური ინტეგრაცია, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და ზოგადად ევროპული კურსი პლატფორმის მკაფიო ღირებულებითი არჩევანია, თუმცა, ამის ფონზე, მედია აქტიურად უთმობს სივრცეს საქართველოში ჩინეთის საელჩოს აქტივობებს.

Sinomedia

პლატფორმა:	https://sinomedia.ge/
Facebook:	https://www.facebook.com/sinomedia.ge/
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ნინა ხელაძე
მასალების თემატიკა:	1. ჩინეთის როლი გლობალურ ეკონომიკაში; 2. ჩინეთის გლობალური სამშვიდობო როლი, სამხედრო ძალები და გავლენები; 3. აშშ და მისი შეპირისპირება ჩინეთთან; 4. გასტრონომია და ტრადიციები, განათლება და კულტურა;

მონიტორინგის მთავარი მიგნება:

მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში, წინასაგან განსხვავებით (2021 წ.), რომელიც ახალი კორონავირუსის პანდემიას ემთხვეოდა და მედიის მიერ შინაარსის წარმოება მნიშვნელოვნად შემცირებული იყო, გაზრდილია კონტენტის რაოდენობა და მკაფიოდ ხაზგასმულია ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური როლი გლობალური მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის გლობალური სამშვიდობო როლის წარმოჩენასთან ერთად, ვებგვერდზე მსგავს მასალებში ვხედავთ აშშ-ს კრიტიკას, არა მხოლოდ ტაივანთან მიმართებით გატარებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

გლობალურად ჩინეთის საკვანძო როლის და დასავლურ კულტურასთან უპირატესობის წარმოსაჩენად ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება განათლების და კულტურის თემაც.

ჩინეთის როლი გლობალურ ეკონომიკაში

სამომხმარებლო ტექნიკის საერთაშორისო გამოფენები, ჩინეთის მაღალ-ტექნოლოგიური განვითარება, ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა და ახალი სატრანსპორტო პროექტები, ინვესტიციები, სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ხიდების მშენებლობა, საავტომობილო ინდუსტრია და საერთაშორისო გამოფენები.

1. სტატიაში სახელწოდებით „ახალი სატრანსპორტო პროექტები ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად“ მოყვანილია შემდეგი მონაცემები:

“სატრანსპორტო სამინისტროს (ჩინეთის) უახლესი მონაცემებით, ბოლო 10 წლის განმავლობაში სატრანსპორტო სფეროში ჩადებული ინვესტიციები განსაკუთრებით გაიზარდა. 2021 წელს ჯამურმა ინვესტიციამ 523,8 მილიარდი დოლარი შეადგინა და 50%-იანი ზრდა დაფიქსირდა.“

*“მთავრობის ინფორმაციით, მრავალი სატრანსპორტო პროექტია დაგეგმილი. პროექტების პირველ პარტიაში ინვესტიცია 833,7 მილიარდ იუანს აღწევს.“ (*წყარო: https://sinomedia.ge/ახალი-სატრანსპორტო-პროექ/)

მკვეთრად დადებითი ტონის, ხოტბის ელემენტების შემცველი სტატიის წაკითხვის შედეგად, აუდიტორია რთულია დარჩეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და მისი მოდელის მიმართ გულგრილი.

2. ჩინეთის მაღალტექნოლოგიური განვითარების და საერთაშორისო სავაჭრო როლის ხაზგასმითაა გამორჩეული კიდევ ერთი სტატია, რომელიც 2023 წლის დასაწყისში ჩინეთში დაგეგმილ სამომხმარებლო ტექნიკის გამოფენას ეძღვნება. მასალაში აღმატებით ხარისხშია წარმოჩენილი ჩინეთის როლი სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე. (წყარო: https://sino media.ge/ხაიქოუს-გამოფენა34/)

„11 – 15 აპრილს, ჩინეთი, ხაინანის კუნძული სამომხმარებლო ტექნიკის ფართომასშტაბიან გამოფენას უმასპინძლებს. გლობალური სამომხმარებლო პროდუქტების კომპანიებისთვის ჩინეთის ბაზარზე შესასვლელად საგამოფენო პლატფორმა საუკეთესო შანსია.”

„გამოფენის განუყოფელი ნაწილია თილისმა „იუენსიაო“, რომელიც შედგება ხაინანის ორი გიბონისგან. წელს, თილისმების ახალი გამოსახულებები ცნობილია, როგორც „მექანიკური იუენსიაო“, რაც აერთიანებს მაღალ ტექნოლოგიას, მოწინავე წარმოებასა და ხაინანის კულტურას.”

3. ჩინეთის ეკონომიკური ზრდა არის ერთ-ერთი აქტიური თემატური მექანიზმი ამ ქვეყნის წარმატების საჩვენებლად, რისთვისაც ხშირად ნიშნულად აღებულია პანდემიის პერიოდი და ამ ნიშნულიდან ნაჩვენები ზრდა. ამ თემატიკის სტატიების ტონი აბსოლუტურად დადებითია. მაშინაც კი როდესაც მცირე დაბრკოლების ჩვენება გარდაუვალია, მიზეზად საერთაშორისო გარემო და საგარეო ვაჭრობის კუთხით სხვა ქვეყნების შიდა “არაადეკვატური მოთხოვნები” და “გლობალური ზრდის შესუსტება“. მსგავსს ციტატებს ვხვდებით სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია 27.04.2023-ში სათაურით “ჩინეთის ეკონომიკა, გზა აღდგენიდან – აღმავლობისკენ” (წყარო: https://sinomedia.ge/ჩინეთის-4567ეკონომიკა-2023-გზა-ა/)

„რაც შეეხება ექსპორტს, ამჟამად ქვეყნის საგარეო ვაჭრობა ზეწოლის ქვეშ იმყოფება, მაგრამ ჩინეთი სავარაუდოდ მიაღწევს მიზანს, ხელი შეუწყოს სტაბილურობას და გააუმჯობესოს საგარეო ვაჭრობის ხარისხი მთელი წლის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის ეკონომიკურ ოპერაციებში დადებითი ფაქტორები იკვეთება, ეკონომიკური აღდგენის საფუძველი მყარი ჯერ კიდევ არ არის. ჩინეთის ეკონომიკის წინაშე მრავალი სირთულე და გამოწვევა დგას, მათ შორის რთული საერთაშორისო გარემო, გლობალური ზრდის შესუსტება, არაადეკვატური შიდა მოთხოვნა და სტრუქტურული პრობლემები, რომლებიც ზღუდავს ჩინეთის განვითარებას.“

ჩინეთი და ქართული მედია:

საქართველოში ჩინეთის ელჩის, ჭოუ ციენის შეხვედრა ქართულ მედიასთან მასალაში აქცენტი დასმულია კონფლიქტებთან დაკავშირებით ჩინეთის და კონკრეტული ელჩის შეხედულებებზე, უკრაინა-რუსეთის ომის საკითხზე და ა.შ. თუმცა არ ჩანს, დაისვა თუ არა რომელიმე ჟურნალისტის მხრიდან კრიტიკული შეკითხვა და რა იყო ელჩის პასუხი. (წყარო: https://sinomedia.ge/ჭოუ-ციენის-შეხვედრა/)

ჩინეთის გლობალური სამშვიდობო როლი, სამხედრო ძალები და გავლენები

1. ჩინეთის სამშვიდობო დიპლომატია და მისი გლობალური როლი წარმოჩენილია უკრაინის კონფლიქტთან, საუდის არაბეთსა და ირანს შორის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით. ხაზგასმულია რომ „ჩინეთი ირჩევს მშვიდობას“ და მხარს უჭერს „სუვერენიტეტს“. მათ შორის აქტიურად არის აქცენტირებული, რომ სუვერენიტეტის მხარდამჭერი პოლიტიკა ჩინეთს საქართველოს მიმართაც მკაფიოდ აქვს გამოხატული.

„ჩინეთი ირჩევს მშვიდობას“ – განაცხადა მედიასთან შეხვედრაზე ჩინეთის ელჩმა საქართველოში, ჭოუ ციენმა. დიპლომატმა მსოფლიოში კონფლიქტების, მათ შორის უკრაინაში მიმდინარე ომის მშვიდობიანი გზით დარეგულირების აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი განმარტებით, ჩინეთი მშვიდობასა და ომს, დიალოგსა და სანქციებს, ცეცხლსა და სიტუაციის განმუხტვას შორის ირჩევს მშვიდობას, დიალოგსა და განმუხტვას. ჭოუ ციენმა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა დაადასტურა და განაცხადა, რომ ჩინეთი ასევე ემხრობა საქართველოში არსებული ტერიტორიული კონფლიქტების მოლაპარაკების გზით მოგვარებას.” (წყარო: https://sinomedia.ge/ჭოუ-ციენის-შეხვედრა/)

2. ჩინეთი გავლენების ზრდა ცენტრალურ აზიაში და სამხედრო ინ-ტერესები

ჩინეთში, საქართველოს ყოფილ ელჩთან, მამუკა გამყრელიძესთან ინტერვიუში გაანალიზებულია პუტინისა და სი ძინპინის შეხვედრა და ჩინეთის სამხედრო გააქტიურება აუკუსის ორგანიზაციის საპირწონედ. რესპონდენტი ასკვნის, რომ ჩინეთის გავლენა ცენტრალური აზიის რეგიონში იზრდება, რაზეც მეტყველებს მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, სი ძინპინის მიერ გაჟღერებული ინიციატივა - ცენტრალური აზიის სახელმწიფოების სამიტის შესახებ.

„აქამდე ამ რეგიონში სამხედრო გავლენა რუსეთს, ხოლო ეკონომიკური ჩინეთს ეკავა. ახლა ჩინეთის სამხედრო მნიშვნელობაც საგრძნობლად გაიზარდა. ჩანაცვლების ეს პროცესი დაიწყო აშშ-ის მიერ ავღანეთის დატოვ-ების შემდეგ. ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის გააქტიურებაც სწორედ ამან გამოიწვია. ჯიბუტიში ერთი, ხოლო ტაჯიკეთში ჩინეთის ორი სამხედრო ბაზის გახსნა და პაკისტანში, გვადარში, პორტის აშენება მეტყველებს მის სურვილზე, თავი დაიმკვიდროს გლობალურ ძალად.” – განაცხადა მან.

(წყარო: https://sinomedia.ge/სი-ძინფინგი-და-პუტინი/)

3. ჩინეთის სამხედრო რესურსები, წვრთნები, მაღალტექნოლოგიური სამხედრო შეიარაღება - ამ თემატიკის შინაარსში სინომედიას მასალაში მკითხველი კვლავაც ძლიერი ჩინეთის და დაპირისპირების შემთხვევაში მტრის განადგურების მზაობას ხედავს.

„სარდლობის ძალები მზად არიან და შეძლებენ დაუპირისპირდნენ მტერს საჭიროების შემთხვევაში და გაანადგურონ როგორც „ტაივანის დამოუკიდებლობის“ სეპარატისტული აქტები, ასევე საგარეო ჩარევა“, – თქვა სპიკერმა. (წყარო: https://sinomedia.ge/ერთობლივი-მახვილი/)

4. ჩინეთის განსაკუთრებულ როლზეა საუბარი სტატიაში “ჩინეთის პრეზიდენტი 70 ქვეყნის ელჩს შეხვდა”, რომელშიც გარდა რაოდენობრივი მასშტაბებისა, ხაზგასმულია ჩინეთის გლობალური იდეოლოგიური როლი, როგორც “კაცობრიობის საერთო ფასეულობების” დამცველისა.

“მან ასევე აღნიშნა ქვეყნის ვალდებულება დაიცვას კაცობრიობის საერთო ფასეულობები, ხელი შეუწყოს ურთიერთგაგებასა და მეგობრობას სხვადასხვა ხალხებს შორის და ერთობლივად გაუმკლავდეს გლობალურ გამოწვევებს.“ (წყარო: https://sinomedia.ge/სის-შეხვედრა-ელჩებთან/)

აშშ და მისი შეპირისპირება ჩინეთთან

1. ტაივანი

საქართველოში, ჩინეთის ელჩთან ქართული მედიის შეხვედრასთან დაკავშირებით მომზადებულ მასალაში, ასევე, ვხედავთ კრიტიკას ტაივანთან დაკავშირებით აშშ-ს პოლიტიკის მიმართ.

“მან (ჩინეთის ელჩი საქართველოში, ჭოუ ციენი) ტაივანის საკითხზეც ისაუბრა და აშშ ვითარების გამწვავებაში დაადანაშაულა. ციენმა ტაივანის პრობლემა აფხაზეთს შეადარა.

ჩინეთის ელჩმა საქართველოში გააკრიტიკა აშშ იარაღის მიწოდებით კონფლიქტის ესკალაციაში და ასევე ისაუბრა ბირთვული იარაღით დაშინების პოლიტიკის უარყოფით გავლენაზე.“ (წყარო: https://sinomedia.ge/ჭოუ-ციენის-შეხვედრა/)

2. მოლაპარაკებები საუდის არაბეთსა და ირანს შორის

ჩინეთის გლობალური პოლიტიკური აქტორის და სამშვიდობო როლის მქონე სახელმწიფოს წარმოჩენისას ხშირად ვხვდებით მის შეპირისპირებას ამერიკასთან. აღნიშნულ მასალაში აუდიტორია საუდის არაბეთის და ირანის მოლაპარაკებების პროცესში ჩინეთის ეფექტიანობის შესახებ ირებს ინფორმაციას და პარალელურად მიეწოდება ცნობა, რომ ამერიკის დიპლომატიამ განიცადა მარცხი.

„ეს ჩინური დიპლომატიის დიდი გამარჯვება, ხოლო ამერიკული დიპლომატიის მარცხი იყო.“ - მოსაზრება ეკუთვნის ინტერვიუს რესპონდენტს, მამუკა გამყრელიძეს, “ევროპელი დემოკრატების” გენერალურ მდივანს, საქართველოს ყოფილ ელჩს ჩინეთში. (წყარო: https://sinomedia.ge/სი-ძინფინგი-და-პუტინი/)

ვრცელ ინტერვიუში ასევე მოყვანილია ფაქტები აშშ-ის სამხედროების ავღანეთიდან გასვლის შემდეგ, ცენტრალურ აზიაში ჩინეთის სამხედრო წარმომადგენლობების შესახებ.

“ჩანაცვლების ეს პროცესი დაიწყო აშშ-ის მიერ ავღანეთის დატოვების შემდეგ. ახლო აღმოსავლეთში ჩინეთის გააქტიურებაც, სწორედ ამან გამოიწვია. ჯიბუტიში ერთი, ხოლო ტაჯიკეთში ჩინეთის ორი სამხედრო ბაზის გახსნა და პაკისტანში, გვადარში პორტის აშენება მეტყველებს მის სურვილზე, თავი დაიმკვიდროს გლობალურ ძალად.“ – მამუკა გამყრელიძე, “ევროპელი დემოკრატების“ გენერალურ მდივანი, საქართველოს ყოფილი ელჩი ჩინეთში.

გასტრონომია და ტრადიციები

გასტრონომია, როგორც ძლიერი ეკონომიკური პოტენციალის მქონე სექტორი „სარტყელი და გზის“ კონცეფციის ნაწილად არის წარმოჩენილი. ლამიენის ატრიის ისტორიასა და რეალურ დროში არსებულ მოთხოვნაზე სტატიაში ასევე ვხვდებით ჩინეთის „სარტყლისა და გზის ინიციატივას“, რომელიც წარმოჩენილია, როგორც შესაძლებლობა, ჩინელი ლამიენის ატრიის მწარმოებლებისთვის, “მოიძიონ ახალი ბიზნესშესაძლებლობები.” (წყარო: https://sinomedia.ge/ლამიენის-ატრია/)

განათლება

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ ეკონომიკურ თემატიკასთან ერთად მედიაგანათლების თემებზეც მუშაობდა. თუმცა, ამ სფეროს შინაარსის გამოქვეყნებისასაც ვკითხულობთ პოლიტიკურ შინაარსს, რომელიც კვლავაც ჩინეთისა და დასავლეთის დაპირისპირებისას ჩინეთის უპირატესობას უსვამს ხაზს. სტატიაში „თსუ-ს კურსდამთავრებულებმა პეკინის ტექნოლოგი-

ური უნივერსიტეტის სრული დაფინანსება მოიპოვეს“ საუბარია ქართველ სტუდენტებზე, რომლებმაც ევროპულ უმაღლეს სასწავლებელს ჩინური ამჯობინეს და პანდემიის მიუხედავად, ჩინეთში გაემგზავრნენ.

„მიუხედავად იმისა, რომ ორივე მათგანს ვილნიუსის პრესტიჟულ უნივერსიტეტში პოსტდოკის გაკეთების შესაძლებლობა მიეცა, SUSTech-იდან მიღებული მოწვევის შემდეგ, ნინომაც და დემეტრემაც ვილნიუსში წასვლაზე უარი თქვეს და პანდემიასთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად (რომელიც კარანტინს, თვითიზოლაციასა და მრავალ მკაცრ რეგულაციას მოიცავდა), ჩინეთში დაბრუნება გადაწყვიტეს. ჩინეთის საელჩომ გამონაკლისი დაუშვა, საკონსულომ მათ ვიზები მისცა და 2021 წლის მარტში ორივე ჩინეთში დაბრუნდა.“ (წყარო: https://sinomedia.ge/თსუ-ს-კურსდამთავრებუ45ლებ/)

2.„ჩინური ენის ხიდი” - თავისუფალი უნივერსიტეტის კონფუცის ინსტიტუტის და ჩინეთის საელჩოს ერთობლივი ღონისძიება, ასევე გაშუქებულია საანგარიშო პერიოდში სინომედიას მიერ. შინაარსი სტანდარტულად, სრულად დადებითი ტონისაა, ხაზგასმულია ახალგაზრდების ინტერესი ჩინური კულტურისა და ენის მიმართ და მათი ჩართულობა ორი ქვეყნის ერთობლივ აქტივობაში.

„მეორე ტურში ჩატარდა ვიქტორინა, კონკურსანტებმა ჩინურ ენაზე პასუხი გასცეს შეკითხვებს ჩინეთის კულტურისა და ენის შესახებ, ხოლო დასკვნით ნაწილში მსაჯების წინაშე სხვადასხვა პერფორმანსით წარდგნენ.“ (წყარო:https://sinomedia.ge/თავისუფალ-უნივერსიტეტში2/)

კულტურა

1. “ქართულად მომღერალი ჩინელი ბავშვები სტუმრად საქართველოს საელჩოში“ - მულტიმედიურ მასალაში ნაჩვენებია თუ როგორ მღერიან ჩინელი ბავშვები ქართულად.

“რამდენიმე დღის წინ საქართველოს საელჩომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში იმ უსაყვარლეს პატარებს უმასპინძლა, რომლებმაც ცოტა ხნის წინ პეკინის ტელევიზიაში ქართული საბავშვო სიმღერა “იაო უაო” შეასრულეს.” (წყარო: https://sinomedia.ge/იაო-უაოს-მომღერალი-567ბავშ/)

2. ფოტო, პეკინში გამართული, ქართული კინემატოგრაფის 115 წლისთავთან დაკავშირებული ჩვენებიდან.

წყარო: https://sinomedia.ge/პეკინში-გაიმართა-ქართული/

მედიაპლატფორმა: Sputnik-საქართველო

პლატფორმა:	შესწავლილია მედიის ახალი ამბების განყოფილება
Facebook:	https://www.facebook.com/sinomedia.ge/
მონიტორინგის პერიოდი:	01.04.2023 – 01.11.2023
მონიტორი:	ნინა ხელაძე
მასალების თემატიკა:	1. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია; 2. ტაივანი; ავღანეთიდან აშშ-ს ჯარების გასვლა; 3. კოვიდ 19 და ახალი შტამი; 4. „სენსაციური“ საოჯახო ჩინური მედიცინა და უებარი მცენარეები; 5. ელექტრომობილები; 6. უკმაყოფილება ბაიდენის ადმინისტრაციასა და ევროპას შორის 7. უკრაინის ომი; 8. პეკინის ოლიმპიადა; 9. ფოტოკონკურსი, განაცხადის ჩინურ ენაზე შევსების შესაძლებლობით 10. კოსმოსი

მონიტორინგის მთავარი მიგნებები:

პროკრემლისტური მედია „სპუტნიკ საქართველო“ გვევლინება საქართველოში ჩინეთის პოპულარიზაციის და აუდიტორიისთვის უკიდურესად დადებით ტონში მიმწოდებელ პლატფორმად. აქტიურ რუსულ პროპაგანდასთან ერთად, „სპუტნიკ საქართველო“ არის ჩინეთის ინტერესების გავრცელების აქტიური ხელსაწყო, რომელიც დასავლეთის აქტიურ დისკრედიტაციასთან ერთად, ახალი გეოპოლიტიკური ცენტრის შექმნის საკუთარ ვერსიას სხვადასხვა თემის მეშვეობით უწევს პროპაგანდას. ამ მიზნისთვის

იყენებს პოლიტიკური ანალიზის შემცველ მანიპულაციურ სტატიებთან ერთად, მსუბუქად საკითხავ კონტენტს.

საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული მედიისთვის ჩინეთი იყო აქტიური გაშუქების თემა და არა მხოლოდ პირდაპირი პოლიტიკური შინაარსის მქონე საკითხებში. ჩინეთს, მედია აქტიურად წარმოაჩნდა, როგორც სახალხო მედიცინის, სასარგებლო მცენარეულის და ჯანმრთელობის მოვლის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ და საუკუნოვანი ისტორიის კულტურად.

„სპუტნიკ ჯორჯიაზე“ დაკვირვებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საანგარიშო პერიოდში მედია ჩინეთს ცალსახად დადებით კონტექსტში ახსენებს, მიმართულების და საინფორმაციო მოვლენის მიუხედავად.

გამონაკლისს წარმოადგენს მასალა, რომელშიც პეკინის ზამთრის ოლიმპიადის ბოიკოტზეა საუბარი. სტატიაში მკითხველი ხედავს თუ რამდენი ქვეყანა და რა მიზეზით უცხადებს დიპლომატიურ ბოიკოტს ოლიმპიადას, მათ შორის მოყვანილია ავსტრალიის მთავრობის მიერ დასახელებული უიღურების საკითხიც.

გარდა დადებით ტონში გაშუქებისა, „სპუტნიკ საქართველოს“ გვერდებზე გამოქვეყნებულ მასალებში, რომლებიც გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ჩინეთის პოზიციებს ასახავს, ჩინეთი გამოყვანილია როგორც ძლევამოსილი უშიშარი სწრაფადა განვითარებადი ქვეყანა, რომელსაც „ამერიკის არ ეშინია“.

„ჩინეთი მიესალმება აშშ-თან თანამშრომლობას, თუმცა არც მასთან დაპირისპირების ეშინია და კონფრონტაციის შემთხვევაში „გამარჯვებამდე იბრძოლებს“, განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან იმ.“

საქართველო-ჩინეთს შორის ვაჭრობა (პროდუქციის ექსპორტი საქართველოდან) და სხვა ხასიათის ეკონომიკური თანამშრომლობა: ჩინური ინვესტიციები ელექტრომობილების სექტორში.

„სპუტნიკ საქართველო“, მონიტორინგის პერიოდში ჩინეთთან კავშირში წერდა დადებით და ნეიტრალურ ტონებში კოსმოსის თემატიკაზე, ჩინური ახალი წლის შესახებ, კალიგრაფიის და ფერწერის კონკურსის შესახებ.

„კონკურსი სახელწოდებით „ერთად დავწეროთ ჩინეთი–საქართველოს მეგობრობის ახალი თავი და დავხატოთ ორი ქვეყნის ნათელი მომავალი“ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების, ორ ერს შორის მეგობრობისა და კავშირების გაძლიერების აღსანიშნად იმართება.“

„სპუტნიკ საქართველომ“ საანგარიშო პერიოდში ასევე გამოაქვეყნა FBI-ს გაფრთხილებაც ჩინეთის ჯაშუშობის შესახებ. *„FBI-ს შეფის თქმით, ჩინელი ჯაშუშები ყველგან ადევნებენ თვალს კომპანიებს“,* მასალაში ავტორს მოყვანილი არ აქვს ჩინეთის ოფიციალური პოზიცია, თუმცა ციტატების შერჩევაც მიუთითებს ჩინეთის შეუზღუდავ რესურსებზე აკონტროლონ ირგვლივ ყველაფერი *„დიდ თუ პატარა ქალაქებში, დაწყებული Fortune 100-ის რეიტინგში შესული კომპანიებით, დასრულებული სტარტაპებით, მათ აინტერესებთ ყველაფერი — ავიაცია, ხელოვნური ინტელექტი, ფარმაცევტული პროდუქტები და სხვა.“*

ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი, ევროპა

„ნატოს გიჟური სტრატეგია: რუსეთისა და ჩინეთის ორმაგი შეკავების გზაზე“ - სტატიაში, რომელიც „სპუტნიკ საქართველოს“ ანალიტიკის განყოფ-ილებაში აქვს მოთავსებული, გაკრიტიკებულია ნატო და მისი სტრატეგია გააძლიეროს უკრაინა და ამავდროულად გაკრიტიკებულია ნატოს ხედვა ჩინეთთან დაკავშირებითაც.

„ცოტა გასაკვირია მათი თავდაჯერება იმაში, რომ დასავლეთს შესწევს ძალა დაამარცხოს რუსეთი, მაშინ, როცა ნებისმიერი რეალისტისთვის გასაგებია, რომ მოსკოვი არ აპირებს უკან დახევას და დასახულ მიზნებზე უარის თქმას.

კიდევ უფრო საინტერესოა ნატოს მიზნები და სტრატეგია, რომელიც 2030 წლამდეა გათვლილი. თუ რუსეთი მთავარი საფრთხეა, მთელი ძალა მასთან ბრძოლისკენ უნდა იყოს მიმართული. მაგრამ რუსეთის მხრიდან საფრთხის გარდა, კონცეფციაში პირველად გაჩნდა ჩინეთი, თუმცა ჯერ მტრის სახით არა.“

რუსეთმა და ჩინეთმა აზია შეცვალეს - აშშ მას კარგავს - სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ აზიასა და აზიურ პრობლემებს თავად აზიელებმა უნდა მიხედონ - მათ შორის, რუსეთმაც, როგორც „ძლევამოსილმა ევრაზიულმა სახელმწიფომ“.

„ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გასვლის შემდეგ სრულდება რეგიონის საქმეებში პირდაპირი გარეშე ჩარევის ეპოქა - და, სწორედ, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია აიღებს მის უსაფრთხოებაზე სრულ პასუხისმგებლობას.“

პროპაგანდისტული მედია გეოპოლიტიკური საკითხებზე წერისას, ამერიკის, NATO-ს როლის დემონიზაციას ცდილობს და ამავდროულად წარმოაჩენს სუსტ, დამარცხებულ გეოპოლიტიკურ აქტორად, მათ შორის ავღანეთის მაგალითზე:

„როგორი დიდი წინააღმდეგობაც არ უნდა იყოს მის ცალკეულ წევრებს (შანხაის გაერთიანების) შორის, პრაქტიკულად ყოველთვის არის შესაძლებელი ურთიერთხელსაყრელი გადაწყვეტილების თუ არა, კონფრონტაციის გამომრიცხავი ვარიანტის გამონახვა - განსაკუთრებით, თუ გარეშე, არააზიურ ძალებს არ მიეცემათ კონფლიქტების პროვოცირების შესაძლებლობა. რასაც ამჟამად ცდილობს აშშ ინდოეთში, QUAD-ის (უსაფრთხოების საკითხებზე ოთხმხრივი დიალოგი აშშ-ის, იაპონიის, ავსტრალიისა და ინდოეთის მონაწილეობით) ოთხეულის ფორმატში მისი ჩათრევის გზით, ფორმატში, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ანტიჩინური მიზნები ამოძრავებს. იმედია, შტატების ავღანური ეპოპეა ინდოეთს (რომელიც მხარს უჭერს განის და უარს ამბობს თალიბებთან დიალოგზე) დაანახებს რეგიონულ საკითხებზე ამერიკელებთან ერთად მუშაობის მთელ საფრთხეს.“

სტატიაში სათაურით „პუტინს ტუნდრა ეწვის“ – ბაიდენმა რუსეთისა და ჩინეთის ლიდერები გააკრიტიკა“ „სპუტნიკ საქართველო“ მკითხველს სთავაზობს აშშ-ის პრეზიდენტის მიერ რუსეთის და ჩინეთის პირველი პირების კრიტიკას და აქვე, ერთგვარი გამონაკლისის სახით სთავაზობს ალტერნატიული, მეორე მხარის პოზიციასაც, რომელშიც დადებითად არიან

წარმოჩენილი რუსეთის და ჩინეთის ლიდერები, რომლებმაც „კორონავირუს-ის პანდემიის გამო თქვეს უარი გლაზგოში წასვლაზე“. (წყარო: https://sputnik-georgia.com/20211103/putins-tundtra-ewvis-baidenma-rusetisadacinetis-liderebi-gaakritika-261744852.html)

„გლაზგოს კლიმატურ სამიტზე დასწრებაზე უარის გამო, პუტინის გარდა, მან ასევე გააკრიტიკა ჩინეთის ხელმძღვანელი სი ძინპინი და ეს მათი მხრიდან შეცდომად შეაფასა.“

„როგორც გამოცემა Deutsche Welle წერს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა კი, თავის მხრივ, პატივისცემა გამოხატა რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების გადაწყვეტილების მიმართ, რომლებმაც კორონავირუსის პანდემიის გამო თქვეს უარი გლაზგოში წასვლაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ COP26-ის კონფერენციას ჩინეთის მაღალი დონის დელეგაცია ესწრება.

რაც შეეხება ვლადიმირ პუტინს, მან გლაზგოს კლიმატური სამიტის მონაწილეებს ვიდეოტრანსლაციით მიმართა და განუმარტა, რა ღონისძიებები ტარდება რუსეთში ტყეების შესანარჩუნებლად.“

მოსაზრება: ბაიდენი ევროპაში ბევრის უფლებას აძლევს თავს - ამ სათაურის მქონე პუბლიკაციაში მედია ავითარებს მოსაზრებას ამერიკასა და ევროპას შორის შესაძლო უკმაყოფილების შესახებ, რაც სტატიის მიხედვით, აშშ-ს ახალი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის პოლიტიკით არის განპირობებული, თუმცა ევროპისადმი ამერიკის გულგრილობა, მედიის მიხედვით, წინა ორი ადმინისტრაციის დროსაც იყო ჩამოყალიბებული. (*წყარო: https://sputnik-georgia.com/20211129/baidenma-sabolood-gaafuwa-haeri-evropasi-262458407.html*

„შეერთებული შტატების ნების წინააღმდეგ სერიოზულად წასასვლელად, როგორც ჩანს, შარლ დე გოლის მასშტაბის ფიგურაა საჭირო. მას შეეძლო დოლარზე უარის თქმა, შეეძლო გაეტანა ნატოს შტაბ-ბინა და ამერიკული ბაზები თავისი ქვეყნიდან, დამოუკიდებლად მოლაპარაკებოდა ჩინეთსა და სსრკ-ს.“

„სპუტნიკ საქართველო“ ხშირად აქვეყნებს ავტორისეულ მოსაზრებებს, რომლებიც სრული მიკერძოებით, არაეთიკური ეპითეტებით და სუბიექტური მოსაზრებებით, ატარებს რუსეთის პროპაგანდისტულ ნარატივს, თითქოს ამერიკა გაღარიბდა და არის ეკონომიკურად გაცილებით სუსტი ვიდრე ჩინეთი და რუსეთია.

„ამერიკელი ხალხის ცხოვრება სწრაფად უარესდება, უპრეცედენტო ინ-ფლაცია დოლარს დისკრედიტაციითა და ქვეყნის გაღარიბებით ემუქრ-ება. გადარჩენის ერთადერთ შანსად ისეთი მდიდარი ქვეყნების ძარცვა გამო-იყურება, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი.“ (წყარო: https://sputnik-georgia.com/20211213/surt-tu-ara-amerikelebs-rusettan-omi-262820036.html

ოლიმპიადასთან დაკავშირებულ მასალებში დასავლეთის დიპლო-მატიური ბოიკოტი „სპუტნიკ საქართველოს“ კონტენტში განხილულია საბჭოთა და შემდგომში, რუსეთში გამართული ოლიმპიადების ერთიან კონტექსტში, როდესაც დასავლეთმა დიპლომატიური ბოიკოტი გამოუცხადა ღონისძიებას.

„მაგრამ, როგორც ადრე, ასეთ მეთოდებს დასავლეთი მიმართავს. ჯერ პეკინის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის სცადეს ბოიკოტის გამოცხადება 2008 წელს, მერე კი სოჭის ზამთრის თამაშებისთვის 2014 წელს. პეკინის ახლანდელი ოლიმპიადის დიპლომატიურად დასჯაც სცადეს." (წყარო: https://sputnik-georgia.com/20220203/didi-politikur-tamasebi-pekinsi-264112490.html)

უკრაინის ომი

უკრაინაში რუსეთის მიერ ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე, (სტატია გამოქვეყნებულია 2021 წლის 29 ნოემბერს) „სპუტნიკ საქართველო" მკითხველს ამერიკა-ევროპის თანამშრომლობის მიმოხილვისას (მოსაზრება, ალექსანდრ ხაბაროვი) აწვდის ნარატივს, თითქოს ამერიკამ საფრანგეთი და გერმანია უკრაინით ჩაანაცვლა და „უკრაინული დეტონატორით" თამაშობს. (წყარო: https://sputnik-georgia.com/20211129/baidenma-sabolood-gaafuwa-haeri-evropasi-262458407.html)

„შეერთებულმა შტატებმა დიდი ხანია, უკან დაწია დამხმარე როლის შემსრულებელი ფრანგები და გერმანელები, თავისი ფრთის ქვეშ აიყვანა კიევი, ახლა კი უკრაინული დეტონატორით თამაშობენ. იქ რომ რამე მოხდეს, მთელ ევროპას შეექმნება პრობლემა."

კიდევ ერთ, მოსაზრების ფორმატში შემოთავაზებულ მასალაში (ავტორი: ვიქტორია ნიკიფოროვა) უკრაინის ეპითეტად ავტორი იყენებს სიტყვათ-შეთანხმებას „ქვეყანა-ფანტომი". ავტორი უკრაინასთან დაკავშირებით არაერთ დისკრიმინაციულ, დამამცირებელ და არშემდგარი სახელმწიფოს შესატყვის განსაზღვრებას იყენებს, რომელიც, წინა სტატიის მსგავსად, აშშ-ს მანიპულაციებსაა დაქვემდებარებული, „ასაფეთქებელი ნივთიერებებით" არის „დატენილი".

„მთელი ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს იყო ქვეყანა–ფანტომი, უკუნით მოცული ქვეყანა, საზარელი და სასაცილო მირაჟი, რომელიც თავისი ნაქარგი ჰერანგებით, მოვითა (უკრაინული ენით) და ჩირაღდნებიანი მსვლელობებით გამოჩნდა ძველ საბჭოთა გაზსადენებთან. იყო ქვეყანა–მილი, მაგრამ ახლა მილი დაცარიელდა და მთელი ეს სიბნელე კვამლივით გაიფანტა. დარჩა მხოლოდ „უქრეინი" — ოკუპირებული ტერიტორია, ჩემოდანი სახელურის გარეშე, რომელსაც ბოლო დღეებში, სანამ გადააგდებენ, ამერიკელი მფლობელები ნაჩქარევად ტენიან ასაფეთქებელი ნივთიერებებით. ის ჰაიკიც კი არ არის — ის არის შაშის ქვა, რომელსაც რუსეთი და ამერიკა ამოძრავებენ თავიანთ დიდ თამაშში."

მასალა, რომელიც ასევე გამოქვეყნებულია ომის დაწყებამდე თითქმის ორი თვით ადრე, მკაფიოდ მიუთითებს რუსეთის გეგმებზე უკრაინასთან დაკავშირებით და ამ დაპირისპირების მასშტაბის ამერიკა-რუსეთის კონ-ფლიქტის მასშტაბამდე გაზრდამდე. „სპუტნიკ საქართველოს" გვერდებზე გამოქვეყნებულ მოსაზრებაში, ავტორი უკრაინას უწოდებს „უქრეინს" და სვამს კითხვას - რამდენად არის ამერიკა მზად იბრძოლოს რუსეთთან უკ-რაინის გამო.

„ეს არის ისტორია აშშ–რუსეთის ურთიერთობებზე. ეს არის ჩვენი უმაღლესი თანამდებობის პირების მოლაპარაკებები, ეს არის ჩვენი ბოლო გაფრთხილებები, ეს არის ჩვენი სამხედრო და დიპლომატიური საქმიანობა. შესაბამისად, თანამედროვეობის მთავარი კითხვა: რას ფიქრობენ ამაზე ამერიკელები, აპირებენ თუ არა ისინი ბრძოლას „უქრეინისთვის“, და თუ აპირებენ, რამდენად სერიოზულად?“

ამავე სტატიაში, უკრაინის ომის კონტექსტში, ამერიკის დისკრედიტაციის მიზნით და უკრაინაში დაგეგმილი შეჭრის გასამართლებლად, ვხვდებით უკრაინისთვის იდენტობის წართმევის მცდელობას:

„ამერიკას დღეს დომინოს პრინციპით გავლენის დაკარგვა ემუქრება. შეუძლებელია ვაშინგტონი ვერ ხედავდეს, რომ კეთილი ტაივანელები სამალავებიდან გადანახულ ჩინურ დროშებს იღებენ, ხოლო გულწრფელი უკრაინელები რუსები არიან.“

24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებული ომის შემდეგ, „სპუტნიკ საქართველო“ ჩინეთს რუსეთის სანქციების კონტექსტში ახსენებს. რაც შეეხება რუსეთს და მის მიერ ოკუპირებულ უკრაინის ოლქებს, პროპაგანდისტული მედია შემდეგნაირ ფორმულირებებს სთავაზობს მკითხველს:

„რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა, დონეცკისა და ლუგანსკის მოთხოვნის პასუხად, ეღიარებინა მათი სუვერენიტეტი, 21 თებერვალს ხელი მოაწერა შესაბამის ბრძანებულებებს“.

ჩინეთის გავლენები ქართულ აკადემიურ სივრცეში

შესავალი - ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა საგანმანათლებლო სივრცეში

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რბილი ძალის ინსტრუმენტთა ნუსხაში საპატიო ადგილი სწორედ უცხო სახელმწიფოს აკადემიასა და განათლების სექტორში განხორციელებულ მანიპულაციურ ქმედებებს უკავია. დასავლური სახელმწიფოები აცნობიერებენ რა ჩინეთის კომუნისტური პარტიის უცხოური გავლენის ოპერაციებთან დაკავშირებულ რისკებს მათ შორის ზემოხსენებულ სექტორებში, შესაბამისად ცდილობენ ეფექტური შეკავების პოლიტიკის წარმოებას კონფუცის ინსტიტუტების დახურვითა და სპეციალური სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებით. პარალელურად, საქართველოში პროცესები საპირისპირო მიმართულებით ვითარდება. ქვეყანა ეძებს ჩინეთის საგანმანათლებლო უწყებებთან (და არამხოლოდ) ურთიერთობების ზრდის გზებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთ-საქართველოს აკადემიური თანამშრომლობა უკვე საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი მოიცავს კვლევის შესაძლებლობას, სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლით პროგრამებს, ასევე სამეცნიერო პროგრამებს, ერთობლივ კონფერენციებსა და ვორქშოფებს, ენისა და კულტურის და ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ფართო სპექტრს, როგორც საუნივერსიტეტო, ისე აკადემიურ დონეზე. თუმცა, 2023 წლის 31 ივლისს, ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადმა და მასში, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთობების ინტენსიფიკაციის დებულებების გაჩენამ დიდი მოლოდინი გააჩინა, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავა.

კონკრეტულად, სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის 3.4, 3.5 და 3.6 პუნქტებში ვკითხულობთ:

3.4 მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების კუთხით. ისინი ხელს შეუწყობენ მასწავლებლებისა და სტუდენტების გაცვლით პროგრამებს, გააძლიერებენ თანამშრომლობას სამეცნიერო სფეროსა და ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის თვალსაზრისით და განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს.

3.5 მხარეები მხარს დაუჭერენ ორივე ქვეყნის უნივერსიტეტებს ისეთი პრაქტიკული თანამშრომლობის განხორციელებაში, როგორიცაა ერთობლივი სასწავლო პროგრამები, და მოუწოდებენ უნივერსიტეტებს სრულად გამოიყენონ უმაღლესი ხარისხის ციფრული განათლების რესურსები და გააერთიანონ ონლაინ და ოფლაინ არხები თანამშრომლობისთვის. ორივე მხარე ხელს შეუწყობს სტუდენტების გაცვლას და ერთობლივ განვითარებას სამთავრობო სტიპენდიების და სხვა არხების სათანადო გამოყენებით.

3.6 მხარეები მნიშვნელობას ანიჭებენ ენების სწავლებას და თანამშრომლობას, წაახალისებენ ორივე ქვეყნის სკოლებში ჩინური და ქართული ენების

სწავლებას, მზად არიან გააძლიერონ ენის მასწავლებლების გაცვლითი პროგ-რამები, მათი გადამზადება და მხარი დაუჭირონ კონფუცის ინსტიტუტების (კლასების) შექმნას.

სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერის შემდეგ, შეინიშნება კონ-კრეტული ბიძგები, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სკოლებში ჩინური ენის სწავლების პოპულარიზაციის კუთხით. მაგალითად,

- *2023 წლის 4 დეკემბერს, საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ჩინეთის შანდუნგის პროვინციის მთავრობის შეთანხმებით, ქართველი სტუდენტებისთვის ჩინეთში სას-წავლებლად დამატებით კიდევ ორი სტიპენდია გამოიყო.*
- *2023 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს განათლების მინისტრი, გიორგი ამილახვარი, განათლების საერთაშორისო ცენტრის შემაჯამებელ ღონის-ძიებას დაესწრო, სადაც ჯილდო გადასცა რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის ჩინეთის საელჩოსაც. განათლების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერ-დზე ვკითხულობთ, რომ ჩინეთთან საპარტნიორო თანამშრომლობის ფარგლებში, განათლების საერთაშორისო ცენტრი სხვადასხვა აკადემიურ პროგრამას წარმატებით ახორციელებს.*
- *2024 წლის 11 აპრილს, გიორგი ამილახვარი საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს ჭოუ ციენს შეხვდა. „შეხვედრაზე მხარეებმა, გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ზოგადი განათლების საფეხურზე ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების და ჩინური ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების საკითხები განიხილეს.“*

ჩინეთ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის განაცხადის დამ-ტკიცების შემდეგ განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები მიუთით-ებს ორ სახელმწიფოს შორის საგანმანათლებლო თანამშრომლობის გაღ-რმავების კუთხით მნიშვნელოვანი ვალდებულებების აღებისთვის მზაობას.

სინო-ქართული აკადემიური თანამშრომლობა ქართული მედიის ფოკუსში

სინო-ქართული აკადემიური და საგანმანათლებლო ურთიერთობებისა და ამ ურთიერთობების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას ქართული მედია ნაკლებ დროს უთმობს. ამ კუთხით, განსაკუთრებით აღსანიშნავი და აქტუალურია ჩინეთის უნივერსიტეტების ქართველი კურსდამთავრებულების მიერ შექმნილი ონლაინ პლატფორმა „სინომედია“, რომელიც მიმოვიხილეთ ჩვენს წინა მედია ანგარიშში **„ჩინეთის როგორც „მეომარი მგლის“ პოლიტიკა მედიაში - საქართველოს მაგალითი“,** და რომელიც აქტიურად ეწევა ჩინეთის სახელმწიფოს საგან-მანათლებლო ინიციატივების, კონკურსების, აკადემიური პროგრამების, ენის კურსების და სხვა მსგავსი აქტივობების პოპულარიზაციას საქართველოში. საკვლევი პერიოდის ფარგლებში, სინომედიის მიერ გავრცელებული

ინფორმაცია ეხება სამ სხვადასხვა ქართულ უნივერსიტეტს, რომელთაგან ორში კონფუცის ინსტიტუტი, ხოლო მესამეში კონფუცის საკლასო ოთახი ფუნციონირებს. "სინომედიას" მიერ გავრცელებული ინფორმაცია ეხება, ქართველი კურსდამთავრებულების წარმატებას ჩინეთში და ასევე კონფუცის ინსტიტუტების მიერ საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო კონკურსებსა და ღონისძიებებს. მაგალითად,

- 2023 წლის 23 აპრილს, "სინომედიას" ცნობით, პეკინის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის შემდეგ, თსუ-ს კურსდამთავრებულებმა ჩინეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამხრეთის უნივერსიტეტის (Southern University of Science and Technology, SUSTech, ქალაქი შენჟენი) სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტში მოლეკულური ბიოლოგიის მიმართულებით მუშაობა დაიწყეს. ამის პარალელურად, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები SUSTech-ში ვაქცინაციის „რნმ[7]" ტექნოლოგიების განვითარების კვლევებშიც.
- 2023 წლის 27 აპრილს, თავისუფალ უნივერსიტეტში კონფუცის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩინური ენის საერთაშორისო დღე აღინიშნა, რომლის ფარგლებშიც, ინსტიტუტის დირექტორმა სუ კუოინგმა ჩინური კალიგრაფიიის შესახებ პრეზენტაცია ჩაატარა.
- "სინომედიაზე" გვხვდება სტატიები იმის შესახებ რომ 2023 წლის 9 და 10 ივნისს, ალტე უნივერსიტეტსა და თავისუფალ უნივერსიტეტში, სკოლის მოსწავლეებისთვის საქართველოში ჩინეთის საელჩოს მხარდაჭერით კონფუცის ინსიტუტიტების მიერ ჩატარდა საერთაშორისო კონკურსი „ჩინური ენის ხიდი". კონკურსის გამარჯვებულები კი ჩინეთში სასწავლო ვიზიტით გაემგზავრნენ. უფრო მეტიც, კონკურსის ფინალს, რომელიც ალტე უნივერსიტეტში გაიმართა ესწრებოდნენ „საქართველოში ჩინეთის საელჩოს პოლიტიკური მრჩეველი ქალბატონი სიუ ხაიჭენგი, ასევე საელჩოს წარმომადგენელი სიუ ჭონგსინი, საქართველოს განათლების სამინისტროს „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" პროექტის წარმომადგენელი, ჩინეთის კვლევების ცენტრის პროფესორი ავთანდილ კიკნაძე, პროფესორი ლიუ კუანგვენი, საქართველოს აბრეშუმის გზის კულტურის ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საპატიო თავმჯდომარე, ალტეს უნივერსიტეტის მენეჯერი თამთა ნიკოლაძე, საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი ანი გვეტაძე, კონფუცის ინსტიტუტის დირექტორი ჭანგ ვენგანგი და ქუთაისის კონფუცის კლასის დირექტორები გიორგი დათუაშვილი და ჭუ ძიენპინგი."

მიუხედავად განათლების სფეროში თანამშრომლობაზე ინფორმაციის სიმწირისა, ბუნებრივია „სინომედია" არ არის ერთადერთი მედია რომელიც ჩვენი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ტრადიციული მედია საშუალებებიდან მნიშვნელოვანია გავიხსენოთ საინფორმაციო კვირეული რომელიც წინ უძღოდა სტრატეგიული პარტნიორობის ხელმოწერას. კერძოდ, ტელე-

[7] "რნმ" - რიბონუკლეინის მჟავა არის ერთჯაჭვიანი ნუკლეინის მჟავა, რომელიც დნმ-ში კოდირებულ ინსტრუქციებს „ასრულებს". ლინკი: https://www.genome.gov/genetics-glossary/RNA-Ribonucleic-Acid

კომპანია „იმედმა“ და სხვა სამთავრობო არხებმა გრძელი და ხანგრძლივი სიუჟეტები მიუძღვნეს პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ჩინეთში მოსალოდნელ ვიზიტს, შემდეგ ვიზიტის გეგმებს, და ბოლოს ბუნებრივია თავად ვიზიტი შუქდებოდა მაღალი ინტენსივობით. მნიშვნელოვან ღონისძიებებს შორის, რომელიც ქართული მედიის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა იყო, პეკინის უნივერსიტეტში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნის ცერემონია, რასაც საქართველოს განათლების მინისტრის, გიორგი ამილახვარის განცხადებაც დაერთო. განცხადების მიხედვით, "საქართველო ჩინეთთან გადადის ურთიერთობის უმაღლეს ეტაპზე, ეს არის სტრატეგიული პარტნიორობა და სწორედ სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ფართოვდება ასევე თანამშრომლობა განათლების და მეცნიერების მიმართულებით. გიორგი ამილახვარის განცხადებებით, საქართველოს და ჩინეთის უნივერსიტეტების დაახლოება, სტუდენტების და პროფესორების გაცვლითი პროგრამების დაფინანსება ქართულ განათლებას და მეცნიერებას კიდევ მეტ შესაძლებლობებს შესძენს." განცხადებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთ-საქართველოს აკადემიური ურთიერთობები უფრო გაღრმავდება, რაც ავტომატურად გულისხმობს ამ სფეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გავლენების ზრდას, ქართული საგანმანათლებლო უწყებების მხრიდან მსგავს თანამშრომლობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების სრულად უგულებელყოფის ფონზე.

ქართული უნივერსიტეტის ჩინური რებრენდინგი

კვლევის აკადემიური ნაწილის ძირითად სიახლეს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ჩინეთში კავშირები წარმოადგენს. 2023 წლის 14 ივნისიდან მოხდა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რებრენდინგი და ამჟამად, იგი საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის - „ჯიუ-ს“ სახელით ფუნქციონირებს.

2008 წლიდან მოყოლებული დღემდე უამრავი ცვლილება განხორციელდა არა მარტო სახელის, ლოგოსა და სხვა მსგავსი საკითხების მხრივ, არამედ თავად საგანმანათლებლო დაწესებულების წილებთან დაკავშირებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ხშირად იცვლებოდნენ როგორც მესაკუთრეები, ისე მათი წილების მოცულობა, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2020 წლის ივლისიდან უნივერსიტეტის ერთ-ერთ მესაკუთრედ 38%-იანი წილით შემოდის კომპანია *ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტ* (ს/კ: 406274008). მალევე, 2020 წლის 7 ივლისს, ეს უკანასკნელი ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების აქციების საკონტროლო პაკეტის (90% წილის) მფლობელი. საბოლოოდ, ჯერ კიდევ რებრენდინგამდე უნივერსიტეტი სწორედ ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტმა სრულად შეისყიდა და მისი ერთადერთი მესაკუთრე გახდა.

ჯორჯია ინტერნეიშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტი ჩვენთვის საინტერესოა, ვინაიდან, დაარსების მომენტიდან დღემდე მისი 100%-იანი წილის მფლობელი გახლავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე წენგჭუნგ ქუანგ (**Kuang Zengzhong**). საყურადღებოა, რომ იმავე პირთან ასოცირდება მსხვილი საერთაშორისო საგანმანათლებლო ჰოლდინგი – ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი **(China Foreign Education Group)** [8]**,** რომელიც „ჯიუ“-ს ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, 2020 წლიდან უნივერსიტეტის დამფუძნებელი გახდა. ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის ვებგვერდის მიხედვით, სწორედ ამ ჩინეთის საგანმანათლებლო უწყებასთან მოხდა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შერწყმა.



[8] ჩინეთის საერთაშორისო საგანმანათლებლო ჯგუფი (China Foreign Educational Group) 1999 წელს ჰონგ-კონგში დაარსებული ორგანიზაციაა. იგი უკვე 25 წელია რაც მსოფლიო მასშტაბით, მრავალ ქვეყანაში ახორციელებს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო საქმიანობას. მათ ვებგვერდზე ვკითხულობთ: "ჯგუფი მიჰყვება სასკოლო ფილოსოფიას „მსოფლიო იწყება აქედან“, ახორციელებს განვითარების საერთაშორისო სტრატეგიას „გასვლა და შემოტანა“, ხელს უწყობს ჩინური განათლების წახალისებას „სარტყლისა და გზის“ ინიციატივის წევრ სახელმწიფოებში და აყალიბებს საერთაშორისო პროფესიული განათლების სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი სტუდენტების კულტივირებას." დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: https://www.ciegr.com/zjsw/introduction-to-cieg/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR2F2VpSC8N0l3N73vwZ-NIlyS5IWJq9F8-p6o503TDLqdL1OhX8RGAP2SQ_aem_AUKxwPq2l2JE9j6wulQHtrVXq2gTThnRlK1cjD5h5BD27BP_WHmtaevnqJ61lrioPOXkK2ruiPCOrDA5FLURuE1d

ამავე ჰოლდინგის დაარსებულია ჩინეთის საერთაშორისო განათლების ინსტიტუტიც, რომლის კაბინეტი საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს. აღსანიშნავია ისიც, რომ შპს ჯორჯია ინტერნეშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტის დირექტორად ფიგურირებს ელისო ელისაშვილი, რომელიც თავის მხრივ ასევე იკავებს და იკავებდა სხვადასხვა ხელმძღვანელობით პოზიციებს როგორც საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტში, ისევე გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში.

სპეციალურ აღნიშვნას იმსახურებს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტად წოდებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ 2020 წლის 06 ივლისს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და სთხოვა წილების გასხვისების პროცესში გაესაიდუმლოებინა ისეთი ტიპის ინფორმაცია, როგორიცაა წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის ფასი და მისი გადახდის პირობები. უნივერსიტეტი მიუთითებდა, რომ ეს უკანასკნელი გახლდათ კომერციული საიდუმლოება და არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას, რა არგუმენტაციაც საჯარო რეესტრმა გაიზიარა და განახორციელა შესაბამისი ქმედებები. (იხილეთ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება # B20051194/3 (11/07/2020)

როგორც აღვნიშნეთ, „ჯიუ“-ს ოფიციალური ვებგვერდის თანახმად, მის მფლობელად/ინვესტორად და ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის დირექტორთა საბჭოს პრეზიდენტად ჩინეთის მოქალაქე ქანგ ჭენგი (**Kang Zheng**) ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ ეს სწორედ ის პიროვნებაა, ვინც მეწარმეთა რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ჯორჯია ინტერნეიშენალ ედუქეიშენ ინვესტმენტის მესაკუთრედ არის მითითებული. მისი გზავნილის მიხედვით, რომელიც ასევე ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, სწორედ ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფის მხარდაჭერით შეძლებს „ჯიუ“ ყველაზე მოწინავე და მოთხოვნად უნივერსიტეტებს შორის დაიმკვიდროს ადგილი საერთაშორისო მასშტაბით. თავის გზავნილში, იგი ასევე გაზგასმით აღნიშნავს, რომ სტუდენტები ინგლისურ ენასთან ერთად შეძლებენ აზიური ენების და მათ შორის ჩინური ენის სწავლასაც, რაც მათ საერთაშორისო ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს გახდის. საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელ ძირითადად წყაროდ მნიშვნელოვანწილად უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორები გვევლინებიან. აღსანიშნავია, რომ უკრაინის შემდეგ საერთაშორისო პარტნიორობის ხელშეკრულებების უნივერსიტეტს სწორედ ჩინეთის უწყებებთან აქვს გაფორმებული. კერძოდ საერთაშორისო პარტნიორების სიაში გვხვდებიან:

- Ancient Wines (China) https://geoculture asia.org/
- Georgian Culture Asia Association (China) https://geoculture asia.org/
- China International Education Group (China) https://www.ciegr.com/
- Guangzhou International Economics College (China) https://www.gziec.org/?page_id=17213 (წარმოადგენს China International Education Group-ის შვი-ლობილ კოლეჯს)

- TANG International Education Group (China)
  https://www.linkedin.com/company/tang-international-education-group/



საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ასევე აქტიურად თანამშრომლობს ჰონგ-კონგში არსებულ ჩინეთის უწყებებთან. ერთ-ერთია ჩინეთის სახელმწიფო ტელევიზიის წამყვანი არხი **ViuTV**, რომლის წარმომადგენლებიც „ჯიუ“-ს 2023 წლის დეკემბერში ესტუმრნენ და უნივერსიტეტის სტუდენტები ჰონგ-კონგელ სტუდენტებთან ერთად სატელევიზიო სერიალში გადაიღეს. გარდა ამისა, იმავე პერიოდში, ჯიუს კანცლერი, ელი ელისაშვილი, მსოფლიო ჩინური ენის სასწავლებლების რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჰონგ-კონგში გაემგზავრა. ვიზიტის დროს, მან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ჩინეთის სარტყლისა და გზის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სამუშაო კომიტეტთან. მემორანდუმის თანახმად, მხარეები ითანამშრომლებენ სარტყლისა და გზის ტრეინინგებისა და გადამზადების ცენტრის შექმნაზე.

დანართი 1

დამუშავდა 233 მედიაკომპანიის (ტელევიზია, რადიო, სხვა) მონაცემი. შესწავლის შედეგად მედიების მფლობელთა შორის 233 კომპანიიდან სამი მედიაკომპანია იყო აფილირებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან.

შპს კორტესი გიდაგო

- სკ: 204907985
- დაფუძნებულია - 01/12/1997წელს.
- კომპანიის დირექტორი არის - მიხეილ ტარახჩევი 01024024195.
- სიხშირე (მჰც) – 96.3
- ბრენდული სახელით **რადიო ჯაკო**
- მაუწყებლობის თემატიკა - სპორტული მიმართულება.
- რადიოს ფეისბუქგვერდის მიხედვით, 2022 ნოემბრის შემდეგ რაიომაუწყებლობა შეჩერებული იყო და განახლდა 2024 წლის იანვრიდან.
- რადიო ჯაკო არის შპს კორტესი გიდაგოს 3%-ის მფლობელი.
- *განმარტება: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები ფიქსირდებიან 51%-იანი (საკონტროლო პაკეტი) წილის მფლობელ კომპანია GBTIMES OY - ფინეთში.*

შპს ემ სი გრუპი

- სკ: 404941756
- დაფუძნებულია 20/04/2012 წელს.
- კომპანიის დირექტორი არის - კონსტანტინე ტარახჩევი 01024035088
- მაუწყებლობის თემატიკა - სამედიცინო/სპორტული,
- ბრენდული დასახელება - **რადიო მუზა** Fm 95.9
- დაფუძნებულია საქართველოს ყოფილი პირველი ლედის (2004-2013 წლები) სანდრა რულოვსის[1] მიერ.
- მაუწყებლობის ენები: ქართული, ინგლისური, რუსული, აფხაზური
- ლიცენზია გაცემულია 2017 წელს 2027 წლამდე.

შპს ჰამბურგი

- სკ: 405179925
- დაფუძნებულია 06/12/2016 წელს
- 2019 წელს, ბოლო ამონაწერის მიხედვით კომპანიის დირექტორია - ნანა ალავიძე (35001075000). მესაკუთრე - მიხეილ ტარახჩევი (01024024195), რომელიც პირდაპირ არის წარმოდგენილი წინა ორ კომპანიაში. ასევე 2018 წლის მონაცემებით, მიხეილ ტარახჩევი ფიქსირდება დირექტორად, ხოლო მფლობელად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება MS Group (404941756), რომლის 50 %იანი წილის მფლობელია ჯია ჰუილან ჩინეთი - G61683631, დარჩენილ 50%-ს კი მიხეილ ტარახჩევი ფლობს.
- მაუწყებლობის ტიპი - კერძო რადიომაუწყებლობის №B110;
- მაუწყებლობის ტექნიკური პარამეტრები: FM 98.5
- ბრენდული სახელწოდება - **რადიო შოკოლადი**
- ლიცენზიის მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო 2022 წლიდან შეწყვეტილი აქვს ლიცენზია, თუმცა მაუწყებლობა შეწყვიტა 2021 წლიდან.

*კვლევის პროცესმა აჩვენა, რომ იმ მედიასაშუალებებს (**შპს კორტესი გიდაგო; შპს ემ სი გრუპი; შპს ჰამბურგი**), რომლებშიც იკვეთებოდა ჩინური გავლენები მაუწყებლობის ლიცენზია კვლავ არ განუახლებიათ.*

მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, ქართულ სარეკლამო ბაზარზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და მასთან აფილირებული ბიზნესსექტორ-ების წილის შესასწავლად 2023 წელს დამუშავდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბაზები, რომელშიც აისახება მაუწყებელთათვის რეკლამის (ინტეგრაცია, სპონსორინგი) დამკვეთი ყველა კომპანია და ფიზიკური პირი.

დამუშავებული 2 427 სარეკლამო განმთავსებლის მონაცემიდან გამოიკ-ვეთა, რომ 2 334 საქართველოშია რეგისტრირებული. 93 უცხოური კომპანი-იდან 8 აფილირებულია ჩინეთთან:

Hualing international special economic zone
ს.კ.: 404934381
რეგისტრაციის თარიღი: 15/03/2012
დირექტორი: სიაოწინ შაო, პნ: 01092004214

ბაზისბანკი
ს.კ.: 203841833
რეგისტრაციის თარიღი: 11/09/1996
დირექტორები (2021 წლის მონაცემები):
გენერალური დირექტორი - დავით ცაავა, 62001023793;
საოპერაციო მიმართულების დირექტორი - რატი დვალაძე, 01020004938;
კომერციული დირექტორი - გიორგი გაბუნია, 01030020654;
გენერალური დირექტორის მოადგილე - ხვეი ლი, G38335210 /ჩინეთი/;
სამეთვალყურეო საბჭო თავმჯდომარე/წევრი: ძუნ ჯანგ, G48711373 /ჩინეთი/;
სამეთვალყურეო საბჭო წევრი: ზაიქი მი, G20517221 /ჩინეთი/ (თანათავმჯდომარე)
წევრი: ჟუ ნინგი, 452098387 /აშშ/ (თანათავმჯდომარე)
წევრი: ზაზა რობაქიძე, 01024006266/საქართველო
წევრი: მია მი, 565658045 /აშშ/

ბბ ლიზინგი
ს.კ.: 406233534 - საქართველო
რეგისტრაციის თარიღი: 27/12/2017
მმართველობის ორგანო: სამეთვალყურეო საბჭო
თავმჯდომარე/წევრი: ზაიქი მი, 01192005128 /ჩინეთი/
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: დავით ცაავა, 62001023793
თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ხვეი ლი, 01692005600 /ჩინეთი
განმარტება: ბაზისბანკის და ბბ ლიზინგის შემთხვევაში - ხვეი ლი არის მმართველობით რგოლში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო
სკ: 203853231 საქართველო - ჩინეთი

ჯასტინი
სკ: 406294987 საქართველო
დირექტორი/მესაკუთრე: ჯიანრუ ლიუ (G54182547, 01391004510)

ჰუალინგ ვიბრანტი
სკ: 406274678
დირექტორი: იუბო ჭაო, 01691036345 /ჩინეთი/
მესაკუთრე 100% წილის მმართველი: სს Hualing international special economic zone, 404934381

ჰუალინგი, სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი
სკ: 406263378
დირექტორი: იფან სუ, 01691025313 /ჩინეთი/
მესაკუთრე: 100%-იანი წილის მფლობელი სს Hualing international special economic zone, 404934381

მისო ინტელექსპრესი (ყოფილი ევროკრედიტი)
სკ: 202353176
2015 წლამდე პარტნიორებში იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ZUK CHINA STONE WORKS LIMITED, ჰონკონგი, 1574286.

მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, კვლევის მეორე ეტაპზე, კომუნიკაციების კომისიის დამატებითი ბაზიდან, რომელშიც ხელმისაწვდომია ინფორმაცია ქართულ მედიაში კვარტალურად 7 ათას ლარზე მეტი გადამხდელების შესახებ, 2023 წელს დამატებით დავამუშავეთ 566 კომპანიის მონაცემი.

დადარების შედეგ გამოიკვეთა, რომ წინა საანგარიშო წელთან შედარებით 7000 ლარს ზემოთ მედიებში სარეკლამო თუ სხვა ტიპის მომსახურების დამკვეთთა რაოდენობა გაზრდილია:

2023 წლის I კვარტალი		
„ტელეკომპანია პირველი“	ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი (406263378) - საქართველო	რეკლამა 7,000-50,000
საზოგადოებრივი მაუწყებელი	ბაზისბანკი (203841833) - საქართველო	სპონსორობა 7,000-50,000

2023 წლის II კვარტალი		
„ტელეიმედი“	Hualing international special economic zone (404934381) - საქართველო	რეკლამა 7,000-50,000
„ტელეკომპანია პირველი“	ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი (406263378) - საქართველო	რეკლამა 7,000-50,000

2023 წლის III კვარტალი		
საზოგადოებრივი მაუწყებელი	ბაზისბანკი (203841833) - საქართველო	სპონსორობა 7,000-50,000

2023 წლის IV კვარტალი		
ტელეიმედი	ჰუალინგი-სამშენებლო მასალების ჰიპერმარკეტი (406263378) - საქართველო	პროდუქტის განთავსება 7,000-50,000
მედია-ჰოლდინგი ჯორჯიან თაიმზი	ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო (203853231) - საქართველო	რეკლამა 7,000-50,000
საზოგადოებრივი მაუწყებელი	ბაზისბანკი (203841833) - საქართველო	სპონსორობა 7,000-50,000

2023 წელს თითოეულ კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებელის მონაცემებში, როგორც დაფინანსების წყარო, წარმოდგენილია ბაზისბანკი - 7000 – 50000 ნიშნულით.

კვარტალურად 7000 ლარზე მეტის გადამხდელთა ბაზაში 2023 წლის მეორე კვარტლიდან მოხვდა ჩინური მედიცინის ცენტრი - ჩინეთი, რომელიც ამავე სახელწოდებით არის მოხსენიებული დამკვეთთა რეესტრში. კომპანიის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ ჩინური მედიცინის ცენტრი, შპს ჩინური მედიცინის ცენტრი - პეკინი, რომელიც 01/12/2022 წელს თბილისი, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა, N1 -ში დავით ტშუღურიანის მიერ დაფუძნდა. სომხეთის მოქალაქე დავით ტშუღურ-იანი - AV0483515 - კომპანიის ერთპიროვნული მმართველია. აღნიშნულ შპს-ს სხვადასხვა ტიპის სარეკლამო და მედიაგანთავსებები აქვს ადგილობრივ ტელევიზიებში.

2023 წლის II კვარტალი		
სილქნეტი	ჩინური მედიცინის ცენტრი (406390873) - ჩინეთი	რეკლამა 7,000-50,000

2023 წლის III კვარტალი		
სილქნეტი	ჩინური მედიცინის ცენტრი (406390873) - ჩინეთი	რეკლამა 7,000-50,000
ფორმულა	ჩინური მედიცინის ცენტრი (406390873) - ჩინეთი	რეკლამა 7,000-50,000

2023 წლის III კვარტალი		
ტელეკომპანია პირველი	ჩინური მედიცინის ცენტრი (406390873) - ჩინეთი	რეკლამა 7,000-50,000
ფორმულა	ჩინური მედიცინის ცენტრი (406390873) - ჩინეთი	რეკლამა 7,000-50,000

დანართი 2

ამონარიდები ფოკუს ჯგუფებიდან :

„სამხრეთ კორეაში ვცხოვრობდი 5 წელი და იქ ვიგრძენი ჩინური პროპაგანდა, რბილი და ხისტი ძალის კომბინაცია. განსხვავებული ტაქტიკები. გლობალ თაიმსი-ჩინეთის პროპაგანდისტული საერთაშორისო მედიაა, აქ იწერება რეალური მესიჯები შეუნიღბავად ჩინური სახელმწიფო უწყებებისაგან განსხვავებით.“

„ჩინეთთან აკადემიაში მქონდა ნეგატიური გადაკვეთა, სამეცნიერო ჟურნალები იყო მასობრივად ჩაშვებული, თითქოს მუშაობდნენ აშშ-ში, სთავაზობდნენ სარედაქციო ბორდში ყოფნას, ბოლოს ამბობდნენ რომ ჟურნალში გამოქვეყნება არის ფასიანი. გაჩნდა ეჭვები სანდოობასთან დაკავშირებით. უფრო ბიზნესი იყო, ვიდრე მეცნიერება.”

„ჩინეთში ყოფნისას გამოვცადე ყველა მახასიათებელი ჩინეთის, მათ შორის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, VPN-ით საკუთარ თავსაც ვეძებდი და ვერ ვპოულობდი, საბჭოური ქცევა, პუტინის დიდი სურათი ერთ-ერთ კვლევით ცენტრში, მულტიმედია ფოტო ინსტალაცია პუტინის სახით, რომელიც იცვლებოდა სი ძინპინთან შეხვედრის ფოტოთი.“

„რუსეთთან ერთად, ბოლო 2 წელია, ცენტრალურ საინფორმაციო სივ-რცეებში აქტიურად მხვდება ჩინეთი და საკითხი კიდევ უფრო გააქტიურდა ჩვენი ევროკავშირის კანდიდატის წევრობის მარცხის პარალელურად „ოცნებამ“ წამოწია რაღაც ალტერნატივების ძებნა და მედიაც ამას ახალ-ისებდა.”

„ჩინეთის სახელმწიფო კომპანიების დასაქმებულებთან მქონდა პირველი შეხება 2018 წელს ხარაგაულში, როდესაც იქ სარკინიგზო სამუშაოებს ჩინეთის სახელმწიფო რკინიგზის შვილობილი კომპანია აწარმოებდა. ამ კომპანიას მუშები ადანაშაულებდნენ შრომითი პირობების დარღვევაში. აი, იქ ჩანდა კარგად - რა არის ჩინეთი. შარშან პირველად შევამჩნიე პროსახელისუფლებო მედიაში ჩინეთის, როგორც სიმძიმის ახალი წერტილის ცნება.“

„რუსეთისადმი დამოკიდებულება სხვა არის. ჩინეთზე არ მაქვს იგივე, მხოლოდ რუსეთთან კომბინაციის შემთხვევაში. აი, მაგალითად, ჩინური ენის სწავლა არის“ კაი ჰონტი”. რუსული არის დასაძრახი.”

„ჩინეთს აქვს გლობალური გავლენების ამბიცია, ასევე, ძალიან უფრთხილ-დება რუსეთთან ტანდემს. აფრიკის მაგალითი, რუსული ფულის ჩანაცვლება, მათ შორის მედიების ნაწილში. ამის შემდეგ ზოგიერთ დონორს ჰქონდა განცდა, რომ აფრიკა დაიკარგა. მაგრამ შეიძლება ეს აფრიკისთვის ცუდიც არ იყოს შიგნით.“

„ჩემი აზრით, ჩინეთი, როგორც პოლიტიკური ანალიზის ობიექტი არის ძალიან საშიში, არის საფრთხე წესებზე დაფუძნებული სისტემისთვის და მეორე, როგორც არადემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული.“

„ის, რომ რუსეთი და ჩინეთი კომბინაციაში იმოქმედებენ საქართველოში, არის რეალისტური სცენარი. არ არის რუსეთივით ხისტი პოლიტიკის მომხრე ჩინეთი, ძირითადად, იყენებს ეკონომიკურ ხელსაწყოებს. აზიის განვითარ-ების ბანკმა, კარგად ითანამშრომლა არადემოკრატიულ რეჟიმებთან. უნდა ვიყოთ ფრთხილად: ვალის ყულფი, შრილანკას მაგალითი.“

„არც მახსენდება ნეგატიური თოქ - შოუ, რომელშიც იქნება ნათქვამი, არიქა, ხალხო რას ვშვრებით”.

„ჩვენი მედია არის მოწყვლადი, დიდი ფული რომ შემოვიდეს ჩინეთიდან, რა ვერ იყიდის?”

"სტუდენტმა მითხრა ჩინური მედია გვაქვსო, ხელფასს მიხდიანო. ფული იყოს და ჩვენთან ჰრომონღოლურიც შეიქმნება. ჩემი აზრით, ჩინეთმა დაიწყო აგრესიული პოლიტიკა, უკვე არ ერიდება."

“ქართული მედია არ უნდა იყოს დღევანდელ პოლიტიკაში მეხანძრე. ჩინეთი იქნება, მეორე მსოფლიო ეკონომიკაა, გლობალურად უნდა აჩვენოს ქართულმა მედიამ. დღეს არის ანტიდასავლური ჩინეთი, ხვალ შეიძლება იყოს სხვა. დასავლურ მედიაში გეუბნებიან, კი ბატონო გვქონდეს ვაჭრობა, მაგრამ 24-საათიანი სიფრთხილით.“

„აჭარა ყოველთვის იყო ჩინეთისთვის საინტერესო, მაგალითად, ჩაის კულტურის გამო.”

განათლების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2016 წლიდან გააქტიურდა ურთიერთობები და შეხება ჩინურ საგანმანათლებლო სივრცესთან. 2016 წელს უნივერსიტეტს ესტუმრა ელჩი, გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება. რამდენიმე მეცნიერი ჩინეთშიც იმყოფებოდა, ბიომრავალ-ფეროვნების მიმართულებით. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობათა ერთი პროფესორიც იმყოფებოდა ჩინეთში ურთიერთობების გაღრმავების კუთხით. 2023 წელსაც ესტუმრა ჩინეთის ელჩი უნივერსიტეტს, ჯერ არ გაფორმებულა მემორანდუმი, მაგრამ იგეგმება. 2020 წელს ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი იყო მიწვევით, ენების სწავლების თემაზე იყო საუბარი, შემდეგ გადაწყდა შემუშავებულიყო ჩინური ენის სილაბუსი, დღესაც არის ის არჩევით კურსად. არ არის სტუდენტების მხრიდან დიდი დაინტერესება, ხოლო უნივერსიტეტის მიმართ აქვს ჩინეთს ინტერესი.“

„ჩემთვის ჩინეთთან პირველი შეხება ეს არის აბრეშუმის გზა და ამ გზას მოყოლებული კულტურა, განვითარება და ღრმა ფილოსოფია. ამ ერთან და ქვეყანასთან მიდგომაში უნდა გავითვალისწინოთ ყოველთვის სიღრმეები დასავლეთს ერთი რამ ეშლება ყოველთვის, არ იცის მენტალიტეტი იმ ქვეყნების ღრმად, რომელსაც წინაღობაში უდგება, ეს ხდება რუსეთთან მიმართებით და ეს ხდება ჩინეთთან მიმართებითაც. ეს არის ძალიან დიდი ინდუსტრიის ქვეყანა. აქვე, ახალ თაობას შეიძლება რეფლექსია ჰქონდეს ჩინეთის ხსენებისას დაბალხარისხიანი, მომწამვლელი ნივთიერებები და ნივთები."

„ხიფათი, ჩინეთი მოდის აღმოსავლური ექსპანსიით, ეს არის მოთმინებით ექსპანსია. ის ხიფათი, რასაც ჰქვია ჩინური ხიფათი, ჰლუს ჩინეთი არის ამავდროულად ბალანსიც, რუსეთის შემაკავებელი. ამ პროცესში შეიძლება შემოვიდეს ჩინური საფრთხეც, ძალიან სახიფათოა ეს ყველაფერი."

,,უკრაინა-რუსეთის ომის ფონზე კიდევ უფრო არსებობს ინტერესი საქართველოს მიმართ. ანაკლიის პორტი ამის პირდაპირი მაგალითია. საფრთხე ჩინეთიდან მოდის, სიკეთეც მოდის. ამისთვის საჭიროა გონიერი პოლიტიკის გატარება. აბსოლუტურად იგნორირება და ჩინეთის არშემოშვება არ შეიძლება."

„უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან საგანმანათლებლო სივრცე და ეკონომიკური და ა.შ. (ჩინეთი) ტექნოლოგიური თვალსაზრისით იმდენად აქტიურია, ძალიან კარგი იქნება ბევრი საინტერესო პროექტის ერთობლივად განხორციელება, სტაჟირება, მათი ტექნოლოგიების გაზიარება."

"ბრმად მიღება ამ ყველაფრის არ შეიძლება, საგანმანათლებლო სივრცეში შემოშვებაც უნდა იყოს ფრთხილი. ძალიან პატარა ერი ვართ და ჩვენი იდენტობის შესანარჩუნებლად ამ ბალანსის დაცვა აუცილებელია. დღეს ძალიან რთული იქნება სრულად მათი იგნორირება, სიფრთხილე და უგულებელყოფა არა. იგივე ჩინური ენის სწავლება. ჩვენს ინტერესებზე მორგებით შემოყვანა და პარტნიორობა ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში. კულტურული სივრცის გახსნა. ევროატლანტიკური მიმართულების მიხედვით უნდა დალაგდეს ურთიერთობა."

„ჩინეთის რესპუბლიკა იყო პირველი რესპუბლიკა, რომელმაც საქართველ-ოს დამოუკიდებლობა ერთ-ერთმა პირველმა აღიარა. ჩინეთი არის იმ ხუთეულში, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური მხარდამჭერი და პარტნიორია".

„პატარა ქვეყანა ვართ და გვჭირდება დიდი ქვეყნების გვერდით დგომა, ძლიერი ეკონომიკების. დადებითია თუ უარყოფითი? ვიტყოდი, რომ უარყოფითია, რადგან მაინც კომუნისტური ქვეყანაა."

„რიკოთთან დაკავშირებით ჰქონდა დიდი შეხება, განსხვავებული რელიეფის გამო საჭიროა ძირფესვიანი შესწავლა, მიმდინარე პროექტები კი არის ზედაპირული, ის რაც გასულ წელს, ზამთარში მოხდა, სწორედ, ამ ფაქტორმა განაპირობა. ჩინეთის კომპანიები დაბალ შეფასებას იმსახურებენ.“

„ტიკტოკი თუ არ გაქვს, ვერც ბიზნესმენი ხარ, ვერც წარმატებული ხარ, მე მაქვს ტიკტოკი. ამ პლატფორმით ვიგებ ჩინური კულტურის შესახებ ინფორმაციას. ვინც სოციალურ ქსელს ფლობს, ის აკონტროლებს ყველაფერს. კიბეროომი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური ომი.“

„დღეს გვაქვს იდეოლოგიური ომი, თითოეული სახელმწიფო ცდილობს საკუთარი იდეოლოგია მოახვიოს სხვას, სწორედ, პლატფორმა „ტიკტოკი“ არის საკუთარი იდეოლოგიის თავის მიხვევის საშუალება. აქ გვაქვს საუბარი ფართო მასშტაბზე. ჩემ გარშემო თითქმის ნახევარზე მეტი იყენებს ტიკტოკს.“

„ტიკტოკი არის მხოლოდ გასართობი პლატფორმა, GEN Z-ზე გადის და შემოსავლების წყარო გახდა, ჩაანაცვლა ტელევიზია. ალგორითმი არის იდეალური. ადვილია რეგისტრაცია, ერთ მომხმარებელს შეუძლია რამდენიმე ანგარიში შექმნას. პერსონალური მონაცემების კუთხით არის დაუცველი, სხვების მსგავსად. საერთოდ არ გამიაზრებია ეს ამბავი, რომ ჩინურია, რადგან თავისუფალი სივრცეა, თუმცა უარყოფითი კონტენტი ჭარბობს.“

„კომუნისტური სახელმწიფოა, რომელსაც აქვს ახლო ურთიერთობა ჩვენს მთავარ მტერთან. მასთან არ უნდა გვქონდეს ძალიან მჭიდრო პოლიტიკა, მირჩევნია, როგორც ქართველს, ინვესტიციები მივიღოთ დასავლეთიდან და არა ჩინეთიდან, რომელსაც მომავალში ეკონომიური კუთხით შეუძლია გადაყლაპვა ჩვენი პატარა ქვეყნის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ავკრძალოთ ყველაფერი ჩინური.“